1134
2000

# არილი

№9 (154) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 8 ივნისი

ფასი 50 თეთრი

№ 86
(9-16)



B E A T

#9
2000





Marijuana

როგორ ვერ ვიტან მათ, ვინც კონფორმიზმის წარმოებით არიან დაკავებულნი. არადა, რისთვის? წარმოიდგინეთ, ნარკოტიკებისგან გათავისუფლებული ამერიკის ბანალური ყოფა. არანაირი კაიფი - მხოლოდ გამოწკეპილი ამერიკელები იბაკუნებენ ზღვიდან ზღვამდე. უთანხმოების მთელი ზონა აღმოფხვრილია - ამორწყეს, როგორც მუწუკი. არანაირი ანდერგრაუნდი, არანაირი იატაკქვეშა იდუმალი ოპერაციები. არაფერი.

უილიამ ბეროუზი

ეროვნული ბიბლიოთეკა


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი


მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
გია გორგოძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
ზაზა თვარაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ "კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№9 ხუთშაბათი, 8 ივნისი, 2000**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ



**ლიტერატურა**

ლაშა ბუღაძე
მათთვის, ვინც მოცარტის საფლავის პოვნითაა დაინტერესებული......1

ლელა სამნიაშვილი
ლექსები......7

გივი ალხაზიშვილი
ლექსები......9

რობერტ ვალზერი
ესაა და ეს......11

**თაობა**

მალხაზ ხარბედია
ბიტ-საუკუნის დასასრული......12

ჯონ კლელონ ჰოლმსი
თამაშის სახელი......15

ჯეკ კერუაკი
Man, I`m beat......16

ალენ გინსბერგი, ლორენს ფერლინგეტი,
ჯეკ კერუაკი, გრეგორი კორსო
ლექსები......18

უილიამ ბეროუზი
უკანასკნელი სიტყვები ნაწყვეტები დღიურიდან......22

**ხელოვნება**

თამარ ბოკუჩავა
ვარიაციები შექსპირის "ვენეციელი ვაჭრის" თემაზე......24

**რელიგია**

ზურაბ კიკნაძე
კულტურის მომავალი და "მკვდარი ენები"......28

**მეზობელი ინტელიგენტები**

დიმიტრი მერეჟკოვსკი
რუსული ინტელიგენციის განკითხვის დღე......30

ბორის პარამონოვი
ინტელიგენცია......32

**პუბლიცისტიკა**

ია ანთაძე
რა ჩაიფიქრა რუსეთმა......35

ზაზა ფაჩუაშვილი
უსულგულობა......39

**იუბილე**

გიორგი ლობჟანიძე
მშვენიერი მაგალითი......40

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშა ბუღაძე

# მათთვის, ვინც მოცარტის საფლავის პოვნითაა დაინტერესებული

ამ ამბის დიდ ნაწილს, ალბათ, რიცხვები დაიკავებენ, რომელთაც არითმეტიკული დანიშნულების გარდა ისტორიული მისიაც აკისრიათ - სახარების შიგნით თუ მის გარეთ მომხდარი მოვლენების შეფასებისას. ახალი აღთქმისეული, ისტორიული, ჭეშმარიტად ეთნოგრაფიული, თითქმის მუმიფიცირებული არაბული რიცხვებიდან მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფდი, კერძოდ კი ოცდაათს, ხუთს, ექვსს, რვას, ოთხმოცსა და ორმოცდათექვსმეტს, რომელიც ამ თითქმის დეტექტიურ-მეცნიერულ, არამყარ საძირკველზე მდგომ ფანტასტიკურ ნოველაში ნელ-ნელა მიიღებენ თავის ჭეშმარიტ შინაარსსა და სახეს, რადგან ამ რიცხვთა ანსამბლი მართლაც რომ არაჩვეულებრივია. გადავწყვიტე რა დამეწერა ამბავი იმ ცნობილ ოცდაათ ვერცხლზე, რომელიც ისკარიოტელმა იუდამ, თითქოსდა, შტატგარეშე ხელფასივით აიღო იესო ქრისტეს გაცემისათვის, ბუნებრივია, მივედი იქამდე, რომ, როდესაც შეურგებელი, გამოუყენებელი ფული მოღალატე მოციქულმა დამფინანსებლებს უკან მიაყარა, სისხლიანი ფულით დამფრთხალმა რელიგიურმა ფანატიკოსებმა ხსენებული ოცდაათი ვერცხლის გაყინვა მოინდომეს და კაპიკ-მიუმატებლად თუ მოუკლებლად - ჯერ საეკლესიო ხაზინაში, ხოლო შემდეგ კი რეალურ, ბრუნვად საქმეშიც ჩადეს. როგორც თვითონ სახარებიდანაა ცნობილი, იუდას ოცდაათი ვერცხლით იუდეველებმა მეჭურჭლის მიწა შეიძინეს, რომელიც შემდეგ უცხოელთა სასაფლაოდ გადაკეთდა, ხოლო მოგვიანებით კი "სისხლიანი მინდორი" ეწოდა. ხოლო რადგან ამ ქრონიკათა სერიისათვის პრიმიტიული გეოგრაფიული საზღვრები ბარიერს არ წარმოადგენენ და იმის ხელახალი მტკიცებაც სისულელეა, თუ როგორ გასცდა მთელი ახალი აღთქმისეული მისტერია ბანალურ, ისტორიულ, გეოპოლიტიკურ, რეალობაში ზღუდედ წარმოქმნილ მეცნიერულ შლაგბაუმებს, ამის გათვალისწინებით ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ზემოთ ხსენებული უცხოელთა სასაფლაო, ანუ "სისხლიანი მინდორი" სწორედ ის ადგილი გახლდათ, სადაც რვა ფლორინად და ორმოცდათექვსმეტ კროიცერად, საერთო, თითქმის ძმათა, პროლეტარულ საფლავში უკრეს ვოლფგანგ ამადეუს მოცარტს თავი, რომლის არათუ გვამის, საერთოდ საფლავის პოვნაც ჩვენ მიზნად დავისახეთ. ჩემი სახლის წინ, უკან, მარჯვნივ, - მოკლედ თითქმის ოთხივე მხრიდან სასაფლაოა. სადარბაზოდან გამოსული არა ხარ, რომ უკვე ბიუსტებს ეჯახები, მოშორებით კი შესართავსაც ხედავ - ოღონდ არა მდინარეთა, არამედ ორი სასაფლაოს შესართავს, და მათ შემყურეს (თუკი გავითვალისწინებთ სახარების ანტიგეოგრაფიულობასა და დროისმილმურობას!) ყოველთვის გიჩნდება ეჭვი, რომ ეს შესართავი - მერე რა, რომ შენს სახლთან ასე ახლოს არსებული - სწორედ იუდასეული "სისხლიანი მინდორია" - მეჭურჭლის მიწა, და ბილიკიც კი, რომელიც მანქანების სადგომიდან თეთრი ლოდებისკენ მიდის - სწორედ ის ოდნავ ტრანსფორმირებული გზა - გროსე შულერშტრასეა, საიდანაც რვა ფლორინად და ორმოცდათექვსმეტ კროიცერად მიასვენებდნენ დიდ კომპოზიტორს. ეს თანხა (8 ფლორინი და 56 კროიცერი!) თავადმა გოდფრიდ ვან სვიტენმა გადაიხადა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მფარველობას უწევდა მუსიკოსს, და სულ რამდენიმე ფლორინის დამატებაღა იყო საჭირო და დღეს ჩვენ მოცარტის საფლავი გვექნებოდა, მაგრამ ფაქტია - თავადის სიძუნწე რომ არა - არ დაიბადებოდა ის დეტექტიურ-მისტიური ასოციაციები, რომლებიც მოცარტის არარსებულ საფლავთანაა დაკავშირებული, - დაწყებული მასონურ ლოჟათა მიერ სპეციალურად მიჩქმალული ათასნაირი საიდუმლოებით და საიმპერატორო კარის პრინციპული ინფანტილურობით დამთავრებული, რადგან თუკი არსებულ საკითხს ამ მხრივ განვიხილავთ, მაშინ - ფული რომ არ მოეგო-



ნებინა ადამიანს, სამყაროში, ლენინის თქმის არ იყოს, ნაკლები ბოროტება იქნებოდა; არ დაიწყებოდა მასიური ვაჭრობა და არ დაემუქრებოდა ამდენი ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე; ერთი ჩვეულებრივი (ან, შეიძლება, არაჩვეულებრივი!) კაციც არ დახარბდებოდა რამდენიმე გროშზე და საკუთარ მასწავლებელსაც არ დააბეზღებდა, ამის შედეგად კი არც ის გენიალური, თითქმის ინიციაციური აქტი წარმოიშობოდა - ბრწყინვალე სურათი, თითქოსდა, ულოგიკო - კოცნით გაცემისა და აქედან გამომდინარე, იუდა რომ არა, თავისი ფულითურთ, აღარც პილატეს სასამართლო და აღარც გოლგოთა შედგებოდა, თავისი მრავალსაუკუნოვანი გაგრძელებებით - ინკვიზიციებითა თუ სამოციქულო ეკლესიებით, ნომენკლატურული ყაიდის პონტიფიკოსებითა და წმინდან წამებულთა მთელი არმიით, რომელთაც ამ, შესაძლოა მცდარი, ლოგიკით თუ მივუდექით, სათავეში სწორედ იუდა ისკარიოტელი - პირველი ქრისტიანი უდგას, რომლის გარეშეც არაფერი მოხდებოდა: არ გაეტეხა პური ქრისტეს შემდეგ და აღარც წელთაღრიცხვის ათვლით შეიწუხებდა თავს ადამიანი! ამიტომაც თავადი ვან სვიტენის სიძუნწე გარკვეული ბიძგი გახდა იმისათვის, რომ გენიალური მუსიკოსის დაკარგული, ძმათა-პროლეტარული საფლავი რომანტიკოსებისა თუ არარომანტიკოსთათვის ყველა დროის საყდრად, კოლიზეუმად, უხილავ, გონებაში წარმოქმნილ პარნასად ქცეულიყო, რადგან ამ ისტორიაში მართლაც ბევრი რამაა გაუგებარი და გაუგებრობის პირველი მიზეზიც, როგორც ყოველთვის, რა თქმა უნდა, ქალია და თან, არა უბრალოდ ქალი, არამედ კომპოზიტორისავე ცოლი - კონსტანცა ვებერი, რომელიც ღრმა დარდისა და ფიზიკური ტრავმის გამო, საწოლიდან ვერ ადგა და ქმრის დამკრძალავ შვიდ თუ რვაკაციან პროცესიას უკან ვერ გაჰყვა, რათა ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი რამ დაემახსოვრებინა, როგორც საკუთარი თავისთვის მნიშვნელოვანი, ასევე ისტორიისთვისაც: თუ სად დამარხეს მისი ქმარი? ზოგიერთი კეთილსინდისიერი ქვრივისათვის ქმრის საფლავი, ლამის მეორე ბინად იქცევა ხოლმე, - ერთგვარი მისტიკური დუპლექსი! მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც საყვარელი ქმრის (მართლაც! მათ ხომ ასე უყვარდათ ერთმანეთი!) საფლავი სად იქნება, ფეხებზე ჰკიდიათ! კარგი. იმ

21702

საქართველოს
ეროვნული

დღეს ვერ გაჰყევი - დარდმა ლოგინს მიგაჯაჭვა. ხომ ადგები მეორე, ან მესამე დღეს ფეხზე და ახლა მაინც ხომ ინებებ გროსე შულერშტრასეზე გასვლას?! ყოველ შემთხვევაში, სინდისიერი ქვრივი (ეს განსაზღვრება - უსინდისო ქვრივი - მეგონა, არც არსებობდა აქამდე!) მეორე დილასვე ადგებოდა, თუნდაც ჰაიმორიტით გათანგული, იშიაზით დაბრეცილი და ქმრის საფლავთან ერთ-ორ სანთელსაც აანთებდა... მაგრამ კონსტანცა ვებერმა არა თუ მეორე დღეს, მეორე თვესაც კი არ ინება სასაფლაოზე ასვლა. არც შემდეგ თვეს მოინდომა და არც შემდეგ წელიწადს. კონსტანცა ვებერი მოცარტის საფლავის სანახავად 1801 წელს ავიდა, მაშინ როდესაც კომპოზიტორის სიკვდილიდან უკვე ათი წელი იყო გასული. ნუთუ ეს უსინდისობა არაა? რატომ უნდა მოგინდეს 1791 წელს მკვდარი კაცის საფლავზე ასვლა 1801 წელს და თან, იმ იმედით, რომ იქ აუცილებლად ნახავ ქმრის მოუვლელ საფლავს, - თან ძმათა, პროლეტარულს, სადაც კაცობრიობის სიამაყეს რვა ფლორინად უკრეს თავი! ბუნებრივია, კონსტანცამ იქ ვერაფერს მიაგნო, გარდა ზემოთ უკვე ნათქვამი, ორი სასაფლაოს შესართავისა და იმედგაცრუებული დაბრუნდა სახლში, ხოლო რამდენიმე ხანში კი გათხოვდა კიდეც. კონსტანცა ვებერის მეორე ქმარი კი მოცარტის, ანუ კონსტანცას პირველი ქმრის - პირველი ბიოგრაფი აღმოჩნდა. ისტორიამ ასე ინება! ინტელექტუალური, სტანდარტული მიხვრა-მოხვრის, ზედმეტ სიტყვას რომ არ იტყოდა: "საშაქრე მომაწოდე, გეთაყვა!" ცხვირთან მიტანა არ სჭირდებოდა, პარტიტურას ისე კითხულობდა, მეორე ქმარი, გლუკისა და ბახის შვილთა მოტრფიალე, თავიდან ვერც კი მიხვდა, თუ რა საგანძურში ამოჰყო თავი და ერთხელაც, სულ შემთხვევით, ფეხსალაგიდან გამოსვლისას დაბლაგვებულ პლინტუსებთან "ჯადოსნური ფლეიტის" მეორე მოქმედების შესავალს რომ წააწყდა, - გადარეულივით, გაშმაგებული და აღფრთოვანებული მიაწყდა კარს, რათა სული მოეთქვა: "ვაიმე, დედა! ეს რა ვნახე, დედიკო, რა?!" მოცარტის შედევრებს ხან კარადაში ნახულობდა - სადღაც კუთხეში მიჭუჭკნულთ, ხანაც სხვა, უფრო შემზარავ ადგილებში! სადღა ახსოვდა ბურჟუაზიული "საშაქრე მომაწოდე, გეთაყვა!" - შე დეგენერატო, პირველი ქმარი გენიოსი გყოლია და შენ აქ რა შაბათობა მომიწყვეო? - უყვიროდა მტვერსასრუტ-მომარჯვებულ ცრემლიან კონსტანცას და კომპოზიტორის ნაწარმოებთა სიას ადგენდა, რომელიც ცნობილმა მასონურმა კანტატამ დაასრულა. სულ რამდენიმე ხანში კი გროსე შულერშტრასესაც დაადგა და სიტყვებითა თუ ნიშნებით გაძეძგილი, მინაწერებით ავსებული ხვეული ქაღალდებით იღლია-დატვირთული წინ და უკან დაიწყო სიარული. გადათვალა ნაძვები, დახაზა სასაფლაოს გეგმა, ჭიშკრიდან მონასტრამდე ყოველი ნაბიჯი აღნუსხა და მათემატიკური, გამოუგონებელი ხელსაწყოსავით, რაღაც იმაგინაციური ველების დახმარებით დაიწყო "სისხლიანი მინდორის" შესწავლა. მინდვრისა, რომელიც იუდას ხელფასით შეიძინეს და სადაც მოცარტი მარხია! ეს ის დღეები იყო, როდესაც ეთერში გაჩენილი მელოდია შენი ოჯახის თითქმის ყოველ წევრს ეკვიატება, როგორც ხანდახან რაიმე ფრაზა ან სიტყვა, რომელსაც არ იცი რატომ, მაგრამ მთელი დღე იმეორებ - შესაბამისი აკვიატებული რიტმითა და ტონით და, ალბათ, ეს არც არის დასამალი, რომ კალენდრის თითქმის ყოველ დღეს, თავისი აჩემებული ლექსიკონი და მუსიკალური ფონი უდგას უკან, როგორც ამდილით კონსტანცას მეორე ქმარს ყოვლად უაზროდ აეკვიატა არსაიდან მოფრენილი მელოდია და დღემაც შესაბამისი ფორმა, თუ შინაარსი მიიღო. კონსტანცა ვებერი კი, ისედაც გულმოკლული და ეჭვიანი, - პირველი ქმრის დამარხვა ძლივს მოასწრო, რომ მეორე ქმარს პირველი შეუყვარდა, - ქოთქოთით გამოვარდა ოთახიდან და მოცარტის ბიოგრაფს ამ სიტყვებით მიმართა: "მე ვითხოვ ელემენტარულ სიყვარულს! ამის მიხვედრა რთული არ არის, გესმის შენ?! სიყვარულს!" ბიოგრაფი არ აღელვებულა, მან ამ სიტყვებით




მიმართა კონსტანცას და სახელიც ისე დაუძახა - მოცარტის წაბაძვით, რომ დიასახლისი ქალისთვის გული მოეკლა: "შტანცი, შე გლეხუჭავ! რომელ სიყვარულზე მელაპარაკები, ამხელა ქალი?! კაცი გენიოსი გყავდა... "დონ-ჟუანის" ავტორი და... ძროხა, ნუ ნამდვილი!" როგორც ლეგენდის მიხედვითაა ცნობილი, სამგლოვიარო პროცესია კუბოს მხოლოდ იმიტომ არ გაჰყვა უკან, რომ იმ დღეს, 6 დეკემბერს ვენაში საშინელი წვიმიანი ამინდი ყოფილა, სუსხიანი ქარითა და ნისლით, და სოფიც - ერთგული, სალიერიცა და ძუნწი თავადი ვან სვიტენიც უკან, სახლებში გაბრუნებულან. ასეთ დროს ყოველთვის აღმოჩნდება ერთი "ერთგული", რომელიც სახეს ქვითინით დაისიებს, მომდევნო წლებში მემუარების წერასაც მიჰყოფს ხელს - "მოცარტი და პატარა სოფი. 7 ტომად" - და იდიოტური წიგნიდან მიღებული ჰონორარით, ზაფხულში, წმინდა ადგილების მოსანახულებლადაც ჩავა პალესტინის მიწაზე - ტურისტისთვის დამახასიათებელი უტიფრული იერით, იმის მაგივრად, რომ ერთადერთი უმნიშვნელოვანესი რამე დაემახსოვრებინა თავისი ცხოვრებისა - თუ სად დამარხეს რვა ფლორინად და ორმოცდათექვსმეტ კროიცერად ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი?! კვლევის შედეგად წმ.სტეფანეს ტაძრის წიგნში აღმოჩნდა მინაწერი, რომელიც 6 დეკემბრითაა დათარიღებული და თუკი იქ მინიშნებულ მეტეოროლოგიურ ცნობას დავუჯერებთ, მოცარტის დაკრძალვის დღეს - 6 დეკემბერს ვენაში მშვენიერი მზიანი ამინდი ყოფილა, არანაირი ღრუბლიანობა არ შეუნიშნავთ (წვიმაზე და ნისლზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!). თუ ასეა, რატომ არავინ გაჰყვა კუბოს უკან? საიდან გაჩნდა 6 დეკემბრის უამინდობის ლეგენდა? ორი მესაფლავე (რომელთაც კომპოზიტორი სხვა გლახაკებთან ერთად მიაბარეს მიწას) ამ ირეალურ და ამასთანავე დოკუმენტურ ქრონიკაში, არსებული იდუმალებით მოცული ხაზის ღირსეული გამგრძელებლები ხდებიან, რადგან უკვე 7 დეკემბრიდან მათი პოვნა შეუძლებელი ხდება (ისე კი, ალბათ, არც არავის უძებნია ისინი!), თუმცა არის ვერსია, რომ ერთ-ერთს 1791 შობამდე ვერც მიუღწევია და მუსიკოსის დაკრძალვიდან რამდენიმე მაგიური დღის გასვლის შემდეგ იგი მკვდარიც კი უნახავთ წმ.სტეფანეს ტაძრის უპოვართა სასადილოში. ნუთუ მისი მეხსიერება იყო საფასური? ნუთუ მეხსიერებისათვის დასაჯა ვინმემ? მაგრამ მთავარ კითხვად

მაინც ეს რჩება: რატომ ადის მეუღლე მკვდარი ქმრის საფლავზე ათი წლის შემდეგ? რატომ ამხელა შუალედი: 1791 წლიდან 1801 წლამდე? ეს კითხვა მე ამოვწერე და პატარა გამოკითხვაც ჩავატარე სახლში: "დედა - ვეკითხები - რატომ ავიდა კონსტანცა ვებერი ქმრის საფლავზე ათი წლის შემდეგ? შენ ასე მოიქცეოდი?" მან, რა თქმა უნდა, მხრები აიჩეჩა. უკეთეს პასუხს არც ველოდი. ასევე მოიქცნენ სხვებიც და მეც მივხვდი, რომ ამის დადგენა ორი საუკუნის გადმოსახედიდან, ცოტა არ იყოს, გამიჭირდებოდა, თუმცა მოცარტის პირველი ბიოგრაფი ასე არ ფიქრობდა. ის ფაქტი უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ საფლავის გადამალვა და, ასე ვთქვათ, კაცობრიობის მეხსიერებიდან წაშლა ამ კონკრეტული მიწაყრილისა აშკარა, კარგად გათვლილ და გაანგარიშებულ ნაბიჯს წარმოადგენდა, - არ ვიცი რაიმე საიდუმლო ორგანიზაციის მხრიდან ინსპირირებული თუ ქვეყნის ხელისუფლებიდან, რომლის იდუმალი პოლიტიკური ფანდები მხოლოდ მაშინ ხდება გასაგები, როცა წარსული უკვე ზღაპრის სახეს იღებს. თუმცა არის ასეთი აზრიც, რომ ნაძვებისა და ნაბიჯების გადათვლის შემდეგ, სულ რამდენიმე კვადრატული მეტრის სიგრძე-სიგანის დაზვერვისა და გაანალიზების შემდგომ, მთელი თავისი თარილთან დაუმთხვეველი ბუნებითა თუ გვამების ჯადოქრული აორთქლებებით, კომპოზიტორის პირველი ბიოგრაფისთვის შეიძლებოდა საფლავის პოვნა რთული არც ყოფილიყო, თუკი იმ დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, რა დამოკიდებულებითაც იუდას ხელფასით შეიძინეს მიწა, რადგან გამყიდველი მოციქულის ფინანსური მაქინაციების შედეგად გაჩენილი მისტიური სასაფლაოს ყველა მკვიდრი შეიძლებოდა მოცარტად ჩაგვეთვალა, იმ ბანალური ჭეშმარიტების გათვალისწინებით, რომ ჩვენ მიწის ქვეშ მაინც ვაღწევთ ბოლშევიკურ ერთიანობას და ვიზუალურადაც ერთნაირად გამოვიყურებით, მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტად ჩვენი იქ უკვე აღარაფერია. "სისხლიანი მინდორი სავსეა გენიოსი კომპოზიტორებით!" - წამოიძახა პირველმა ბიოგრაფმა და, თავის ჭკუით, შეიძლება მიაგნო კიდეც მას, მაგრამ ის სენი შეეყარა, რისგანაც დაზღვეული არავინაა, ვინც კი მოცარტის საფლავს პოულობს: განძის პოვნა იმას როდი ნიშნავს, რომ შენ ეს ამბავი ყველას მოსდო! სამკაულებს, ან მწვანე დოლარებს მიწაში ჩამარხავ, ანდა ჩუმ-ჩუმად, თხუნელასავით დააბანდებ რაიმე სარფიან საქმეში. რას გარგებს ტელეეკრანზე მანჭვა, ანდა გაზეთში ბეჭდვა ფერადი სათაურით: "მე ვიპოვე, ბოლო-ბოლო, ამ მოცარტის საფლავი, ხალხო!" რას გარგებს ეს გაყიდული სენსაცია - ან შენ ან მას? წარმოუდგენელიც კია, საშინელებაა, რომ ამ გამქრალ საძვალეს რეალური ფორმა მიანიჭო და ლეგენდას ყოველგვარი იდუმალება მოაკლო ამ სიტყვებით: "ახლავე გეტყვით, როგორც უნდა მიაგნოთ. იმ ისარს ხომ ხედავთ? გვერდს რომ აუვლით, მარჯვნივ უნდა გაუხვიოთ და..." ამიტომაც ბიოგრაფმა შუა გამოძიებისას შეწყვიტა შრომა: უცნაურად გაყუჩდა და ხალხშიც მითქმა-მოთქმა გამოიწვია - ალბათ, დააშინეს, ან ესეც იმ ფარულ, საფლავთა გადამჩქმალავ მაგიურ ორგანიზაციაში გაწევრიანდაო, რამაც კიდევ უფრო გაზარდა იუდას ხელფასით ნაყიდი მიწისადმი ინტერესი. ზუსტად იმავე დილემის წინაშე აღმოჩნდა მეორე დიდი გერმანულენოვანი გენიოსი - ჯუჯა-სახელმწიფოს მინისტრი, საიდუმლო მრჩეველი ფონ გოეთე, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს სახლში "სისხლიანი მინდვრიდან" ამოღებული ოთხმოცი თავისქალა მიუტანეს იმ იმედით, რომ მოხუცი კლასიკოსი ძვლებში ფრიდრიხ შილერის თავს ამოიცნობდა, რომლის დაკრძალვის სანიმუშოდ ჩატარებაზეც მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაფიქრდნენ. შილერი - დამარხული მოცარტის დარად პროლეტარულ, ძმათა ერთიან საფლავში და თან - კლასიკოსის მოულოდნელი დიდება. თუ მოცარტის პოვნა არ გამოვა, რატომ შილერზე არ უნდა სცადონ ბედი? მითუმეტეს ასეთ ხელსაყრელ დროს - როდესაც გოეთე - მეორე დიდი გერმანელი და შილერის მეგობარი - ცოცხალია და თან, ალქიმიითაც დაინტერესებულია! შილერს ბედმა გაუღიმაო, ამბობდნენ, - საწყალ მოცარტს კი სად ჰყავდა ფონ გოეთესნაირი მეგობარი? ჰაიდნი ცოცხალი აღარ იყო. მარია-ანტუანეტაც! კონსტანცა ვებერი იცნობდა მის ძვლებს?

ამ ფანტასტიკური ჟანრის, ფსევდო-დეტექტიური ქრონიკის ბოლოს, რომელიც უდავოდ დიდი კომპოზიტორის თაყვანისმცემლებსა და მისი საფლავის უიმედო პოვნით დაინტერესებულებს ეძღვნება, ჩვენ მკითხველს პატარა პიესას შევთავაზებთ, რომლის რემარკებიც აბსოლუტურად არასცენურია, სიუჟეტი - არასადადგმო და რომლის იუმორი თუ სევდაც მკითხველში ვერანაირ გამოძახილს ვერ ჰპოვებს. მაშ ასე:




## ეპიზოდი ვაიმარში

ანუ

## საიდუმლო მრჩეველი ფონ გოეთე და 80 თავისქალა

მოქმედების ადგილი: ვაიმარი, გოეთეს ბიბლიოთეკა.

მოქმედების დრო: "ფაუსტზე" მუშაობის ბოლო სტადია, საუბრები ეკერმანთან და XIX საუკუნის წინა-რევოლუციური ოცდაათიანი წლები.

### სურათი I

გოეთე შთაგონებული სახით აფიქსირებს კოსმოსში გაბნეულ მძინარე ადამიანთა ასტრალურ სხეულებს. ღამის 11 საათია. მისი "ფერთა თეორია" - ოთახშია მიმობნეული ისე, თითქოს ქარმა მიყარ-მოყარაო. შემოდის მსახური - ფრიდრიხ შლოჰერი.

**შლოჰერი.** მაპატიეთ ბატონო მინისტრო, მაგრამ უნდა შეგაწუხოთ.

**გოეთე.** (კოსმიური ხილვა დასასრულს უახლოვდება) ჯობია ერთი ჭიქა "რომი" მომიტანო შლოჰერ და დაიძინო, მეცნიერული კითხვები კი ხვალისთვის გადავდოთ.

**შლოჰერი.** ნება მიბოძეთ დავაფიქსირო თქვენი უნებლიე ლაფსუსი, ჰერ! ჩემი კითხვა არა მეცნიერებას, არამედ უფრო ისტორიას განეკუთვნება, რადგან იგი, ასე ვთქვათ, კითხვა არც არის: ცნობაა - ზედმიწევნით ისტორიული!

**გოეთე.** შლოჰერ! თქვი ბოლოს და ბოლოს... და თავიც დამანებე! (ხელს აიქნევს) ეგრე არ არი...

**შლოჰერი.** თქვენი და ფრიდრიხ შილერის მიმოწერა საქვეყნოდაა ცნობილი.

**გოეთე.** რაიმე უხამსობა ხომ არ მოგივიდა თავში?

**შლოჰერი.** უხამსობის რა მოგახსენოთ და თქვენზე ამბობენ, შილერთან დიდი მეგობრობა აკავშირებდაო...

**გოეთე.** ...როგორც ბეთჰოვენთან, არნიმებთან, ჰერდერთან, შვიდი წლის მოცარტთან და მრავალ სხვასთან... ამით რისი თქმა გსურს?

**შლოჰერი.** ნება მიბოძეთ, ჯერ გიმღეროთ, რათა ისტორიულმა ცნობამ მეტი დატვირთვა მიიღოს!

**გოეთე.** ფოკუსები საჭირო არ არის, როდესაც საქმე მე მეხება, შლოჰერ! ყოველი შენი ჟესტი, ჩემს ოთახში, ისედაც ისტორიაა. პირდაპირ მითხარი.

**შლოჰერი.** ნება მიბოძეთ ცნობა კი არ გითხრათ, არამედ - შემოვიტანო.

**გოეთე.** შლოჰერ! თქვენ რა, ნასვამი ხართ?

**შლოჰერი.** არა, მე ბედნიერი ვარ, ბატონო-ჩემო!

**გოეთე.** ეს ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივეა!

**შლოჰერი.** ცნობის ნახვას თუ ინებებთ-მეთქი, ჰერ?



**გოეთე.** ჯანდაბას შენი თავი! რაც არის - არის! (მოულოდნელად აფიქსირებს ბედისწერის სიჯიუტეს, მის გარდუვალობას, რომლის სახეხატებაც აბსოლუტურად არასცენიურია)

**შლოჰერი.** ახლავე, ჰერ. (გადის)

**გოეთე.** ნუთუ ეს როდესმე არ დასრულდება? მკვდარი მეგობრის შეხსენება, ყოველი ძილის წინ! მათ არც კვირა იციან, არც ღამე... არც დღესასწაული! (გოეთე ცდილობს, რომ ისარგებლოს ამ პაუზით, ანუ მარტოობით და მოცემული სცენისათვის შესაბამისი პათოსითა და სიტყვამომჭირნეობით წარმოთქვას მონოლოგი, სადაც გაკვრით დროის ფენომენზე და ბედისწერაზე იქნებოდა საუბარი, მაგრამ არ გამოსდის: ჯერესერთი ვერ ასწრებს და მეორეც - ჭკვიანურს ვერაფერს იგონებს)

შემოდის შლოჰერი, რომელიც მოათრევს სკივრს, სკივრს, რომლის ხელმარჯვენივაც ალეგორიული არსებანი დაფარფატებენ - ოდნავ ანტიკური იერსახით. შეხედავს თუ არა მათ გოეთე - ისინი გაქრებიან.

**გოეთე.** შლოჰერ, ეს რა არის? კოლექციაა რაიმე, თუ ძღვენია რომელიმე ჰერცოგისაგან?

**შლოჰერი.** ერთიც და მეორეც, თქვენო ბრწყინვალებავ! ერის ძღვენია, რა თქმა უნდა, დროებითი და თან, კოლექციაა ჩვენი ნაციის პარნასის!

**გოეთე.** უფრო კონკრეტულად!

**შლოჰერი.** ახლავე! (ცდილობს სკივრის თავდაყირა ამოტრიალებას) ისეთი დიდებული წამის მომსწრე ვარ, თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ ავმღერდე! (სკივრიდან თავისქალები იყრება. რამდენიმე გოეთეს ფეხებთთან მიგორდება)

**გოეთე.** ო, მაინ გოთ! შლოჰერ! კაციჭამიავ!.. არამზადავ! ეს რა არის? როდის აქეთ დაინტერესდით ანატომიით? რამდენია...

**შლოჰერი.** ზუსტად ოთხმოცი ცალი, თქვენო ბრწყინვალებავ!

**გოეთე.** (მოულოდნელად ანერვიულდება, ყმაწვილური სიწითლე გადაჰკრავს, სადღაც შორიდან კი ლიტავრების გუგუნიც მოისმება) რეებს ბედავთ, ადამიანო? ნუთუ გგონიათ, რომ მე მცალია სატანისტური ჯადოსნობებისათვის?

**შლოჰერი.** (ძირს ემხობა) ო! თქვენ ვერ გამიგეთ, ჰერ! ეს თავისქალები ძმათა საფლავიდანაა... იუდას მიწიდან, ბატონო-ჩემო! ხოლო ამ ოთხმოციდან ერთ-ერთი კი ფრიდრიხ შილერია! მათი შეგროვებაც მხოლოდ იმ მიზეზით მოხდა, რომ თქვენი გენიალური თანამებრძოლი და თანამოკალმე ხელახლა მოიპოვოს გერმანიამ! ვაიმარის საჰერცოგომ კი გაითვალისწინა რა თქვენი უზადო პროფესიონალიზმი ალქიმიურ მეცნიერებასა და შავ თუ თეთრ მაგიაში, ეს ჭეშმარიტად ისტორიული მისია თქვენ მოგანდოთ, რადგან ყოველი მესამე ევროპელი დარწმუნებულია, რომ იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს თმის ბუწუწითაც შეუძლია ადამიანის ვინაობის დადგენა, არა თუ თავისქალით! თქვენ მისტიკოსი, დიდი ფილოსოფოსი და ჭეშმარიტი დემოკრატი ბრძანდებით, ჰერ! შილერის პოვნა არ გაგიძნელდებათ! (მოულოდნელად აღელვებული ამღერდება)

**გოეთე.** (ფეხი დაუცურდება ერთ-ერთ თავისქალაზე) იქნებ გინდათ შლოჰერ, რომ საბრალო მასხარა იორკის თავისქალაც გამოვძებნო ამ ვიგინდარებში?.. ანდა მოცარტის ძვლები?

**შლოჰერი.** ნუ გგონიათ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ბებერი მსახურის ახირებაა! თვით დიდი ჰერცოგი კარლ-ავგუსტუსი გეწვიათ თხოვნით!

**გოეთე.** შლოჰერ! გონს მოდით! დიდი ჰერცოგი, ალბათ, უკვე საწოლში კოტრიალობს!

გოეთეს ლაპარაკისას, მოულოდნელად დიდი ჰერცოგი შემოვა, თავისი ამალითურთ, რათა პოეტის მიერ ნათქვამი უკანასკნელი სიტყვები მოისმინოს და ამით, სულ ცოტა ხნით მაინც დაძაბოს მკითხველი.

**დიდი ჰერცოგი.** თქვენ სცდებით, გოეთე! საწოლში კოტრიალს - თქვენი თქმის არ იყოს - ყოველთვის მოვასწრებ, ისტორიის შექმნას კი ვერა.

**გოეთე.** (თავს მდაბლად მოუხრის, როგორც ტეპლიცის ცნობილ ლეგენდაშია მოთხრობილი - ბეთჰოვენთან სეირნობისას) თქვენო უდიდებულესობავ! უმორჩილესად გთხოვთ...

**დიდი ჰერცოგი.** ეს მე გთხოვთ უმორჩილესად, მთელ ჩემს ჯუჯა-სახელმწიფოსთან და შთამომავლობასთან ერთად - ყურად იღოთ ჩვენი თხოვნა და სულ მოკლე ხანში აღმოგვიჩინოთ ფრიდრიხ შილერის თავისქალა, რათა იგი შესაბამისი (მართალია დაგვიანებული!) ღირსებით კვლავ მიუბრუნდეს მშობლიურ მიწას! ჩვენ, ვაიმარში, არასოდეს შეგვშლია კლასიკოსებთან ურთიერთობა. გენიოსი ხარ? შენთან ვდგავართ. უნიჭო და ზარმაცი ხარ? ვერ ჰქმნი მომავლისთვის საჭირო კულტურულ ველს? ანუ არ გინდა შრომა და კითხვა? გაეთრიე მაშინ აქედან! (შლოჰერი ტაშს შემოჰკრავს)

**გოეთე.** თქვენო უდიდებულესობავ, ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი პატივია, რომ თქვენ და ჩემმა კეთილმა ხალხმა ასეთი დიდებული მისია დამაკისრა... თუ შეიძლება ასე ითქვას: მისია - მეგობრის ხელახალი პოვნისა, მაგრამ მერწმუნეთ: ეს საოცარ სირთულეებთანაა დაკავშირებული... მეხსიერება უკვე კარგა მაგრად მღალატობს... წარსული ბუნდოვანდება ჩემში...

**დიდი ჰერცოგი.** ო! ზღაპრები! რასაც ვერ დავიჯერებ - ეს სკლეროზით დაავადებული გოეთეა. ვის მეხსიერებასაც ბრმად ვენდობი, ეს თქვენ და ტალეირანი ხართ. კაცობრიობის ორი წამზომი! მემატიანე! თარიღებით გაძეძგილი გენიალური თავი! თუ გნებავთ, მდივანს მოგამაგრებთ?

**შლოჰერი.** ერთი უკვე ჰყავს.

**დიდი ჰერცოგი.** გადაიკითხეთ, ბოლო-ბოლო, თქვენი და შილერის მიმოწერა, ორ ტომად! "ვილჰელმ-მაისტერი!".. "ვერთერს" დაუბრუნდებით! გაიხსენეთ პირველი კოცნა!.. აღიდგინეთ წარსული. ჩვენი პირველი შეხვედრა... დიალოგი ნაპოლეონთან... თქვენი პირველი ეროტიული შოკი!

**გოეთე.** მაშინ შილერის თავისქალის პოვნა კი არა - ავტობიოგრაფიის დაწერა მომიწევს.

**დიდი ჰერცოგი.** და დაწერეთ მერე! ვინ გიშლით? თუნდაც, ასეთი სათაურით: "პოეზია და სიმართლე!" ან, როგორც გინდათ?! ოღონდ გვიპოვეთ ეს შილერი! რა გახდა ასეთი? ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს: მეფე პოეტს ეწუწუნებოდეს!

**გოეთე.** კი მაგრამ, ესეც არ მესმის, თქვენო უდიდებულესობავ...

**შლოჰერი.** (თავისთვის) დედა, რამე საშინელება არ უთხრას! (აქ, იქნებ, მკითხველს გაეღიმოს კიდეც!)

**გოეთე.** რატომ ხართ იმაში დარწმუნებული, რომ ჩემს მიერ ამორჩეული თავისქალა, ნამდვილად შილერი იქნება?

ასე რატომ მენდობით? იქნებ თავი არც შევიწუხო და პირდაპირ აი (ფეხს გაჰკრავს ერთ-ერთ თავისქალას) ამაზე ვთქვა, შილერიაო?!

**დიდი ჰერცოგი.** ჯერესერთი, მე ვიცი, რომ ტყუილი თქვენი ბუნებისათვის დამახასიათებელი არ არის. რასაც თქვენ საკუთარ თავს ვერ აპატიებთ - ეს საქმისადმი ინფანტილური დამოკიდებულებაა...

**გოეთე.** (თავისთვის) ო, როგორ ვერ ვიტან, როდესაც ჩემი ხასიათის თავისებურებაზე იწყებენ მსჯელობას!

**დიდი ჰერცოგი.** და მეორეც: მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ შთამომავლობა არ გაპატიებთ ამ ლაფსუსს, - თუკი თქვენ შილერის თავისქალის ძიებისას რაიმე შეცდომას დაუშვებთ. დარწმუნებული ვარ - ისე როგორც ორჯერ ორი ოთხია - რომ მომავალში აუცილებლად მოიგონებენ... რაღაც ველებს... უხილავ ქსელებს... რითაც, ასე ვთქვათ, ძვლების გაშუქებისას ვინაობის დადგენა შეეძლებათ! არ ვიცი, რა ერქმევათ ამ მანქანებს, მაგრამ...

**შლოჰერი.** რატომღაც სიტყვა... კომპიუტერი მეკვიატება! მეც არ მესმის, რატომ?!

**დიდი ჰერცოგი.** თუნდაც! და მერე ნახეთ დიდი პოეტი გოეთეს და ჩვენი ეპოქის დიდება! მათ ყოველგვარი ველების გარეშე, ცარიელი ხელებით იპოვეს შილერის თავისქალა, ჩვენ კი ამ მანქანებით ვჯახირობთო - იტყვიან მომავლის ადამიანები! და ეს ხომ არა მექანიკური პროგრესის, არა მექანიკური საუკუნის, არამედ რომანტიული XIX საუკუნის გამარჯვება იქნება, გოეთე! ჩვენ მოვალენი ვართ, რომ საკუთარ ეპოქასა და საუკუნეს დიდება შევუნარჩუნოთ! რომ არაფრად გამოჩნდეს მომავალ საუკუნეთა მატერიალისტური წინსვლა - XXI, XXII, XXIII საუკუნისა მეცხრამეტე საუკუნის სულიერ პროგრესთან შედარებით... რადგან მე მჯერა: ანტიკური ხანა ყოველთვის წინ უსწრებს შუა საუკუნეების სიბნელეს, ინკვიზიციას და თუნდაც რენესანსს... ხოლო ატლანტიკური ეპოქა - ელინურ კულტურაზე ბევრად უფრო თანამედროვეა! გოეთე! თქვენ შანსი გეძლევათ, რომ ბრძოლა გამოუცხადოთ მანქანებს... ეს ბანალურია, მაგრამ თანადროული! იპოვეთ შილერის თავისქალა! დიდი სიყვარულით, თქვენი მეგობარი და თაყვანისმცემელი - კარლ-ავგუსტუსი. 1828, ხუთი ნოემბერი. (კარებისკენ წავა, გასვლისას შეჩერდება, გოეთესკენ გამოიხედავს) რაღაც, წერილივით გამომივიდა, არა?

### სურათი II

გოეთე დგას საწერ მაგიდასთან. ძირს, ერთ რიგზე თავისქალებია განლაგებული. ჰაერში, სადღაც მიკარგულ, ბუნდოვნად აციალებულ განზომილებათა შორის - წამის ისტორიულობის შეგრძნება დაფარფატებს.

გოეთეს სულიერი მდგომარეობა: ოდნავი დაბნეულობა და შფოთვა.

გოეთეს ფიზიკური მდგომარეობა: ახლახანს ივახშმა.



**გოეთე.** (დიდი ხნის დუმილის შემდეგ, უყურებს თავის ქალებს) მიდი და გაარკვიე ახლა, რომელია აქედან შილერი?!

ისმის მორიდებული და ოდნავ სევდიანი კაკუნი.

შემოდი, შლოჰერ!

შემოდის ეკერმანი.

**ეკერმანი.** თუკი ეს თქვენი სურვილი იქნება - მე დღეს თქვენივე მსახურის ფუნქციას შევასრულებ. დაბნელებამდე შლოჰერი ვიქნები.

**გოეთე.** ოჰ, ეკერმან! ეს თქვენ ხართ? შემოდით, შემოდით... ნუ გრცხვენიათ. ღლიურებს კიდევ სწერთ?

**ეკერმანი.** (თავისთვის, ცოტა არ იყოს ეწყინა) რას ჰქვია - კიდევ ვწერ? (გოეთეს) როგორც მომიხერხდება ხოლმე, თქვენო ბრწყინვალებავ! (უნდა, რომ თავისქალების შესახებ დაუსვას რაიმე კითხვა, მაგრამ ეუხერხულება. გონებაში ათასნაირ მეცნიერულ საკითხებს ეძებს, ოღონდ კი ძვლებზე არ ჰკითხოს რამე, მაგრამ მაინცდამაინც ახლა არ მოსდის თავში არაფერი. ბოლოს და ბოლოს, საკუთარ მე-სთან ჭიდილით დაქანცული თავს ვერ შეიკავებს და კბილებსშორის გამოცრის) მთელი ქალაქი იმას ლაპარაკობს, თქვენო ბრწყინვალებავ, დიდი პოეტი ფონ გოეთე, თავის ბიბლიოთეკაში, შილერის თავისქალის პოვნითაა დაკავებულიო. როგორც ვხედავ - ჭორები დადასტურდა. (პაუზის ეშინია. არ ჩუმდება, დუმილის დროს, გოეთემ თუ მრისხანედ შემომხედა, ეს სიკვდილის ტოლფასი იქნებაო) მე კიდევ ერთხელ ვრწმუნდები თქვენი სულის ტიტანურ ძალისხმევაში და ჩემთვის - მინდა ამას ხაზი გავუსვა - უბრალო, ბიურგერული ოჯახის ნაშიერისათვის, მაინც საოცრად დამთრგუნველი და გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება, რომ ამ საძვალეში გერმანიის მეორე დიდი კლასიკოსი აღმოჩნდეს! იქნებ უკვე თავიც მოგაბეზრეთ ჩემი მატერიალისტური ეჭვებით, მაგრამ ეს მართლაც უცნაურია!..

**გოეთე.** (დაჰკრავს პატარა ზანზალაკზე) შლოჰერ!

**ეკერმანი.** (თავისთვის) უი? უკვე უნდა წავიდე?

შემოდის შლოჰერი.

**გოეთე.** შლოჰერ! დატოვე მხოლოდ ოცდაათი თავისქალა. დანარჩენი - გაიტანე.

**შლოჰერი.** ესე იგი - საქმე წინ მიდის. ასეც ვიცოდი.

**გოეთე.** (განრისხდება) შლოჰერ!

**შლოჰერი.** ახლავე, თქვენო ბრწყინვალებავ. (ითვლის თავისქალებს)

**გოეთე.** (შემცბარ ეკერმანს) რაზე ფიქრობთ, ეკერმან?

**ეკერმანი.** (შიშნარევი სიამაყით)... სხვა რამეზე.

**გოეთე.** (გაუკვირდება მისი უტიფრული პასუხი) მაინც?

**ეკერმანი.** კონსტანცა ვებერზე, თქვენო ბრწყინვალებავ, მოცარტის ცოლზე.

**გოეთე.** საინტერესოა, თქვენ მას შეხვდით?

**ეკერმანი.** არც კი ვიცი, ცოცხალია თუ არა.

**გოეთე.** მაპატიეთ ეკერმან, მაგრამ რა დროის დასახარჯი კონსტანცა ვებერია? მესმის, მოცარტზე გეფიქრათ? ან, ბოლო-ბოლო, მის შვილებზე?!

**ეკერმანი.** მე იმდენად კონსტანცაზე არ ვფიქრობ, რამდენადაც მის საქციელზე, თქვენო ბრწყინვალებავ.

**გოეთე.** რომელ ერთზე?

**ეკერმანი.** ყველაზე მთავარ და გაუგებარ საქციელზე! რატომ ავიდა ქმრის საფლავზე პირველად მოცარტის სიკვდილიდან ათი წლის გემდეგ - 1801 წელს? ამდენ ხანს რას აკეთებდა? 1791 წლიდან 1800-მდე?

**გოეთე.** დაავიწყდა.

**ეკერმანი.** ბატონო?

**გოეთე.** ხო, ხო, ეკერმან! მას, უბრალოდ, დაავიწყდა იქ ასვლა. ოღონდ, გთხოვთ, ნუ ახსნით ამ საქციელს მისი ინფანტილურობით. ინფანტილურობა - აქ არაფერ შუაშია. არის ასე, რომ ადამიანს მის ცხოვრებაში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ავიწყდება, რადგან იმდენად ძლიერია ამ მოვლენის იმწამიერი აფეთქება, რომ შემდეგ მისთვის მეხსიერებაში ადგილის მოძებნა ძალიან გიჭირს. ამ ფსიქოლოგიური მოვლენის ახსნა რთულია, მაგრამ მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება: აი მაგალითად, იუდეის მეექვსე პროკურატორ პონტოელ პილატეს ვერაფრით გაახსენეს, რომ მან იესო ქრისტეს სიკვდილი მიუსაჯა, - რომ თავისივე ხელითაც მიუწერა: “ეს არის იუდეველთა მეფე!” ამ დროს იმის უარყოფაც არ გამოვა, რომ პილატეს ცხოვრებაში (რა თქმა უნდა მისდა გაუცნობიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლად!) ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა - ქრისტესთან შეხვედრის სახით. თქვენ ეს გესმით? მას დაავიწყდა, რომ ოდესღაც ღმერთი აცვა ჯვარს? განსხეულებული კოსმოსის მთავარი არსება! როგორც პაჩინიმ ვერ იცნო მის მიერ დაწერილი ვერცერთი ნოტი, სიკვდილის წინ და, როგორც როლანდმა ვერ გაიხსენა საკუთარი ქორწილი! პეტრეს სამმაგი უარყოფაც, მხოლოდ და მხოლოდ, მისი ზებუნებრივი, იმწამიერი ებრაული სკლეროზით იყო გამოწვეული და არა - ბანალური ღალატით! იგივე სურათი გვხვდება კონსტანცასთანაც: მას დაავიწყდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გმირი, ყველაზე უფრო სახიერი პერსონაჟი საკუთარი ცხოვრებისა - მოცარტი, თავისი სიკვდილითურთ! იმდენად ძლიერი იყო ამ ადამიანის გამოჩენა, იმდენად ნაღმის აფეთქებას დაემსგავსა მოცარტის მოსვლა და სიკვდილი კონსტანცას მეშჩანურ ყოფაში, რომ ამან საბრალო ქალის მთელი ენერგია თან გაიყოლა - სიყვარულით დაწყებული და მეხსიერებით დამთავრებული... დაავიწყდა, რომ ჰყავდა ქმარი, რომ მოუკვდა, რომ სადღაც, ძმათა საფლავში ჩააგდეს უკანასკნელ მაწანწალასავით, და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაიხსენა - როდესაც შოკმა ნელ-ნელა გადაუარა, (მეხსიერებისაგან გამოწვეულ შოკს ვგულისხმობ!) - ან, შეიძლება, გაახსენეს რომ აი ის, გენიალური კომპოზიტორი მოცარტი მისი ქმარი, ამ ორი უნიჭო ბიჭის მამა და კაცობრიობის ერთ-ერთი ბრწყინვალე გენია იყო და რომ მისი საფლავის პოვნაა საჭირო! ცოლი - უკანასკნელი არსებაა ამ პლანეტაზე, ეკერმან, ვინც შენს ნიჭს, ცოტა მაინც გაუწევს ანგარიშს. კონსტანცა ვებერი ბოლო ადამიანი აღმოჩნდა იმ მილიარდიან სიაში, ვინც თქვა: დიახ, მოცარტი მართლაც კარგი მუსიკოსი ყოფილაო! ამიტომ გეუბნებით, ეკერმან - გაუფრთხილდით მეხსიერებას! მეხსიერებას უყვარს სიფრთხილე! უმთავრესი მოვლენები შენი ცხოვრებისა ისე მიგირბიან თავიდან, რომ ვერც კი ასწრებ მათ დაფიქსირებას. ამ თეორიის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი და დასტური შობა და სიკვდილია - ორი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი ადამიანის ცხოვრებისა, რომელსაც ვერც დაიმახსოვრებ და ვერც დააფიქსირებ შენ თვითონ! ჯერ არ დაბადებულა ისეთი ადამიანი, ვისაც პირველ პირში მოეთხრობს საკუთარი შობის სცენა!

**ეკერმანი.** როგორ? თქვენ ფიქრობთ, რომ მე შეიძლება გოეთესთან შეხვედრა დამავიწყდეს?

**გოეთე.** თუკი ეს თქვენი ცხოვრების ყველაზე მთავარი მოვლენა იქნება!

**ეკერმანი.** რა თქმა უნდა! უმთავრესი! გოეთესთან შეხვედრა - აი რა არის ჩემი ცხოვრების აზრი! არასოდეს დამავიწყდება თარიღიც კი: 1823 წლის 10 ივნისი. ვერანაირი შოკი ვერ წამიშლის ამ რიცხვს მეხსიერებიდან! რა უნდა მოხდეს, თქვენ ბრწყინვალებავ, რომ მე ეს დღე დამავიწყდეს?

შლოჰერს გააქვს თავისქალები. ტოვებს მხოლოდ ოცდაათ ცალს.

**გოეთე.** ამიტომ ყველაფერი უნდა ჩაინიშნოთ, ეკერმან!

**ეკერმანი.** თუ ნებას მომცემთ, აქვე ჩავინიშნავდი ამ რამდენიმე წამის წინ თქვენს მიერ თქმულს, თორემ მეშინია სახლში ჩანიშვნისას, რამე არ გამომეპაროს. (ამოიღებს ქაღალდს, მივა მაგიდასთან და კალამს მელანში ჩააწობს) მეხსიერებით დავიწყო, არა?

**გოეთე.** (მიუახლოვდება ეკერმანს, ზემოდან დაჰყურებს მასწავლებელივით, ეკერმანი დაიბნევა) ეკერმან, რვეული უკუღმა გიდევთ.

**ეკერმანი.** ოჰ!.. მაპატიეთ. (ამოატრიალებს რვეულს) თავიდან... ერთი წამით...

**გოეთე.** რატომ მარჯვნიდან მარცხნივ? არაბი ხართ?

**ეკერმანი.** ცაცია ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ.

**გოეთე.** ეს არაფერს სცვლის.

**ეკერმანი.** (დაიბნევა) მართალი ხართ. (თავიდან იწყებს წერას)



**გოეთე.** მ,მ!.. მეხსიერება და არა - ნეხსიერება!

**ეკერმანი.** ოჰ!.. მაპატიეთ...

**გოეთე.** ე... ხ, ს.. ეკერმან! ს და არა - შ!.. რა მოგდით?

**ეკერმანი.** მეც არ მესმის, რა მომდის? მგონი ჯობია სახლში დავწერო, ჯერ შავად.

**გოეთე.** როგორც გნებავთ. ოღონდ მე მაინც წამაკითხეთ, ყოველი შემთხვევისათვის.

**ეკერმანი.** რა თქმა უნდა, თქვენო ბრწყინვალებავ!

**გოეთე.** (ზანზალაკს ჩამოჰკრავს) შლოჰერ!

**ეკერმანი.** (თავისთვის) ვაიმე! მგონი ჩემი წასვლის დრო მოვიდა!

შემოდის შლოჰერი. მივარდება ერთ-ერთ თავისქალასთან.

**შლოჰერი.** ეს არის... ეს არის?

**გოეთე.** შლოჰერ! ღირსეულად! კლოუნადას ნუ მართავთ! დატოვეთ მხოლოდ ხუთი ცალი. დანარჩენი გაიტანეთ, ოღონდ ნუ გადაყრით, შეიძლება მათშიც ამოვიცნოთ ვიღაცვიღაცეები.

**შლოჰერი.** მოცარტი?.. კარლოს-დიდი?

**გოეთე.** საქმეს მიხედეთ შლოჰერ! (დაჰყურებს თავისქალებს) ისე შევეჩვიე, რომ უკვე ოცდაათშივე შილერს ვხედავ.

შლოჰერი იწყებს თავისქალების გადარჩევას.

**გოეთე.** (საიდანღაც თავისქალების ყრუ ანსამბლი მოესმება) ხანდახან არის წუთები, როდესაც მძულს მუსიკა! ისეთი მუსიკა, რის მიღმაც არ არის შინაარსი. მე სიუჟეტს არ ვგულისხმობ, ეკერმან! ჩემი "ფაუსტისთვის" ისეთ მუსიკას ვისურვებდი, როგორიც მოცარტის "დონ-ჟუანია!"

**შლოჰერი.** თქვენო ბრწყინვალებავ, მაინც როგორ აპირებთ შილერის თავისქალის პოვნას? რაიმე განსაკუთრებული ნიშნით უნდა გამოირჩეოდეს სხვა თავისქალებისაგან, თუ ახალი ფუძის ძვალი უნდა უპოვნოთ? იქნებ შექმნათ კიდეც ახალი, თანამედროვე ფორმის თავი? სრულყოფილი... არიული, მე ვიტყოდი! ჭეშმარიტად გენიოსის საკადრისი თავი, რომელიც შეფასების კრიტერიუმად გამოდგება სხვა, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის! ერთგვარი ახალი მოდელი თავის ფორმისა - ანტიკური ტეხილით, მაღალი შუბლით, ბრცვივით კონკრიხოთი, ბლაგვი კეფით... სწორი ცხვირით! თავისქალა N7 - შილერი, თავისქალა N8 - მოცარტი, თავისქა-

ლა N18 - ჰაიდნი...

**გოეთე.** შლოჰერ! ნუ აყოვნებთ!

**შლოჰერი.** მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ. (გადის. ტოვებს მხოლოდ ხუთ ცალს).

**ეკერმანი.** ახლა ეჭვი გამიჩნდა, რომ თქვენ ამ ძვლების ხროვიდან მართლაც შეგიძლიათ - შილერის გამონახვა. ეს კი შემზარავია, თქვენო ბრწყინვალებავ. ეს - არანაირ გონებრივ ლოგიკას, არანაირ სულიერ ინტუიციას არ ექვემდებარება.

**გოეთე.** 1794 წლის 25 ივლისის წერილში შილერი მწერს, რომ მე, ჩემში მშვენივრად ვათავსებ ფილოსოფიურ ინსტინქტსა და გონების სპეკულაციურ დასკვნებს, გენიოსი, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვისაა შეუცნობელიო - მეუბნება იგი. ეს ჩემი ხელობაა, ეკერმან! გენიალობა - ეს ჩემი პროფესიაა!

შემოდის ერთგვარი წიგნისეული, მომავლიდან მჭვრეტი ეკერმანის ორეული, რომელიც მხოლოდ წიგნის სტრიქონთა შორის ცხოვრობს.

**გოეთე.** კი ბატონო! დავტოვოთ ორი! ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მე მართლა აღმოვაჩენ თუ არა შილერის თავისქალას! გოეთეს ვერავინ გაუხაზავს რვეულს წითელი ფანქრით! ჩემს შემოწმებას ვერავინ გაბედავს! მთავარი აქ სულ სხვა რამაა... დავიცვა თამაშის წესი, რომელსაც ისტორია მთავაზობს. ვითამაშო იმ ხერხებით, იმ ფანტასტიკური, ლეგენდარული ხერხებით, რითიც ცოცხლობს ისტორია! დავიცვა ის პოზა - პოზა, მისტიკოსი ქურუმისა, რომელიც ძვლებში მეგობარს იპოვის! ისტორიისათვის გავითამაშო ეს იდუმალებით მოცული ღამე და სპექტაკლი ბოლომდე მივიყვანო. არ შემენანოს დრო იმისათვის, რომ რეალური ყოფა ოდნავ მაინც დავაშორო დოკუმენტალურობას! შთამომავლობა არა შილერის თავისქალას, არამედ - დღევანდელი ღამის ლეგენდას მომთხოვს, დღევანდელი ძიების მისტიციზმს... არავის სჭირდება კუბოში მწოლი, მავთულით შემოღობილი მოცარტის ერთადგილიანი საფლავი - გაგორებული სააღდგომო კვერცხები მისი საფლავის მიწაზე და ქვის ჯვარი - შობა-სიკვდილის წლების მითითებით... მომავლის ადამიანს მოცარტის გამქრალ საფლავზე უფრო ურჩევნია დარდი, ვიდრე რეალურ ქვასთან მოთქმა! მაწანწალებთან ერთად!.. ეს გენიოსი!.. უსაფლავოდ! "რექვიემის" შექმნისას მკვდარი... მოწმე არ არსებობს... მასონური ლოჟები! შურიანი საიმპერატორო კარი! მკვლელი სალიერი... ძუნწი ვან-სვიტენი, რომელსაც სამი ფლორინი შეენანა... ო, ღვთაებრივო უმადურობავ! ეს ხომ შესანიშნავია! ნუთუ ვერ ხედავთ, რამდენი თემაა იმისათვის, რომ მომავლის უსაქმურმა ადამიანმა ფიქრისთვის დრო დახარჯოს?! გოეთე, რომელიც ერთ ღამეში იპოვის შილერის თავისქალას... ოთხმოცი ერთნაირი თავისქალიდან - შილერს აღმოაჩენს! ბებერი კლასიკოსი მეგობრის ძვლებს პოულობს... გაუგებარია როგორ, თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს!.. ეს ხომ თამაშია! ისტორიული ტრაგიფარსი! ბიურგერული დრამა! პიესის სიუჟეტი... ესსეისტური თემა!.. ნუთუ ხვალ დილით, ვაიმარს, ამ ორიდან ერთი არ უნდა წარვუდგინო? (ამ დროს, უკან შეიძლება, რომ დიდი ჰერცოგიც გამოჩნდეს, თავისი ამალითურთ, რომელიც თითქოსდა არც უნდა არსებობდეს რეალურად. მის გამოჩენას ალეგორიულობის ელფერი უნდა გადაჰკრავდეს. ეს წამი - ისტორიაა) აი, შემომხედეთ ეკერმან! ძვირფასო, დაიმახსოვრეთ ეს წუთი! გოეთე უახლოვდება თავისქალებს, ერთს - იქით აგდებს, მეორეს ხელში იღებს, მაღლა სწევს და თვალცრემლიანი, ხალხსა და მბრძანებელს მიმართავს: "ხალხო! თქვენო უდიდებულესობავ! აი, ეს არის ფრიდრიხ შილერის თავისქალა! მე ვიპოვე იგი!".. და შემდეგ ოვაცია, რომელსაც დასრულება არ უწერია...

**ფარდა**

*2000*

## ლელა სამნიაშვილი



* * *

ჩვენ მზესაც ვწვდებით,
ოღონდ არა გვსურს -
ის რომ ელვარებს, ისე ავენთოთ,
ვთქვათ - "საკუთარი თავი გვიყვარდეს
და გარეთ ნულარ დავწანწალებთო";
და ბალახისაც გვესმის - უჩუმრად
მისი ფოთლები როგორ იძვრიან;
მაგრამ ერთმანეთს არ ვუჩურჩულოთ, -
არ შეგვიძლია.

ქალაქის ხედი
მოხუც ტურისტებს ვემშვიდობები.
ზურგჩანთებით, მუხლებამდე მაისურებით
და კონსერვის ქილებით ხელში
სიძველის ფონს დაეძებენ ფოტოებისთვის.

მე მათ ვუთხარი,
რომ თუ ფარაონს მთა აწევს გულზე,
ამ ქალაქში ის მთა არ არის.

მე მათ ვუთარგმნე ბავშვის ლექსი
ვარდის კოკრებით,
შავ ყვავილზე კი თვითონ იცოდნენ, -
შავი, წითელი ვარსკვლავებით
რომ ამოწვა შუბლი, მუნდირი.

კოცონები - ცერა თითით რომ მსურს ჩავაქრო,
როგორც უწინ, - მახლობელ მთაზე
ავტომანქანის ფარი რომ ჭრ[illegible].
იქ ადიოდა უამრავი ქალი და კაცი
და თეთრ კრავებს სწირავდნენ უფალს.

მე კი მჯეროდა, -
მოხუცი დევი ცხოვრობდა მთაზე
და არ მიკვირდა -
რატომ იყო ხორცის ნაყოფი
მიწის ნაყოფზე უკეთესი შესაწირავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხოლო სიკეთე, -
დღემდე როგორც უჩინარი,
ძვირფასი ხელი, -
გორიჯვრის მთიდან
ჩიტების და ფოთლების ქარით
წვდება მრგვალ და უზარმაზარ
იმედის ციხეს.

## გამოზამთრება

სამოთხის ფრინველს
ღუმელში შეყრილ პურის ნამცეცებს
ვამყოფინებ გამოსაკვებად,
ზამთარი ისე დაადნება ხეებს და მიწას,
მისი ჩრდილი ფრთას არ შეარხევს
და თუკი იმას - ჩრდილის გარდა
სული არა აქვს,
შენი სარკმლიდან
შეიძლება შავადაც მოჩანს.

ან იქნებ - ლექსიც მხოლოდ თავის გადარჩენაა?
თეთრმა თოვლმა - შავი ჩიტებით
ძველისძველ სოფლად გადაფარა მთელი ქვეყანა;
და ეს დღეები, ღამეები -
ლოლუებად გაყინულები -
შემიძლია სულაც - ხელით ჩამოვამტვრიო...

ძვირფასო, რისთვის უნდა გადავრჩეთ?
რომ შენ ჩემთან გამოაღწიო?
რომ საბანში შეყუჟულ ბავშვებს
ვუამბობდე ზღაპარს - დათვებზე -
ზამთრობით რომ სძინავთ
და ვერ გრძნობენ -
დრუნჩზე როგორ ადნებათ
შაქრის ფიფქები?..

ჩემი ბებია მესიზმრება, -
წარსულ ზამთარს,
ბავშვობის სახლში,
ძველ ღუმელთან - თავის თავშალს
მხრებზე რომ მახვევს.

* * *

ლექსის თაროზე,
როგორც ძველ რითმებს, -
ჩამოვამწკრივებ დაკარგულ ნივთებს;
ხოლო ის რკალი -
შუშის ყვავილით, -
თვალისმომჭრელად მიელავს თითზე.

* * *

გამომიწოდე სანთებელა,
მოუკიდე სიგარეტის ღერს, -
ფერფლისათვის რომ მიჭირავს,
ფერფლს რომ ვუცდი,
ცერა თითით რომელსაც შევჭამ.
ფერფლისაგან - სათითაოდ
ყოველი დღე მოვაკრიალე.
ადამიანებს - მტვერსასრუტებს
აღარ დარჩათ მტვრის ნამცეცი,
ან სისხლის წვეთი.
მათგან ყველა - ომის ღმერთია.
იქნებ იმათ მართლა სჯეროდეთ, -
რომ სინამდვილეს ნიღაბი რომ
ჩამოაცალონ,
მის პირის ჭრილში ჩაფანტული
პური და წყალი -
ნახავენ, ყანად როგორ ბიბინებს.
მაგრამ იქაც -
უთვალავი მკვდარი, დაჭრილი -
გულაღმა - ცას მიშტერებია.
ჩემი ქართული, აფხაზური,
ჩეჩნური სისხლი
ომის შავი თავდავიწყებით
მწვერვალიდან შავი ზღვისკენ დაქანებულა.
შეიძლება ყველაფერი უკვე დასრულდა;
ყველა მკვდარი დაიმარხა,
ყველა დაჭრილი -
ჰოსპიტალში ელოდება ამპუტაციას
და თვალებიც - სახვევებიდან -
ჭერს აჰყურებენ;
ხოლო ეს ფერფლი...
ამდენი ფერფლი - მოედება და
დაფარავს ახალ სახელმწიფოებს,
ადამიანებს და მომავალს -
რათა ფერფლით გამოიკვებნონ.



* * *

დაიჯერებდი ალბათ -
უთუოდ,
რომ შენს სამოთხეს
ბზარი არ უჩანს, -
რომ არ ჰქონოდა
თვალებს ქუთუთო;
რომ არ გცოდნოდა -
მისი დახუჭვა.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გივი ალხაზიშვილი



* * *

გარეთ ადგილი აღარ არის,
გარეთ სივრცე აღარ არის...

თვალები შიგნით იყურებიან,
სადაც უფრო ადვილია სუნთქვა,
სადაც თავის აღმოსაჩენად
ვიძირები, ვიძირები, ვიძირები...

გარეთ ადგილი აღარ არის,
მაგრამ მაინც მოძრაობენ ერთი მიმართულებით,
სადაც მუდამ დარჩენა შეუძლებელია
და საიდანაც სულ რაღაც მიაქვთ
შთაბეჭდილების მსგავსი,
იგივე მიმართულებით,
დამუნჯებულ სამყაროსკენ მოძრაობენ.

გარეთ ადგილი აღარ არის,
საითკენაც ფანჯრის თვალები გაიხედავენ -
ან თვალების ფანჯრები რაიმეს აღმოაჩენენ,
გარდა ამ ძველი მეტაფორებისა -
ჭუჭრუტანებადაც რომ არ გამოდგებიან,
რადგან დაგმანულია ყველა გასაღწევი -
საკუთარ თავში ჩასაძრომის გარდა.

გარეთ ადგილი აღარ არის...

უფსკრულის ბაგეებივით რაღაც იხსნება ჩემში,
იქ შეიძლება ჩაკარგვა,
ჩაკარგვა, ჩაკარგვა...

ამ ცხოვრების შთაბეჭდილებები
არსებობენ დასავიწყებლად.

სხვას ველარ აგრძნობინებ როგორ ემზადები იმისთვის,
რისთვისაც სხვებიც ემზადებიან
და სხვადასხვა გზით მიდიან ერთი წერტილისკენ -
მრავალსიტყვაობის მომაკვდინებელ სიმუნჯისკენ,
სადაც სიტყვები დუმილის ჭაში ცხოვრობენ
გაუხმოვნებლად.

ისე ეძებენ პირჯვრის სივრცეს,
თითქოს მართლა აღარ იყოს ადგილი -
ჩემთვის, თქვენთვის, მათთვის,
ყველასთვის, ვისაც სხვაგან წასვლა უნდა,
სხვაგან და არა იქით,
სადაც ყველა მიდის სხვადასხვა გზით: -
იქით, იქით, იქით...

*6.V.2000 წ.*

### შინ

ამ სახლის ძველი ბინადრები სადღაც წავიდნენ,
ჩუმად, ნელ-ნელა, ფეხაკრეფით სადღაც წავიდნენ
და რაც მიჰქონდათ, რომ ეგონათ ისიც აქ დარჩათ -
ამ სავარძლებში, კარადებში და ამ კიბეზე,
რომელიც აღარც ზემოთ ადის, არც ქვევით ჩადის,
იმ სურათებში დარჩათ რაღაც, რაც ვერ წაიღეს -
მაღალ კედლებს რომ ამშვენებენ იმ სურათებში,
ახლა ერთმანეთს რომ უყურებენ უძრავი მზერით
და ახალგაზრდულ გამოხედვას ინარჩუნებენ,
რომელიც აღარ დაჭირდებათ აღარასოდეს,
რადგან ნელ-ნელა, თითო-თითოდ სადღაც წავიდნენ,
საკუთარი სხეულებიდან ამოიპარნენ და სადღაც გაქრნენ,
თუმცა წასვლამდე წასასვლელად ემზადებოდნენ
და ღამ-ღამობით უძილო თვალებს უშტერებდნენ
აკვიატებულ აზრს, რომელიც ბნელ ოთახებში
ჰაერსაც კი შიშის ზარს სცემდა
და საბრალოებს სუნთქვა უჭირდათ
და ფანჯრებიდან შემოხეტებულ ჩრდილების რწევას
თვალს აყოლებდნენ და ხსნიდნენ წამლის
პაწია შუშებს, ითვლიდნენ წვეთებს
ჭიქის ფსკერს რომ ნელა ფარავდა
და წამლის მძაფრი სუნი ოთახში
სულს უხუთავდა ხავერდის ვარდებს
და ნაადრევად იწყებდნენ ჭკნობას.

ამ სახლის ძველი ბინადრები სადღაც წასულან,
აქ არ არიან, მაგრამ მაინც, მაინც იგრძნობა
მათი აქ ყოფნა ამ ტანსაცმელში და გაშლილ წიგნში,
რომლის მეათე გვერდზე ვიღაცას მიუწერია
გაკრული ხელით: "რაც ხსოვნაშია სამუდამოდ
ჩემთან დარჩება".

მტვრიან ლარნაკებს ყელმოღერილებს ხომ ახსოვთ
მთვარე რომ ჩაჰყურებდა წყლიან თვალებში
და მათ ყვავილებს სურნელს ართმევდა
და ფარდის რხევა ლამის სუნთქვას იმახსოვრებდა,
რადგან ყოველი გაფაჩუნება იმ ხსოვნაში ინახებოდა,
რომელსაც უნდა მოეღწია დღევანდელ-დღემდე
და მეც იმ ხსოვნას მივმატებოდი
შეუმჩნევლად და ფეხაკრებით, ისე თანდათან,
რომ მე ვერასგზით შემემჩნია
სხოვნა როგორ მისრუტავდა,
როგორ მიჰქონდა ყოველივე.

რაც მეგონა რომ მეკუთვნოდა
ყველაფერი ხსოვნის ყოფილა.

ეს სარკე ოთახს სივრცეს რომ ართმევს,
შენ კი გგონია სივრცეს ამრავლებს
და აფართოებს თვალსაწიერს, თანაც აღრმავებს,
რასაც თვალს მოჰკრავს იმეორებს, მხოლოდ ირეკლავს
და ამიტომაც, უმჯობესია სარკეს რამე ჩამოვაფარო,
რომ ოთახი თავის რეალურ კედლებში დარჩეს
და იქით ცქერას გადაეჩვიოს
სადაც სახლის ბინადარნი წამდაუწუმ იყურებოდნენ -
თმას ივარცხნიდნენ და ნაოჭის აღმოჩენისას
ანდა თეთრი თმის დანახვისას ჩუმად ოხრავდნენ.

მათი ხსოვნით გაჯერებულ ჰარში ახლა
აღარაფერი აღარ სუნთქავს გარდა წარსულის -
თავის სიცოცხლეს რომ აგრძელებს ყველა საგანში,
ყველა ნივთში და ყველაფერში, რასაც, ოდესღაც,
გაპარულმა ბინადრებმა ხელი შეავლეს
ან მათ თვალებში ისე ჩარჩა, რომ საგრძნობია:
ყველა საგანი მათი თვალებით იმზირება
ან ინახავენ მათ ნათითურებს, ანდა უბრალოდ
ხელების სითბოს,
რომელიც თურმე აქვე დარჩათ, როცა წავიდნენ -
სულყველაფერში, რასაც მათი ხსოვნა მიება.

და მთელი სახლი უკაცური და ცარიელი,
თურმე სახლის მნიშვნელობა რომ დაეკარგა
და რომ შრიალებს გამუდმებულ სიჩუმისაგან,
სამ ასო-ბგერას ვეღარ აგროვებს,
რომ ერთადერთი სიტყვა წამოსცდეს,
ყველაზე უფრო ცოცხალი სიტყვა
და მე ხმამაღლა ვიმეორებ: შინ - შინ - შიიიინ...
და ამ სახლში გაბნეული მთელი შრიალი
ამ ერთ სიტყვაში თავს იყრის უცებ
და სახლი იწყებს შინ დაბრუნებას.



## ნაყინის გამყიდველი

აი, ის კაცი,
ორმოცდაათს მიღწეული ჭაღარა კაცი,
ნაყინს რომ ყიდის მაღაზიის წინ,
ის ჩემი ძმაა.

ვინ იფიქრებდა -
ყველაზე უფრო იოლ საქმეს ხელს მოჰკიდებდა,
რომ დადგებოდა ჭრელი ქოლგის ქვეშ
და გამვლელს ნაყინს შესთავაზებდა.

დილა-საღამოს
ავტობუსიდან ყელმოღრეცილი ვიყურები,
რომ ამდენ ხალხში მისი სახე გამოვარჩიო,
იგი, ერთ-ერთი ბოლო მოწმეა ჩვენი ბავშვობის
და მეშინია მისი დაკარგვა.

: ჩვენ ხომ ცურვა ერთად ვისწავლეთ
და ჰობოიზეც ერთდროულად ვსწავლობდით დაკვრას,
მაგიდასაც ხომ ერთად ვუსხედით სადილობისას
და მშვილდ-ისარსაც ერთად ვჭორკნიდით
ხან ბროწეულის, ხანაც შვინდის ტოტებისაგან,
ბებიაც ხომ ზღაპრებს ერთად გვიამბობდა დაძინებისას,
ჩვენი სიზმრებიც ისე ჰგავდნენ მგონი ერთმანეთს,
როგორც ბავშვური ოცნებები, რომ არ ასრულდა.

მერე უეცრად დაიკარგა, ცხოვრებამ შთანთქა
და დიდი ხნით გაუჩინარდა;
მის მოლოდინში მივეჩვიე ლექსებად ფიქრს და
ფანჯარაში ვარსკვლავთა ცქერას
და ცრემლის ყელში შეგუბებას
რომ თვალში არ გამოელნია.

მერე დაბრუნდა
და რომ დაბრუნდა, ერთადერთი რამ,
რაც ამ განვლილ დროში ისწავლა -
გამუდმებული ტანჯვა იყო,
უფრო სწორად ტანჯვის დათმენა.

გრძელ ხალათს იცმევს სვირინგი რომ არ გამოუჩნდეს
და მწარე წლების ნაკვალევი არ გაამხილოს.

ის ახლა ზის და ნაყინს ყიდის,
თან ზუსტად იცის - დილა-საღამოს,
ჩვენმა თვალებმა ერთმანეთი როგორ მოძებნონ.

მე ვიხედები ავტობუსის ღია ფანჯრიდან
და ძმას დავეძებ გაფაციცებით,
იგი კი ამ დროს ჩავლილ ავტობუსს
თვალს აყოლებს, რათა როგორმე
დამინახოს და გამიცნოს.

ასე გრძელდება ყოველდღიურად:
- ჩვენ ბავშვობის საგზალს ვიზოგავთ,
ვიდრე ზაფხულის
ცხელი სეზონი ისევ გრძელდება.

*15.X.98 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ ვალზერი



# ესაა და ეს

ამ ქვეყნად მოვედი ამა და ამ დღეს, გავიზარდე აქა და აქ, კეთილსინდისიერად ვიარე სკოლაში, მქვია ესა და ეს. ბევრი ფიქრით თავს არ ვიწუხებ. ჩამომავლობით ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, სახელმწიფო დანიშნულების მიხედვით - კარგი მოქალაქე, ვეკუთვნი საუკეთესო საზოგადოებას, ვარ სასიამოვნო, ჩუმი, თავაზიანი წევრი ადამიანთა მოდგმისა, ე.ი. ეგრეთწოდებული ნამდვილი მოქალაქე; სიამოვნებით ვსვამ ჩემს წილ ლუდს და თავს ბევრი ფიქრით არ ვიცხელებ. ვინც შემომხედავს, ადვილად მიხვდება, რომ ჩემი საქმე ჭამაა და არა ფიქრი. ფიქრი ჩემგან შორსაა და იმიტომაც ვითვლები ნამდვილ მოქალაქედ, ნამდვილი მოქალაქე ბევრს არ ფიქრობს, მხოლოდ ჭამს. ესაა და ეს.

თავს განსაკუთრებულად არ ვიტვირთავ, ეგ საქმე სხვებისათვის დამითმია, რადგან ვინც თავს ბევრი ფიქრით იმტვრევს, ყველასათვის მომაბეზრებელი ხდება. ჯერ კიდევ იულიუს კეისარი მიუთითებდა თავისი მსუქანი თითით გამხდარ, თვალებამოღამებულ კასიუსზე, რომელსაც თავად უფრთხოდა, რადგან ეჭვობდა, ამას იდეები აწუხებსო. ნამდვილ მოქალაქეს უფლება არა აქვს შიში და ეჭვი ჩაიდოს გულში. ბევრი ფიქრი მისი საქმე არაა, ვინც ბევრს ფიქრობს, სიყვარულს არ იმსახურებს, უსიყვარულობა კი, კაცმა რომ თქვას, მეტისმეტია. ძილი და ხვრინვა ჯობია ფიქრსა და ოცნებას. მე ამა და ამ დღეს დავიბადე, ამა და ამ ადგილას დავდიოდი სკოლაში, სპეციალობით ვარ ესა და ეს, ვკითხულობ ამა და ამ გაზეთს, ვარ ამდენი და ამდენი წლის და, რაც მთავარია, კარგი მოქალაქე, კარგი მსმენელი და კარგი მჭამელი. თავს ზედმეტი ფიქრით არ ვიწუხებ, თავის შეწუხება ჩემი საქმე არაა, რადგან ვინც ბევრს ფიქრობს, თავი სტკივდება, თავის ტკივილი კი უსიამოვნო შეგრძნებაა. ძილი და ხვრინვა უკეთესია, ვიდრე თავის შეწუხება და ერთი ჭიქა ლუდი ხომ ყველაფერს ჯობია, ფიქრსაც და ოცნებასაც. აზრები საერთოდ არ გამაჩნია და თავის გამოჭედვა არავითარ შემთხვევაში არ მეპიტნავება. ამას სახელმწიფოს სათავეში მდგომთ გადავულოცავ. ამიტომაც გახლავართ ნამდვილი მოქალაქე. მოსვენებულიც იმიტომ ვარ, რომ თავის შეწუხება არ მჭირდება და უფლება მაქვს არაფერზეც არ ვიფიქრო. ტვინის ჭყლეტის მეშინია, რადგან ამ დროს თვალები მიჭრელდება. მე სიამოვნებით ვსვამ ჩემს წილ ლუდს და სიამოვნებით ვუთმობ ფიქრს სახელმწიფოს სამსახურში მდგომთ. მათ შეუძლიათ ჩემს მაგივრად იმდენი იფიქრონ, რამდენიც მოეპრიანებათ და იქამდე, სანამ თავები დაუსკდებოდეთ. სხვისა არ ვიცი და მე კი ყოველთვის თვალები მიჭრელდება, როცა გონებას რაიმეთი ვიტვირთავ, ეს კი კარგი არაა. ამიტომ, რამდენადაც შემიძლია, ნაკლებად ვიწუხებ თავს. როცა მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწენი ფიქრობენ, ვიდრე თვალთ დაუბნელდებათ და თავები ასტკივდებათ, ყველაფერი წესრიგშია და ყოველ ჩვენგანს შეუძლია მშვიდად შეექცეს თავის წილ ლუდსა და საჭმელს, ღამღამობით უშიშრად იძინოს და, რაღა თქმა უნდა, რომ ფიქრსა და ოცნებას ძილი და ხვრინვა ჯობია! ადამიანი ბევრი ფიქრის, შეხედულებებისა და აზრების წყალობით არასასიამოვნო ხდება, ნამდვილი მოქალაქე კი ვალდებულია, ყველასათვის სასიამოვნო იყოს, ამიტომაც სრულიად დამშვიდებული გადავულოცავ ხელმძღვანელებს თავსატეხ და მოუსვენარ ფიქრებს, რადგან ყოველი ჩვენგანი ხომ ერთი უმნიშვნელო და ჩვეულებრივი ადამიანია და ეგრეთ წოდებული მოქალაქე, რომელიც სიამოვნებით მიირთმევს თავის წილ ლუდს და კარგ, ნოყიერ, მოკრძალებულ სადილს. ესაა და ეს.

სახელმწიფო მოღვაწენი ვალდებული არიან იფიქრონ მანამდე, ვიდრე არ გამოტყდებიან, თვალთ დაგვიბნელდა და თავი აღარაფრისა გვაქვსო. კარგ მოქალაქეს არასოდეს არ უნდა სტკიოდეს თავი, იგი ვალდებულია, თავისი წილი ლუდი ყოველთვის ეგემრიელოს, ღამე მშვიდად იძინოს და იხვრინოს. ჩემი სახელია ესა და ეს, დავიბადე ამა და ამ დროს, კეთილსინდისიერად და წესიერად დავდიოდი სკოლაში, სპეციალობით ვარ ესა და ეს, ვკითხულობ ამა და ამ გაზეთს, ვარ ამა და ამ ასაკის და უარვყოფ ბევრსა და დაძაბულ ფიქრს. თავის მტვრევა და ტვინის ჭყლეტა სახელმწიფო სათავეში მდგომთათვის დამითმია, მათთვის, ვინც თავს პასუხისმგებლად თვლის. მე და ჩემნაირები თავისუფლები ვართ ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, ამიტომაც მიმინდვია ფიქრი განსაკუთრებით თავდაჯერებული თავებისათვის, რომლებიც ვალდებულებას გრძნობენ. მე ამა და ამ დროს დავდიოდი სკოლაში, სადაც იძულებული ვიყავი მევლო. მას შემდეგ თავის მტვრევა აღარც დამჭირვებია. გავიზარდე და ვატარებ ამა და ამ სახელს, არავითარი პასუხისმგებლობა არ გამაჩნია, ამასთან, მე ერთადერთი არ გახლავართ. საბედნიეროდ, ჩემნაირი ბევრია, ვინც, ჩემი არ იყოს, თავიანთ წილ ლუდს სიამოვნებით მიირთმევენ და დიდი ფიქრით არ იწუხებენ თავს, რომლებსაც ჩემსავით ნაკლებად უყვართ თავის მტვრევა და რომლებიც ფიქრს სხვებს - სახელმწიფო მოღვაწეებს სიხარულით ანდობენ. ჩემგან, ჩვეულებრივ ადამიანთა მოდგმის ამ ჩვეულებრივი წევრისაგან ფიქრი სავსებით შორსაა და, საბედნიეროდ, არა მარტო ჩემგან, არამედ ათასობით ისეთისაგან, რომლებიც ჩემსავით ჭამა-სმისას უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე ფიქრისას; რომლებიც ასევე დაიბადნენ ამა და ამ წელს, გაიზარდნენ აქა და აქ, არიან ჩვეულებრივი ადამიანები და "ნამდვილი" მოქალაქეები; და თამამი ფიქრით, ჩემი არ იყოს, თავს არ იწუხებენ. ესაა და ეს.

გერმანულიდან თარგმნა

**მაია მირიანაშვილმა**

თაობა
ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ ხარბედია

# ბიტ-საუკუნის დასასრული

ალბათ არ მოიძებნება მეოცე საუკუნეში თაობა, შემოქმედ ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც ბიტნიკებზე უფრო მეტად "შეძრა სამყარო", შეძრა შემოქმედებითაც, საქციელითაც და რაც მთავარია, თავისი ხვედრით. შედარებითი პრიმიტიულობის მიუხედავად, ხსენებული გენერაცია მაინც ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ მოვლენად აღიქმება და თავისი მას-კულტურული, შეიძლება ითქვას, უკიდურესად საჯარო ხასიათის საპირისპიროდ, დღემდე ინარჩუნებს ელიტარულ-სნობურ აურასაც (არადა, დღეს, ქრესტომათიულ ბიტად მხოლოდ მასობრივი ჟანრები აღიქმებიან, MTV-დან დაწყებული - ოლივერ სტოუნის უკანასკნელი კინო-პროექტებით დამთავრებული).

ამ თაობის ადამიანები ჩვენი საუკუნის ყველაზე გზააბნეულ ტიპებად მიიჩნევიან და მათი დროის ერთ მონაკვეთში, მითუმეტეს კი გარკვეულ სივრცეში განთავსება-დაბინავება თითქმის შეუძლებელი ხდება... თუმცა, მაინც შეიძლება მეტ-ნაკლები სიზუსტით ითქვას, რომ ამ ადამიანებმა 1948 წელს, ნიუ-იორკში მოიყარეს თავი. ამ დროისთვის მუსიკით, ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით გამოწრთობილ ახალგაზრდებს უკვე ყველა ამჩნევდა, მანამდე კი ისინი ჯერ კიდევ "აზრზე მოდიოდნენ" (თუ პირიქით, კარგავდნენ მას), სინჯავდნენ ყვლაფერს, რაც მათ სიამოვნებას მოჰგვრიდა და მიეხეტებოდნენ ყველგან, სადაც კი გული გაუწევდათ; მათთვის საკუთარი უბნის საზღვარი უკვე აღარ არსებობდა... შეიძლება ითქვას, ეს ამბავი სწორედ ამ დროიდან, 1948-მდე რამდენიმე წლით



ჯეკ კერუაკი. 1957

ადრე დაიწყო... ერთ მშვენიერ დღეს სეიმურ უაისმა ჯეკ კერუაკი ჰარლემში წაიყვანა ჯაზის მოსასმენად.

## ...დაბადება მუსიკის სულიდან

1946-48 წლებში ჯაზი კრიზისს განიცდიდა, ფირფიტებს იშვიათად წერდნენ, იშლებოდა ორკესტრები, ერთი სიტყვით, "სვინგის" ეპოქა იწურებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნიუ-იორკში მაინც არსებობდა რამდენიმე ჯაზ-კლუბი, სადაც შეიძლებოდა კარგი მუსიკა მოგესმინა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ყველგან ტენორ-საქსოფონის გულისგამაწვრილებელი ხმა ისმოდა, ყოვლისმომცველი, ექსტატიური მუსიკა, რომელიც ტრადიციული რიტმებითაც ახერხებდა ახალი ტიპის მსმენელთა მონუსხვას (ნახეთ, ჯეკ კერუაკიც საყვარელი ჯაზმენებიდან მხოლოდ საქსოფონისტებს ასახელებს: ლესტერ იანგი, ბენ უებსტერი, ჩუ ბერი, დონ ბაეზი); მაგრამ გარდა ამისა, არსებობდნენ "ბოპერებიც", ე.წ. პროგრესული ჯაზის, ბოპის მიმდევრები, რომელთაც უარყვეს ინსტრუმენტის ჟღერადობის ვოკალური თვისებები, ხმაბაძვითობა, რიტმი და მხოლოდ შინაგან რიტმს, უფრო სწორად კი ანტირიტმს დამორჩილდნენ. ძველი მუსიკოსები არაფრად აგდებდნენ მათ შემოქმედებას, სამაგიეროდ ბოპზე ჭკუას კარგავდნენ ახალგაზრდები, რომელთაც ყელში ჰქონდათ ამოსული "სვინგი" და ახლის მოლოდინში ადგილს ვერ პოულობდნენ.

თუკი ნამდვილი ჯაზი ადამიანის ხმას ბაძავდა და ადამიანისვე გულისცემას მიჰყვებოდა, ბოპი საერთოდ რიტმისა (ტრადიციული გაგებით) და ვოკალის გარეშე რჩებოდა, თუმცა სწორედ ეს უცნაური ბგერები და არითმია გახდა ამოსავალი ახალი პოეტური ენისათვის, რომელიც ყოველგვარი ვიბრატოსა და გლისანდოს - ანუ "ჩვენებურად", ტრადიციული პოეტური მეტაფორებისა და ტექნიკის გარეშე ახერხებდა სათქმელის გადმოცემას. ეს იყო



ალენ გინსბერგი. 1959

ახალი პოეზია, რომელიც, როგორც თავის დროზე ტრაგედია, მუსიკის სულიდან იშვა.

ალენ გინსბერგი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: "შავკანიანთა მუსიკა ემყარებოდა ქუჩაში მოსმენილი საუბრის სხვადასხვა კილოს საკრავის ენით ამეტყველებას, რაც კლასიკური მეტრონომული რიტმის უამრავ სახესხვაობას ბადებდა. კერუაკმა კი პირიქით, მუსიკოსთაგან გაგონილი ჰანგები საუბარში გადმოიტანა და ამიტომ შეეწყო ასე კარგად ჯაზური მუსიკა და მისი პოეზია ერთმანეთს - მათ საერთო ჟღერადი საფუძველი გააჩნდათ". ამ თვისებით არამხოლოდ კერუაკის პოეზია ხასიათდება, ამგვარ სპონტანურ "მეთოდს" თაობის თითქმის ყველა პოეტი მიმართავდა, მათთვის არ არსებობდა ფურცელზე დატანილი "ცნობიერების ნაკადის" მხატვრული სრულყოფა, ჩასწორება, ჩხირკედელობა; ისინი მხოლოდ "გონებაში მიმდინარე პროცესების ქაღალდზე გადმოტანის უნარს სრულყოფდნენ", ესწრაფოდნენ სრულეყოთ აზრის გადმოტანის უნარი და არა უკვე გადმოტანილის სრულყოფის უნარი. ეს იყო არაცნობიერი ნაკადი, სადაც ყველაფერი კალმის წვერზე, ან საბეჭდი მანქანების კლავიშებზე იყო დამოკიდებული. გინსბერგი ამ სტილს "სპონტანურ ბოპ-პროსოდიას" უწოდებდა, ჯაზს

კი, როგორც ცნობილია, არ სჭირდება რედაქტირება.

იგივე გინსბერგი წერდა: "97-ე ქორალში" არის ადგილი, სადაც კერუაკი უცებ ვერ იხსენებს ნეპტუნის სახელს, მაგრამ აგრძელებს წერას შინაგანი იმპულსის გაუწყვეტლად. იგი არ აფერხებს მოძებნილ რიტმს და ამავე დროს ინტერესდება იმით, თუ რა გზით მიდის მისი ფიქრი საჭირო სიტყვის მოსაძიებლად. ამ პროცესში იბადება ნეპტუნთან დაკავშირებული არაჩვეულებრივი ასოციაციები, რაც შესანიშნავად აღწერს ზღვის ღვთაებას და ამავე დროს წარმოადგენს ავტორის შიდაბუნების საინტერესო პანორამას". ამ თაობის პოეტები არასდროს წყვეტდნენ შინაგან იმპულსს და მისი შენარჩუნებისთვის ყველანაირ რისკზე მიდიოდნენ, უსახელოდ ტოვებდნენ არა თუ რომელიმე ანტიკურ ღვთაებას, არამედ ყველაზე მნიშვნელოვან განცდებსაც კი. არადა, მართლაც ძნელია, სახელი დაარქვა საქსოფონისტის მონდომებას, რომელიც ძარღვების დასკდომამდე ინარჩუნებს უთავბოლო რიტმს თუ კიდევ სხვა რაღაცას (კერუაკის პერსონაჟი დინ მორიარტი - რომანიდან "გზად" - ამ გრძნობას ნაცვალსახელით აღნიშნავს), ანდა სიტყვით გაუზიარო მეგობარს ნარკოტიკით მიღებული "გამოცდილება", დაახასიათო კესიდის გაქანებული ავტომანქანიდან დანახული პეიზაჟებით მოგვრილი გრძნობები და ა.შ.. ხშირად რომელიმე სიტყვა ზუსტად ერგებოდა ამა თუ იმ განცდას, მაგრამ მრავალმნიშვნელობის გამო იგი თითქმის გაუგებარი რჩებოდა ხოლმე სხვა სოციალური



გ. კორსო, უ. ბეროუზი, ა. გინსბერგი და პ. ორლოვსკი. 1975

წრეების წარმომადგენელთათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ენებზე მოსაუბრე ადამიანების შესახებ. ასეთი ბედი ეწია სიტყვა Beat-საც, რომელიც თავის დროზე იმდენად შთანთქა კონოტატებმა, რომ მისი მნიშვნელობა თითქმის მოუხელთებელი შეიქნა... მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, მითუმეტეს, რომ შემოთავაზებულ ნაწყვეტებში Beat-ის სემანტიკურ ველზე საკმაოდაა საუბარი და მხოლოდ ერთს დავძენ: თაობის ზედსართავად Beat-ი ჯეკ კერუაკმა აქცია; 1950 წელს, თავის რომანში "ქალაქი და დაბა" მან პირველმა ახსენა ტერმინი "Beat generation" და იგი არამხოლოდ თავისი მეგობრების ვიწრო წრეს დაუკავშირა, არამედ მისი მეშვეობით ამერიკელ ახალგაზრდათა დიდი ნაწილის ასოციალური და მეამბოხე ბუნება დაახასიათა.

## უმიზნო და უპროგრამო მეამბოხეები

ამ თაობის იდეოლოგიის განსაზღვრა ბევრმა სცადა; ზოგი მას მეორე მსოფლიო ომს უკავშირებდა, ზოგი ატომურ ბომბს, ზოგიც მესამე მსოფლიო ომის მოლოდინს. 1958 წელს ნიუ-იორკში გამოვიდა ანთოლოგია სახელწოდებით "ბიტნიკები და განრისხებულნი", სადაც გამომცემლებმა ერთად მოუყარეს თავი ამერიკული ბიტის ლიტერატურასა და ინგლისური "განრისხებული ახალგაზრდების" ნაწარმოებებს (ოსბორნი, უეინი, ემისი) და ამით თითქოს ათწლიანი ლიტერატურული "ამბოხის" შედეგებიც შეაჯამეს.

თავდაპირველად ბიტნიკების მოძრაობა მეორე მსოფლიო ომის ბოლოსიტყვაობად მიიჩნიეს - ისევე, როგორც თავის დროზე, პირველი მსოფლიო ომის ლიტერატურულ გამოძახილად ჩათვალეს ე.წ. "დაკარგული თაობის" (ჰემინგუეი, ფიცჯერალდი, ვულფი) ნაწარმოებები - პირველწყაროები მოუძებნეს ბიტის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ბაზას, ჰიპსტერიზმსაც. ამ მკვლევართა აზრით, ჰიპები ამერიკული ლიტერატურის ჰუმანისტური ტრადიციებიდან ამოიზარდნენ, ტრადიციიდან, რომელიც ყველაზე ნათლად ჰემინგუეისა და ფოლკნერის მხატვრულ-ფილოსოფიურ იდეებში ჩანდა.

რა თქმა უნდა, ბიტ-მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა ლიტერატურულმა ტრადიციამ და ჯაზ-მუსიკამ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ მაინც ის ე.წ. "ბიტ-უცნაურობები" იყო, რომლებმაც საბოლოო სახე მისცეს თაობას. ამ უცნაურობებში, უპირველეს ყოვლისა, ბიტნიკების "ორბუნებოვნებას" ვგულისხმობ - მაგალითად, მათ შეეძლოთ ძალიან მხიარულებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ ხშირად, როცა საუბარი საკუთარ შემოქმედებას ეხებოდა, ეს ხალისი სადღაც ქრებოდა და სარტრის ყაიდაზე გაწყობილ რაღაც ბუტბუტში გადაიზრდებოდა, რაბლეზიანურ ენამზეობას კი ეგზისტენციალური მოთქმა-ვაება ცვლიდა ხოლმე. როგორც ჩანს, მათ ბოლომდე ვერ გაიგეს ირონიის ფასი (ისევე, როგორც თანამედროვე ქართველმა თინეიჯერებმა, ვისი ყველაზე "თავიანი" წარმომადგენლებიც სარტრის გულისამრევი "აფორიზმებითა" და ტერენტი გრანელის "დამკრძალავი მეტაფორებით" იწონებენ თავს).

ჩემი აზრით, მათი ტრიუმფი არა იმდენად ლიტერატურული მოვლენა იყო, რამდენადაც



ნილ კასიდი საჭესთან - კოსტ On the Road-ის პერიოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ფენომენი; იგი უფრო მეტაფორას წარმოადგენდა, ვიდრე მეტაფორათა განფენას და ხშირად ამ ტიპებში ჩვენი თაყვანისცემის საგნად უფრო არტეფაქტები იქცევიან ხოლმე, ვიდრე რაღაც კონკრეტული ნაწარმოებები, ან უფრო ფართოდ, პოეტური ხერხები. თანაც, ამ არანორმალურ პოპულარობას თავად ბიტნიკები ესწრაფოდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ, თავი გამოეყოთ კლუბებიდან (მიუხედავად იმ მითოლოგიური წარმოდგენებისა, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი ბიტნიკი ზეპირმესიტყვე რაფსოდს ემსგავსებოდა, უზრუნველ ტიპს, რომელსაც ოცნებადაც კი არ ჰქონდა თავისი ნაწარმოების გამოქვეყნება): ბეროუზი, მაგალითად, ნაიკის რეკლამებში "იჩითებოდა" ხოლმე, გინსბერგმა კი სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე თავისი არქივი, წვერის ნაპარსი და ძველი ჩოგბურთის კედები სტენფორდის უნივერსიტეტს მიჰყიდა 1 მილიონ დოლარად. ბიტნიკები პირველი თაობა იყო, რომლებმაც საკუთარი იმიჯის ფორმირებისთვის და მითოლოგიზირებისთვის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები გამოიყენეს და ამით მსოფლიო გენერაციის სტატუსიც შეიძინეს.

მართლაც, ბიტნიკებზე ამბობდნენ, რომ ისინი არც ერთ ქვეყანას არ მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ ნუთუ შეიძლებოდა ამერიკის ფარგლებს გარეთ წარმოგვედგინა ეს მოძრაობა? ამბობდნენ, რომ ისინი არც ერთ სოციალურ ფენას არ წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ ხომ ახალი სოციალური ფენომენი შექმნეს, რომელიც ლამის რელიგიურში გადაიზარდა; ერთი კია, სიმბოლოებისა და ლიტერატურული სქემების დრო უკვე აღარავის ახსოვდა და იდეებსაც ნელ-ნელა ხორცი ესხმებოდა, იწყებოდა პროცესები, რომელიც ბევრს ორი ათასი წლის წინანდელ მოვლენებს ახსენებდა (მათი მეხსიერება უფრო შორსაც წვდება): "თავდაპირველად ქრისტიანობაც ხომ მარგინალური მოძრაობა იყო, არანორმატიული და ასოციალური... და ამ ერთმა ბეწო მარგინალებმა ბოლოს და ბოლოს ანტიკური კულტურის ყველა სფეროში შეაღწიეს", - ამბობდნენ ისინი.



მაგრამ ბიტნიკებს მსოფლიო რელიგიის დღე არ ეწერათ, ისინი არც ისეთი ერთსულოვანნი ყოფილან, როგორც .თავის დროზე პირველი ქრისტიანები და ეკლესიურობასაც (ერთიანობას) კაიფის ინდივიდუალურ ჯოჯოხეთს თუ სამოთხეს არჩევდნენ. მათ არც რაიმე ძლიერი დასაყრდენი ჰქონიათ და სამომავლო გეგმების დასახვითაც არ იკლავდნენ თავს. ჯინ ფელდმანმა და მაქს გარტენბერგმა (სწორედ მათ შეადგინეს ზემოხსენებული ანთოლოგია) ბიტნიკებს "უმიზნო და უპროგრამო მეამბოხეები" უწოდეს და ეს გარკვეულწილად მართალიც იყო, რადგან საზოგადოებისგან ისინი მხოლოდ ერთს ითხოვდნენ, თავი დაენებებინათ მათთვის, ნუ ჩააცივდებოდნენ და საშუალება მიეცათ, ეცხოვრათ ისე, როგორც სურდათ.



ბობ დილანი და ალენ გინსბერგი. 1964

50-იანების შუა წლებში ამერიკელმა პოეტმა და კრიტიკოსმა კენეტ რექსროტმა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით: "განცალკევება: ბიტნიკების ხელოვნება", სადაც იგი თაობის შემოქმედებას სწორედ განცალკევებულობის ნიშნით განიხილავდა; გამოთავისუფლების, გათიშვის, გაუცხოების ცნებებით ახასიათებდა ბიტნიკების "პროგრამას" და ამით თითქოს ეგზისტენციალურ ელფერსაც ანიჭებდა განსახილველ პრობლემას; მაგრამ ბიტნიკები არ უცხადებდნენ ბრძოლას საზოგადოებას, გაურბოდნენ კონფრონტაციას; უარყოფდნენ ყველაფერს, თუმცა მათთვის უცხო იყო შეტევაზე გადასვლაც, პყრობა, ძალადობა, გამარჯვების სიხარული და ა.შ. ისინი, უბრალოდ, ცხოვრების ფსიქოპატიური წესით უპირისპირდებოდნენ არსებულს, სიშლეგეს სიწმინდესთან აიგივებდნენ, ჰომოსექსუალიზმს კი ანგელოსურ ბუნებათან.

## შიშველი ანგელოსები

მათი "უცნაური" სექსუალური ცხოვრება შორს იდგა ევროპული, არისტოკრატული პედერასტიისგან (პრუსტისა და უაილდის სტილში); იგი რევოლუციურ, შეიძლება ითქვას, დემოკრატიულ მოვლენად იქცა და შემდეგ ლამის კოშმარულ ლოზუნგშიც გადაიზარდა: "ჰომოსექსუალიზმი მილიონებისთვის". ისინი არამხოლოდ საუბრობდნენ ამ თემებზე, არამედ გაჰკიოდნეენ, ღრიალებდნენ, ღმუოდნენ, ცდილობდნენ ბოლომდე გაეშიშვლებინათ თავიანთი სამყარო. სიშიშვლე ნორმად იქცა, ექსჰიბიციონიზმმა ჰომოსექსუა-

ლური კულტურის (თუ სუბკულტურის) ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის სტატუსი შეიძინა. ბიტ-თაობისადმი მიძღვნილ ყველაზე ცნობილ წიგნსაც ასევე ერქვა, "შიშველი ანგელოზები" (1976) და მისი ავტორის, ჯონ ტაიტელის აზრით, ეს სიშიშვლე (სხეულის, ფიქრის, გრძნობათა სიშიშვლე) ერთადერთი იყო, ხელოვნებისა და ცხოვრების გამთლიანების საშუალებას რომ იძლეოდა. ბიტნიკები ხშირად იხსენებდნენ, რომ გაშიშვლებული ბლეიკი (ასევე შიშველ მეუღლესთან ერთად) თურმე მილტონის "დაკარგული სამოთხეს" კითხულობდა ხოლმე ხმამაღლა... მაგრამ ყველაფერი ეს ხომ პოეტის ბაღში ხდებოდა, ბიტნიკები კი, როგორც ჩანს, მთელი ამერიკის პოეტურ ბაღნარად გადაქცევას ესწრაფოდნენ.

ამ ქვეყანამ კი მალე მოინელა თავისი ყველაზე ერთგული შვილები, ახალი უიტმენები, ხელოვნური სამოთხის უსასრულო სივრცეებში მიმოფანტული მოგზაურები; სიწმინდის, სიშლეგის, სიყვარულისა და ლაყბობის გზაზე შემდგარი ყარიბები.

დღეს მათგან მხოლოდ ლორენს ფერლინგეტია ცოცხალი; რამდენიმე წლის წინ ტიმოთი ლირი გარდაიცვალა. 1997-ში კი უკანასკნელი მოჰიკანები, ბეროუზი და გინსბერგი შეუერთდნენ ზეციურ საძმოს.

ალენ გინსბერგმა გარდაცვალებამდე წელიწადით ადრე იუბილე აღნიშნა, მოკრძალებულ სუფრას შამპანური ამშვენებდა, პოეტს 70-ე წლისთავს პიჯაკში გამოწყობილი ჰალსტუხიანი ბიძები და უნივერსიტეტის პროფესორები ულოცავდნენ. იყვნენ უცხოელი სტუმრებიც, მაგრამ არ იყვნენ მეგობრები, სუფრაზე არც მოსაწევი "იჩითებოდა" და იუბილარიც ისე ველარ "ღმუოდა", როგორც ოდესღაც.

არილი



ნილ კესიდი და ჯეკ კერუაკი.

## ჯონ კლელონ ჰოლმსი

# თამაშის სახელი



"დამსხვრეულობა" გინზბერგისთვის, კერუაკისთვის და ა.შ. ფსკერიდან დანახულ საზოგადოებას, ბოროტებისა და სიკეთის ტრადიციული გაგების, მორალური ღირებულებების მიღმა ყოფნას ნიშნავდა - ყველაფერ იმას, რაც იმ დროს (1948 წ.), მღელვარებისა და სიგიჟის, განცდების, პოეზიის, ცენზურისა და ნარკოტიკების ეპოქაში შეადგენდა სამყაროს მარტივად აღქმის თავისებურებას, "აღქმის სტანდარტს"; მაშინ, როცა ჰენრი მილერისა და დ. ლოურენსის წიგნები აკრძალული იყო და უხამსობად მიიჩნეოდა... არ შეგეძლო გეკაიფა, მარიხუანა მოგექაჩა - ნარკომანად გთვლიდნენ, ავადმყოფად და უვარგისად, საზოგადოების ხორცმეტად... ასეთ პირობებში დარწმუნდნენ ადამიანები ძალაუფლების ოფიციალურ ინსტიტუტთა კლასიფიკაციებისა და ტერმინოლოგიების მოჩვენებითობაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელთა უმრავლესობა მოწყურებული იყო ნორმალური ცხოვრების წესს, მაგრამ ჩვენ ვგრძნობდით, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ნიღაბი იყო, რომლითაც ისინი საკუთარ უსუსურობას ფარავდნენ.

"დამსხვრეულის" სახე გაცვდა და მასკულტურაში გაითქვიფა, უბრალო საზოგადოებრივი ნორმების წინააღმდეგ პროტესტის ეფექტურ პოზად იქცა, "მსხვრევა" უკვე მხოლოდ თავის მოჩვენებასღა ნიშნავდა: ბიჭებისთვის რეკვიზიტი - მუქი სათვალეები, ტყავის სანდლები, ჯინსები, ბერეტები და შავი, მაღალყელიანი სვიტერები იყო; ქალებისთვის კი - ფართო შარვლები, სანდლები, ფრიალა ბლუზები და სწორი გაშლილი თმები. "Beat"-მა სოციალური მნიშვნელობა სწორედ იმ ტიპების მეშვეობით შეიძინა, რომელთა "ცხოვრების" წესსაც თავად "დალეწილები" ზიზღით უარყოფდნენ. სიტყვა "ბიტნიკი" ფრისკოელმა ფელეტონისტმა, ჰერბ კაენმა მოიგონა, 50-იანი წლების ბოლოს; უბრალოდ, ორი სიტყვა შეაერთა - ინგლისური "Beat" და რუსული "სპუტნიკ" - ასე უწოდებდნენ ჩრდილოეთ პლაჟის ბოჰემურ კაფეებში მობირჟავე წვერებიან ტიპებს. ეს სიტყვა მალე გაზეთებმაც აიტაცეს როგორც კარიკატურული სახე ნებისმიერისა, ვინც "გატეხვასთან" და "დამსხვრეულობასთან" (beatness) "დალეწილ აზროვნებასთან" და "დამსხვრეულ ღირებულებებთან (beat attitude) აიგივებდა თავს. თავად "ბიტნიკებმა" კი მასმედიის მეშვეობით კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადეს ყველაფერი, რაც "დამსხვრეულობის" იდეაში ინტუიტურად, მხოლოდ ინდივიდუალური ალღოთი ამოიცნობოდა.

ინგლისურიდან თარგმნა ნიკოლოზ ნინიკაშვილმა

არილი








ჯეკ კერუაკი

# Man, I'm beat

როგორც პაპაჩემისთვის, ჩემთვისაც, ნამდვილი ამერიკა ველურ, თავდაჯერებულ ინდივიდუალიზმს ნიშნავდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის, ამდენი კარგი ბიჭის დაღუპვამ (რომელთა შორის ბევრი ჩემი ძმაკაციც იყო) ეს გრძნობა ნელ-ნელა გააქრო... თუმცა, მოგვიანებით, სრულიად მოულოდნელად, კვლავ ამოტივტივდა - გამოჩნდნენ ქუჩებში მოტასავე ჰიპსტერები, რომლებიც გამვლელებს ეღადავებოდნენ და წესიერ მოქალაქეებს მოსვენებას არ აძლევდნენ; ისინიც, თავის მხრივ, შეშლილი სიფათებით მიჰყვიროდნენ მათ: "ეეე, გარეკე???!!!"

ჰიპსტერები პირველად თაიმს-სკვერში ვნახე, 1944 წელს, და სიმართლე ითქვას, მათი დანახვით არ აღვფრთოვანებულვარ. ერთ-ერთი მათგანი, ჩიკაგოელი ტიპი, მომიახლოვდა და მითხრა: "დავილეწე ძმაო!", (Man, I'm beat). ეგრევე მივხვდი რასაც გულისხმობდა. ამ დროისათვის ჯერ არ ვიყავი ბოპში გადავარდნილი (ჩარლი "ბერდ" პარკერი, დიზი გილესპი და ბეგზი ჯექსონი რომ უბერავდნენ; სვინგის უკანასკნელ, დიდ მუსიკოსად დონ ბაეზს მიიჩნევდნენ, რომელიც მალე ესპანეთში აითესა), - მაგრამ მოგვიანებით გავრეკე... ჯერ ჩემი ძველი ჯაზ-ფირფიტები ამოვქექე მილტონ ფლეიჰაუსში; ლესტერ იანგი, ბენ უებსტერი, ჯონ გაი, ჩარლი კრისტიანი... და სხვებიც. როცა ჩიორასა და დიზის მოვუსმინე კლუბ "Three Dueces"-ში, მივხვდი, რომ ისინი სერიოზული მუსიკოსები იყვნენ; უთავბოლო, გალეშილი ახალი საუნდით უკრავდნენ, და ყველაფერი დავიკიდე, რასაც ადრე ვფიქრობდი მე, ან ჩემი ძმაკაცი სეიმური... არადა, იმ საღამოს ბარმენის დახლთან ვიჯექი და ლუდს ვწრუპავდი, როცა უცბად დიზი მოვარდა და ბარმენს ჭიქაში რაღაცა დაასხმევინა (ალბათ წყალი), თავად ჩემს წინ დადგა და ხელგაშვერილი ჭიქისკენ იქაჩებოდა, კინაღამ კისერი მომტეხა, შემდეგ კი ცეკვა-ცეკვით უკან დაახვია. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს იცოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხოტბას შევასხამდი... და რაღაც უაზრო გარემოებების გამო მის ერთ-ერთ გამოსვლას აღვწერდი. ჩარლი პარკერზე ჰარლემში ამბობდნენ, ჩუ ბერისა და ლუი არმსტრონგის დროიდან მოყოლებული, ეგეთი არავინ გვინახავსო.


მ. მაკლარი, ბობ დილანი და ალენ გინსბერგი. 1964

ასე თუ ისე, ჰიპსტერები, თავისი ბოპით, ბანდიტებს ჰგავდნენ, მაგრამ ერთმანეთში ისეთ რამეებზე ლაპარაკობდნენ, რაც მეც მაინტერესებდა: გრძელი ჩანახატები - პირადი გამოცდილებიდან და ხილვებიდან, განცდებით აღსავსე აკრძალული აღსარებები; ალიაქოთი, აურზაური, ახალგაზრდული სულის მოუსვენრობა (რომელიც ასე ჰგავდა პირველყოფილის სულს)... და როცა იმ ჩიკაგოელმა ტიპმა, უიმედო თვალებში გამკრთალი ნაპერწკლით, გვითხრა "გავილეწეო", გაიჟღერა სიტყვამ, რომელიც შესაძლოა რაღაც კარნავალებიდან იყო ნასესხები, ან ნარკომანთა კაფეებში თუ გაიგონებდი მას. ეს ახალი ენა იყო, შავკანიანთა ნამდვილი ჟარგონი; სიტყვა, რომელიც ლაკონურად გამოხატავდა ათას რამეს (დავილეწე, განგრეული ვარ, გამოვქლიავდი) და რომელსაც ადვილად ეჩვეოდი, ისევე როგორც "Hung up"-ს. ზოგი ჰიპსტერი მაგარი დაცენტრილი იყო, უაზროდ ფრთაშესხმული თავისას უბერავდა. ხურავდა... კონცერტი ყოველ ღამე იმართებოდა... 1948 წლისათვის ყველაფერი ნათელი გახდა - ქუჩებში ვიბოდიალებთ და დავებაზრებით ყველას, ვინც კარგი თვალით შემოგვხედავს... სიმპათიას კი ჰიპსტერები კილომეტრზე გრძნობდნენ... სწორედ იმ წელიწადს შევხვდი მონტგომერ კლიფტს, გაუპარსავი იყო და ნახმარ ქურთუკს ატარებდა. მედისონ ავენიუზე ეშვებოდა მობუზული, მასთან ჩარლი "ბერდ" პარკერი იყო, მაღალყელიან შავ სვიტერში გამოწყობილი, ბებს გონსალესი და ვილაც მაგარი ნაშა.

გაუგებრობის მიზეზი, რომელიც "ჰიპსტერებთან" და "დალეწილ თაობასთან" იყო დაკავშირებული, იმაში მდგომარეობდა, რომ ორი სახის ჰიპსტერიზმი არსებობდა:

1. **"COOL"** (მშვიდი, უშფოთველი) - დუმილში ჩაძირული წვეროსანი ტიპები, სახეზე გესლიანი ღრმააზროვნება რომ ჰქონდათ აღბეჭდილი; ისინი ბიტნიკთა ბარებში ისხდნენ ხოლმე და მთელი დღე სიფათებს კერავდნენ... ლაპარაკობდნენ დაბალ ხმაზე, ნაშები კი შავებში იყვნენ გამოწყობილნი და როგორც წესი, ხმას არ იღებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. **“HOT”** - ემოციური, დაუდგრომელი, შფოთიანი შერეკილები ანთებული თვალებით (თანაც ყოველთვის გულღია და გულახდილები); ისინი, ნაცნობებისა და თანამოაზრეთა ძიებაში ბარიდან ბარში გადარბოდნენ, მოუთმენლები მუდამ რაღაცაზე აქეზებდნენ უხალისო ბიტნიკებს, რომლებიც ცდილობდნენ ყურადღება არ მიექციათ ამ შებერტყილებისთვის. “დალეწილთა თაობის” მწერალთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ამ “შფოთიანთა სკოლას” ეკუთვნის - ყოველი დილა, როგორც წესი, ლუდით იწყებოდა ხოლმე, რათა შემდგომ, საღამოსთვის, ყველა სხვა სასმელის მრავალფეროვნებით აკიაფებულიყო გამტყვრალი ცნობიერება... ძირითადად, “hot” და “cool”-ის თანაფარდობა 50-50-ზე იყო. მაგალითად, ისეთი დაუდგრომელი ჰიპსტერი, როგორც მე ვარ, ბოლოს და ბოლოს, ღრმა ბუდისტურ მედიტაციაში ვეშვები ხოლმე; მაგრამ როცა ჯაზ-კონცერტზე ვარ, ახლაც ვგრძნობ, როგორ ვიქოქები მუსიკოსთა შეძახილებზე: “მიდი, მიდი, შეუბერე” (blow, baby, blow!) - თუმცა კი უკვე დავბერდი ეგეთი რაღაცეებისთვის.

1948 წელს “შფოთიანი” ჰიპსტერები მანქანებით დაქროდნენ (როგორც ეს “On the Road”-შია აღწერილი) ველური, ცეცხლოვანი ჯაზის ძიებაში, ისეთის, როგორსაც ვილი დიქსონი, ლაქი თომპსონი და ჩაბი ჯექსონის ბიგბენდი უკრავდა; მაშინ, როცა “მშვიდები”, საკუთარ თავში ჩაძირულნი ლენი ტრისტანოსა და მაილს დევისის “წესიერ”, მაგრამ ძლიერ ჯგუფებს უსმენდნენ... ყველაფერი ეს, თავის მასშტაბებით ეროვნულ თაობად იქცა, რომელსაც “BEAT”-ის იარლიყი მიაკერეს. რა თქმა უნდა, ეს ტიტული არც ერთ ჰიპსტერს არ ევასა. სიტყვა beat-ით თავიდან უქონელ, გადაღლილ, ცხოვრების საზღვრებიდან მოსროლილ ადამიანს აღნიშნავდნენ და ასეთებში, როგორც წესი, დამწუხრებულ მაწანწალებსა და მიწისქვეშა გასასვლელების ბინადრებს გულისხმობდნენ. ახლა ამ სიტყვამ ოფიციალური სტატუსი მოიპოვა და მას იმ ადამიანთა მიმართ იყენებენ, რომელთაც ცხოვრებაში აზრადაც არ მოსვლიათ მიწისქვეშ ღამის გათენება, მაგრამ რომლებიც ერთმანეთში ახალ ენაზე საუბრობენ და ყველასგან განსხვავდებიან ზნე-ჩვეულებებით.



ლორენს ფერლინგეტის City Lights Books

“გზად” 1951 წლის გასაოცარ მაისის თვემდე სამი კვირით ადრე დავასრულე, როცა მანჰეტენზე ვცხოვრობდი, ლოუერ უესთ საიდზე, ჩელსის რაიონში, 100 ფუტის სიმაღლეზე... სწორედ აქ იქცა სიტყვად “გალეწილი თაობის” სახე. დავწერე წიგნი და მას შემდეგ, თან დავათრევდი, საუნივერსიტეტო ღრეობები იქნებოდა ეს, თუ სხვა ველური თავყრილობა, სადაც პატარა ბიჭებს ვაბოლებდი ხოლმე, ძალზე მგრძნობიარე ახალგაზრდებს, რომლებიც ამ სიბინძურეში უკვე საბოლოოდ გამოთაყვანებულიყვნენ.

“გზად”-ის ხელნაწერი 100 ფუტიანი სიმაღლიდან მიწაზე დაეშვა... მაშინ, როცა ჩემმა გამომცემელმა, ძალზე ინტელიგენტურმა ადამიანმა, მითხრა, ჯეკ, თითქმის დოსტოევსკისეული რამეა... მაგრამ ახლა, ამ ქვეყანაში ვინ წაიკითხავს ასეთ წიგნს..?” მეც დავიკიდე... ბოლო 5 წლის მანძილზე ყველაფერი ვიყავი და ამავე დროს, არაფერიც: მაწანწალა, მეშახტე, მეზღვაური, გლახა, ჟურნალისტი, მექსიკელი ფსევდოინდიელი, მაგრამ წერას მაინც ვაგრძელებდი... ჩემი კერპი გოეთე იყო, მჯეროდა ხელოვნების ძალმოსილებისა, ვოცნებობდი, რომ ოდესმე ფაუსტის მე-3 ნაწილსაც დავწერდი, რაც შემდეგ “დოქტორ საქსში” განვახორციელე. 1955 წელს გამოჩნდა სტატია “დალეწილი თაობის ჯაზი”, ასე რომ, ეს სიტყვა სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა, კატასავით მრავლდებოდა, იგივე სისწრაფითა და მსგავსი შესრულებით. ყველგან ნახავდით უცნაურ, მოჰიპო ტიპებს, კოლეჯის მოსწავლეებს, რომლებიც დასაყრდენს ეძიებდნენ და ლაპარაკისას ზუსტად იმავე სიტყვებს ხმარობდნენ, პირველად თაიმს სკვერზე რომ გავიგონე.

1957 წელი. ბოლოს და ბოლოს გამოქვეყნდა “გზად”. თითქოს ყველაფერი შეიძრა, ბევრი გააერთიანა ამ აზრებმა და ყველა “გალეწილი თაობის” შესახებ ლაპარაკობდა... სადაც არ გამოვჩნდებოდი, მარცხნივ და მარჯვნივ, ინტერვიუს ვიძლეოდი, ზოგს ბიტნიკს უწოდებდნენ, ზოგს დალეწილს, ჯაზმენს, ბოპნიკს და საბოლოოდ მთელი ამ ალიაქოთის ავტორად მე გამომაცხადეს.


ჯეკ კეროუაკი, 60-იანი წლების დასაწყისი

ინგლისურიდან თარგმნა **მათე ჭრავეიშვილმა**

საქართველოს ეროვნული

## ალენ გინსბერგი



### რეალობის მეორე მხარეს

სან-ხოსეში, რკინიგზაზე,
ცისტერნების ქარხნის წინ
დავბორიალობდი მარტოკა
და დავჯექი ძელსკამზე
მეისრის ჯიხურის ახლოს.

ყვავილი ეგდო
თივაში, გზისპირზე,
- საშინელი გამხმარი ყვავილი,
გავიფიქრე - მას ჰქონდა
მჟიფე შავი ღერო და
გვირგვინი მოყვითალო ჭუჭყიანი
ფურცლებით, მსგავსი იესოს ეკლიანი
გვირგვინისა, ხოლო შუაში
გამხმარი, დასვრილი მტვრიანების კონა,
როგორც მთელი წელი
გარაჟის ბნელ კუთხეში ნაგდები
პირის ასაქაფებელი ჯაგრისი.

ო, ყვითელი, ყვითელი ყვავილი,
ყვავილი ინდუსტრიის,
ჩხვლეტია, უხეში, მახინჯი ყვავილი
და მაინც ყვავილი
უზარმაზარი ყვითელი ვარდის
ფორმით შენს ტვინში!
ის ჭეშმარიტი ყვავილია ამ სამყაროსი.

### ფსალმუნი 3

უფალო, შუქი მოჰფინე ყველას. დაიწყე სკიდ როუდიდან.
დასავლეთი და ვაშინგტონი გადააქციე წმინდა ალაგად
და მოედნად მარადისობის.
შუქი მოჰფინე კაშკაშხეულა შემდულებლებს
გემთსაშენებში.
სიხარულით ამწეს კაცს ხელი ააწევინე.
აჭრიალე და ალაყბე, ზევით-ქვევით აიყვანე-ჩამოიყვანე
ლიფტები თრთოლვით.
გზა მიეცი სილამაზეს ყვავილისას, თვალის ფსკერზე რომ
აღიბეჭდოს.
ჰქენი ისე, რომ აღერილი ყვავილების მონდომებით
აღერილობა მიიმართოს შუქის საძებრად.
ჰქენი ისე, რომ მოღუნული ყვავილების მონდომებით
მოღუნულობა მიიმართოს შუქის საძებრად.
ჰქენი ისე, რომ მოხრილობაც და აღერილობაც
შუქისთვის იყოს.
პუჯეტ საუნდი შუქის ხმაურად გადააქციე.
მე ვიკვებები შენი სახელით, ისე, როგორც ტარაკანა
პურის ნამცეცით -
და წმიდა არს ეს ტარაკანა.

### სასიყვარულო ლექსი უიტმენის თემაზე

ჩუმად შევალ საწოლ ოთახში და ჩავწვები ნეფესა და
პატარძალს შორის.
სხეულები, ლაჟვარდიდან ჩამოცვენილნი, მომლოდინედ
გაშოტილან შიშველნი და მოუსვენარნი,
და მკლავები წკვარამიდან გამომკრთალი თვალების
ზემოთ მისვენებულან.
მათ გულმკერდში ჩავფლავ სახეს, კანს შევისუნთქავ,
კისრებს და ტუჩებს დავკოცნი და მოვეფერები -
ისე ვიზამ, რომ კვლავ გაიხსნან,
და ფეხებიც მომლოდინედ გადაიშლება. ასოს შევყოფ
სიბნელეში და მივაწვები,
რომ აღვაგზნო სუყველაფერი ნასვრეტიდან აქავებულ
თმის ძირებამდე.
სხეულები, შიშვლები და ერთმანეთში ჩახვეულები,
შეწებებული ცხელი ტუჩები და დუნდულები,
და თვალები, მათი კვესა, ჯადო, მიბნედა, დაჭყეტილობა,
მოძრაობათაგან აღმომხდარი კვნესა, ხმები, და ხელები
ჰაერში და ფერდს და ფერდს შორის,
სველი თითები დარბილებულ თეძოებზე, შეკუმშული
მუცლების თრთოლვა,
სანამ აბურდულ ზეწრებს შორის თეთრი სითხე არ
გადმოსკდება
და პატარძალი არ დაიყვირებს თავდავიწყებით, ხოლო
ნეფე ვნებისა და შებრალების ცრემლებით არ
დაიფარება,
და არ ავდგები ლოგინიდან ავსებული უკანასკნელი
ინტიმური ჟესტებით და ბოლო კოცნებით -
და გონება არ გაიღვიძებს, ჩრდილების და დაკეტილი
კარებების მიღმა მქრქალ სახლში,
იქ, სადაც ვნებამოუკლავი ოხვრა ისმის მაცხოვრებლების
და მის გარეთ, სიჩუმეში, შიშველი სულები დაეძებენ
ერთიმეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე სართული, ალიონი, წერილების წერაში გატა-
რებული ღამის შემდეგ

ჩემი ფანჯრიდან ქუჩის მეორე მხარეზე ვხედავ,
მტრედები დაჰფრენენ
ეკლესიის სპილენძის გუმბათს, ჩიტი დაჯდა ჯვარზე
და უმზერს
ჩამუქებულ ქალაქის ღრუბლებს. ლარი რივერსი
10 საათზე ჩემთან მოვა, რომ დამხატოს. მე, მტრედებო,
თქვენს სურათს ვხატავ. მე აღვწერ შენ, ალიონო.
მე უკვდავვყოფ ავტობუსო, შენს გამონაბოლქვს.
ო, ფიქრებო, აწი სულ ასეთ რაღაცეებზე უნდა იფიქროთ
სამარდისოდ!

## ლორენს ფერლინგეთი



* * *

მუდამ აბსურდულობისა და სიკვდილის
რისკის ქვეშ
მყოფი პოეტი
მაყურებელთა
თავებს ზემოთ
გაჭიმულ თვითნაკეთ მავთულზე
აკრობატივით
ბობღდება რითმის დახმარებით
და სახეების ზღვიდან ატყორცნილ
მზერათა სხივებზე ბალანსირებს
ის მიდის
გეზი დღის უკანა მხარისაკენ აუღია
ჰაერში ხტება
ფეხებს მარჯვედ აჯვარედინებს
და სხვა მაღალოსტატურ ტრიუკებსაც მიმართავს
ყველას უშეცდომოდ და
რასაც აკეთებს
დაუჯერებელია
ის სუპერრეალისტია
რომელიც უნდა შეიგრძნობდეს
ბოლომდე დაჭიმულ სიმართლეს
ყოველი ნავარაუდევი
იმ სტროფის თუ ნაბიჯის წინ
უფრო დიდი სიმაღლისაკენ რომ ექაჩება
იქით სადაც მშვენიერება დგას და იცდის
სერიოზულად გამზადებული
სიკვდილისუარმყოფელი ნახტომისათვის
ხოლო ის
პატარა მოჩარლიჩაპლინო ადამიანი
ან შეძლებს ან ვერა
გაუხშოებულ საარსებო სივრცეში მოიხელთოს
არწივივით ფრთებგაშლილი
მისი მარადიული მშვენიერი ფორმა

* * *

იაფი ტკბილეულობის რკინიგზისიქითა მაღაზიაში
პირველად
შემიყვარდა
არარსებული
მარმელადის ბურთულები ბრიალებდნენ
სექტემბრის საღამოს მიმქრალ შუქში
კატა დაძრომიალობდა დახლზე
ძირტკბილას საკნატუნო ჯოხებს
რულეტებს
და "ო ბოი"-ს საღეჭ რეზინებს შორის

გარეთ კვდებოდნენ ფოთლები და ცვიოდნენ

ქარს წაეღო მზე
გოგონამ შემოირბინა
მისი თმა წვიმიანი იყო
მის მკერდს იმ პატარა ოთახში ჰაერი არ ჰყოფნიდა

გარეთ კი ცვიოდნენ ფოთლები
და მოსთქვამდნენ:
"ასე მალე?! ასე მალე?!"

ინგლისურიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა

* * *

გოიას დიდებულ ჩანახატებში ჩვენ თითქოს ვხედავთ
ადამიანთა მოდგმას
სწორედ იმ წამში
როცა მას პირველად ეწოდა
"გატანჯული კაცობრიობა"
ისინი იკრუნჩხებიან
მოშხამულები
სხვადასხვაგვარი მრისხანებით
შეჯგუფებულან
ბავშვებითა და ხელშუბებით გარშემორტყმულნი
ცემენტის ცის ქვეშ

აბსტრაქტულ პეიზაჟებში დალეწილი ხეების და
ჩამოშლილი ძეგლების და
ღამურების ფრთებისა და
მორჟეული საჩრჩობელების
გარეული მამლები კი კორტნიან გვამებს
აღმუვლებული ურჩხულები იჩეკებიან
"დამღუპველი წარმოსახვის" კვერცხებიდან
ისე საზარლად ნამდვილები ჩანან ისინი
თითქოს ჯერ კიდევ არსებობდნენ
და ასეცაა
შეიცვალა მხოლოდ ლანდშაფტი
და ისინი უწყვეტ ნაკადად მიუყვებიან გზებს
მათ დევნიან ლეგიონერები
გესლიანი ქარები და შეშლილი სვავები
ისინი არიან იგივე ხალხი
მხოლოდ უფრო მოშორებულები
მშობლიურ კერას
და მიუყვებიან ხუთგანაკვეთიან განიერ ტრასას
რომელიც სერავს ცემენტის კონტინენტს
ხოლო ზემოთ
უზარმაზარი სარეკლამო ცა წარმოადგენს
ბედნიერების ბრიყვულ ილუზიებს
სადაც გამოსახულია უმეტესწილად
დასახიჩრებული ადამიანები
ჭრელ მანქანებში
რომელთაც აქვთ უცნაური სანომრე ნიშნები
და ძრავები
რომლებიც ხრავენ ამერიკას

## ჯეკ კერუაკი



### სიბერე

და როცა დამეწყო სიბერე,
მე ეს ვიგრძენი მარცხენა ხელით -
ხშირად ბუჟდებოდა,
ტვინი კი სულ უფრო უძალიანდებოდა იმედს,
ხოლო სურვილებს ჩამოეყვინთათ,
ენერგიამ დაიწყო ჟონვა -
მგონი თვალებიდან,
და სიყვარულიც წურწურით მდიოდა.
მოდიოდნენ და მოდიოდნენ ცუდი ამბები,
მე კი მიხაროდა, რომ ვრჩები მარტო
რომ უნდა მოვკვდე.
და მქონდა ხილვაც -
ვიხილე წმინდანი,
მაგრამ ვიგრძენი, რომ არ ღირდა ამ ხილვის ახსნა,
ალბათ იმიტომ, რომ ვიყავი გადაღლილი.
მეორე დღეს კი
ტკბილი იყო იმის მიხვედრა,
რომ სამოთხის გზას სადაცაა გაუყვება
თვით სტენლი გოლდიც.

### ჰიმნი

როცა შენ მიჩვენე ბრუკლინის ხიდი
გამთენიისას,
ღმერთო,
მოყინულ ქუჩებში ეძინა ხალხს -
წყვილ-წყვილად,
ორ-ორად,
ხოლო სხვანაირი ხალხი
გადადიოდა ხიდზე, მიდიოდნენ
სამუშაოზე. თითოეულს ეჭირა ხელში
თითო ნუგეში - "დეილი ნიუსი",
ამათ კი ეძინათ მოყინულ ქუჩებში
და მე მთელი 5 წუთის განმავლობაში
ორივეთათვის
ვტიროდი, ვტიროდი
შენგანვე ნასწავლი ცრემლებით, ღმერთო,
შენთვის და ჩემთვის ვტიროდი, ღმერთო,
ლამპიონის ბოძს შემოხვეული,
და მეცრემლებოდა
თვალები,
თვალები,
და არავის არ ესმოდა, როგორ ვტიროდი,
და კიდევ დიდხანს ვიტირებდი, მაგრამ უეცრად
მე დავინახე მამაჩემი,
მე დავინახე ბაბუაჩემის დედა,
მე დავინახე სკამების გრძელი რიგი,
რომლებზეც ისხდნენ თვალცრემლიანი მკვდრები,
და მივხვდი, ღმერთო,
რომ შენი გეგმა იყო ბევრად უკეთესი, ვიდრე ესაა,
და რაც არ უნდა გქონდეს ჩემთვის ჩაფიქრებული,
შეკუმშე, შეკვეცე,
დაამოკლე ჩემი ბედი
და წამიყვანე მარადიულ დედასთან, ღმერთო,
შენივე ნებით,
და დღესვე,
ვიდრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეხიკო სითის ბლუზი

*64-ე ქორო*

წყნარი ოკეანის უბიწო ტალღები
ყოველწლიურად რიყავენ ნაპირზე
55 დამხრჩვალ მეზღვაურს,
რომელთა ჯამი
ხუთ წელიწადში სამ წმინდანს გვაძლევს,
რადგან მეზღვაურთა 60 პროცენტის საშუალო ასაკი
18-დან 20 წლამდეა
და ცოდვებისგან მათი განბანა
წყალქვეშა დინებებისათვის არ არის ძნელი,
განსაკუთრებით - სიკვდილის შემდეგ.

ღმერთო, შეეწიე უწმინდურ პოეტს,
მას დაუღამდა სანაპიროზე,
ზურგჩანთაში კი არ აქვს საკვები,
მხოლოდ ორი ძვირფასი წიგნი -
სტატისტიკური ალმანახი და ძველი აღთქმა.

## გრეგორი კორსო



## კაფე "სერკე კერი"

კაფე "სერკე კერის" ნერვიული გოგონები
მაგიდებზე აბრახუნებენ კათხებს
და გაჰკივიან, რომ დანტონმა თავისუფლების გაქელვის
ხარჯზე
მიაღწია თავის დიდებას,
ხოლო გარსონი ირწმუნება, რომ მურატის სიდიადეს
ვერც დანტონი შეედრება და ვერც ვერავინ,
აფეთქებებით გამჭვარტლული ალჟირელები
აელვარებენ ქათქათა კბილებს.
გარყვნილების ბუდე არის "სერკე კერი"
და აქაური ბელადები "შერისხულთა" ბელადებს გვანან,
მე კი ყოველთვის, როცა მოვდივარ, მეჩვენება -
ვარ ჟან ვალჟანი.

მადლობა უფალს, არ ვარ ჟანდარმი,
და არც ფული მაქვს, მადლობა უფალს.
მე ვარ ყოფილი კატორღელი და "სერკე კერში"
არ მელოდება ჩემი მაგიდა.
თუკი დაჯდომა მოვახერხე, მე ვღეჭავ შავ პურს
და ველოდები ჩემს კოზეტას - მქრქალ ანარეკლს
მარადისობის.

ველოდები, რათა ერთად გავუყვეთ ღამეს,
რათა ვაჩუქო წყლით სავსე ვედრო,
რათა მივართვა დიდი თოჯინა
და გავიყოლო შორს, ღამეში, სიყვარულისკენ.
მე მინდა, მანაც შემიყვაროს
და როგორსაც შემიყვარებს, იმნაირმა ვისეირნო პარიზის
ღამის ლაბირინთებში,
ბოლოს კი, როცა დავბერდები, მის ქორწილში უჩუმრად
მოვკვდე.
ეჰ, "სერკე კერის" მაგიდებზე აფარია ჭრელი სუფრები,
ფოსტა ახლოა, ნერვიული გოგონები იქ მუშაობენ,
კაფეს მფლობელს კი არასოდეს არ ჰყოლია ქალიშვილი,
მითუფრო - კოზეტა,
ჰყავს მხოლოდ ბიჭი, ზარმაცი და ჩასუქებული,
მთელი დღეები კროასანებს რომ იღეჭება.

ან ალჟირელებს "სერკე კერში" როგორ შეხვდებით?

## ბოსელი

დიდი ხანია, ძროხები დაკლეს.
კეთილშობილი სუნი თივის
არ იბღალება ნაკელის ყროლით,
მაგრამ დილით, როცა ვიღვიძებ,
მეჩვენება, რომ სიმყრალემ გამომაღვიძა,
რადგან მე მინდა სიყვარული -
ისე მარტო ვარ.

რადგან მე მინდა სიყვარული,
მე მჭირდება სიყვარული - წურბელა გულში,
თუნდაც თმის ფერი არ შეეწყოს თივის ბულულებს.

ინგლისურიდან თარგმნა **ზვიად რატიანმა**

**არილი**



უილიამ ბეროუზი

# უკანასკნელი სიტყვები

## ნაწყვეტები დღიურიდან



**1997 წლის 5 მაისი, ორშაბათი**

ერთი თვის წინ ალენი მოკვდა.

**12 მაისი, ორშაბათი**

მაციებს და ვგრძნობ, რომ დავბერდი. თავი ტირესიასი მგონია, უკვე ორი კვირაა მკვდარივითა ვარ, ტალღები ჩურჩულით სინჯავს ჩემს ძვლებს - ძველ, უძველეს სიტყვებს;

**24 მაისი, შაბათი**

ოთხშაბათს დიდი დღეა - კანზას სიტიში ჯგუფი U2 უკრავს. მიყვარს ეს საჯარო დღესასწაულები - როგორც ინექცია გულახდილი, კეთილი ნებისა.

ალენ გინსბერგმა, თუკი ჯორჯ უოლს დავუჯერებთ, ამერიკული საზოგადოების დისფუნქციებზე გაიკეთა კარიერა. ალენმა ამ სიყალბეს საფუძველი შეურყია; მისი ეს ღმუილი მთელ მსოფლიოს მოედო, მექსიკიდან პეკინამდე, ეს იყო დამახინჯებული, ჩახშობილი ყმაწვილობის სულისშემძვრელი ხმა. ალენმა უპრეცედენტო გავლენა მოახდინა სამყაროზე. იგი თავისი ტოტალური გულახდილობით, სიმამაცით ხიბლავდა და განაიარაღებდა ველურებს სტუდენტური სათვისტომოებიდან.

**25 მაისი, კვირა**

ყველა მთავრობა სიყალბეზე, სიცრუეზეა აგებული; ყველანაირ ორგანიზაციას სიყალბე უდევს საფუძვლად. სიცრუემ, შესაძლოა არც არავის ავნოს, როგორც მაგალითად, სასწაულმოქმედი წამლის, მეტადონის მითმა, რომელიც ვითომ ჰეროინზე მიჯაჭვულობას ხსნიდა (ისევე როგორც, ვითომ ჯინის დახმარებით იყოს შესაძლებელი ვისკის გადაჩვევა). ეს საშუალება სიცრუის ნისლიდან იშვა და მისი არსი განიმარტა ექიმმა, ვინც პირველმა გამოიყენა მეტადონი. "სიტყვა "მორფი"-თ რომ გვესარგებლა, "ოფიციალურ ნებართვას" ვერასდროს მივიღებდითო", - მითხრა მან. მეტადონი - მორფის მოლეკულის პირველი მეტ-ნაკლებად წარმატებული სინთეზია, მაგრამ იგი სამჯერ უფრო ძლიერია მორფზე. ეს ნაღდად ვიცი. ტანჟერში ორი წელი ვიჯექი ინექცირებად - ბისეპტომს ეძახდნენ თუ რაღაც ჯანდაბას - მეტადონზე, რომელიც სინამდვილეში ჩვეულებრივი ნაგავი იყო.


Heir's Pistol Kills His Wife; He Denies Playing Wm. Tell

Mexico City, Sept. 7 (P).—William Seward Burroughs, 37, first admitted, then denied today that he was playing William Tell when his gun killed his pretty, young wife during a drinking party last night.

ეს იყო ერთადერთი საშუალება, რომ მეტადონის კლინიკები დაეარსებინათ.

ვინ არიან ეს ანტინარკომანი სირენები? საიდან ჩნდებიან ეს ჩემისები? "მარიხუანა აჩლუნგებს მეხსიერებას, ხელს უშლის მოძრაობების კოორდინაციას, იწვევს ფილტვების კიბოს (იგი ალპობს ტვინსა და მორალურ ღირებულებებს)". ფაქტია: კანაბისი - ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა გულისრევის წინააღმდეგ, მადას აღვიძებს და აუმჯობესებს საერთო მდგომარეობას. თანაც ტვინში ლოკალიზებული მხედველობის ცენტრების სტიმულირებას ახდენს. კანაბისის წყალობით უამრავი საინტერესო სახე იბადება ხოლმე. ახალგაზრდობაში, ჩემი ყველაზე ბედნიერი დღეები სწორედ მასთან იყო დაკავშირებული. ერთი-ორჯერ მოქაჩავ მწვანე ძუძუკებს და მიდი, გაუბერე უსასრულობაში. რატომ ახურებენ ამდენს ამ უწყინარი და კეთილშობილი ნივთიერების გამო, ჩემთვის გაუგებარია.

ალენი უზარმაზარ სიცრუეს ებრძოდა არამხოლოდ თავისი პოეზიით,


ა. გინსბერგი, უ. ბეროუზი და ფ. უოლენი. 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა



დენის ჰოპერი და ალენ გინსბერგი. 1995

არამედ თავისი არსებობითაც, ცხადი სულიერი ჭეშმარიტებით. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: "ექიმებმა თქვეს, ორიდან ხუთ თვემდეო, მაგრამ მე მგონი, ნაკლები დრო დამრჩა". შემდეგ დაამატა, "მე მეგონა, გავგიჟდებოდი, არადა, მაგრა მხნედა ვარ!" მახსოვს, ტელეფონით რომ ველაპაკე, მანამ, სანამ სიკვდილის დიაგნოზს დაუსვამდნენ... მის ხმაში უკვე ისმოდა ეს სიკვდილი, შორს, ძლივს გასაგონად. მაშინვე მივხვდი.

ლირი კიდევ ერთია. ტიმს მისი გარდაცვალების ღამეს ვესაუბრე. ასე მითხრა: "რატომაც არაო?"

31 მაისი, შაბათი

2001 წელს ამერიკა ნარკოტიკების გარეშე შეხვდება. რა უხალისო პერსპექტივაა! რა თქმა უნდა, აქ არ შედის ალკოჰოლი და თამბაქო, რომლის მოხმარების დონეც საგრძნობლად აიწევს. როგორ უნდა მივაღწიოთ ნარკოტიკებისგან გათავისუფლებას? უბრალოდ, ქირურგიული ჩარევით უნდა მოვაცილოთ ადამიანის ტვინს ნარკოტიკების რეცეპტორები. მათ, ვინც უარს იტყვის ოპერაციაზე, ყველანაირი უფლება ჩამოერთმევა - სახლის მეპატრონეები ბინას არ მიაქირავებენ, რესტორნებში და ბარებში არ შეუშვებენ. არც პასპორტებს მისცემენ ასეთებს და არც შეღავათებს, ვერც სამედიცინო დაზღვევით ისარგებლებენ ისინი და ვერც ცეცხლსასროლ იარაღს შეინახავენ.

როგორ ვერ ვიტან მათ, ვინც კონფორმიზმის წარმოებით არიან დაკავებულნი. არადა, რისთვის? წარმოიდგინეთ, ნარკოტიკებისგან გათავისუფლებული ამერიკის ბანალური ყოფა. არანაირი კაიფი - მხოლოდ გამოწკეპილი ამერიკელები იბაკუნებენ ზღვიდან ზღვამდე. უთანხმოების მთელი ზონა ალმოფხვრილია - ამორწყეს, როგორც მუწუკი. არანაირი ანდერგრაუნდი, არანაირი იატაკქვეშა იდუმალი ოპერაციები. არაფერი.

როგორი იქნება ტოტალური კონფორმიზმი? რა დარჩება ცალკეული ინდივიდისგან? პიროვნებისგან? ადამიანისგან?

6 ივლისი, პარასკევი

"ტრამვაიმ წრე დაარტყა და შედგა - ხაზი აქ თავდებოდა". ამ სიტყვებით ასრულებს პოლ ბოულზი "გახლეჩილ ზეცას". ზეცას. ზეცა. ამ სიტყვის დაწერაც კი მიჭირს. ალბათ ვგრძნობ - გაგრძელებას აზრი არა აქვს.

1 აგვისტო, პარასკევი

რა არის სიყვარული? ყველაზე ბუნებრივი ტკივილგამაყუჩებელი. ის, რაც არის. სიყვარული.

ინგლისურიდან თარგმნა
სანდრო სილაბიძემ

არილი



ტიმოთი ლირი




BEAT - ბიბლიოგრაფია

ჯეკ კერუაკი - 1922-1969 "მეხიკოს ბლუზები" (Mexico City Blues) - 1959; "გზად" (On the Road) - 1957; "დჰარმას მაწანწალები" (The Dharma Bums) - 1958; "ბიგ სურ" (Big Sur) - 1962.

ალენ გინსბერგი - 1926-1997 "ღმუილი" (Howl and Other Poems) - 1959; "კადიში" (Kaddish and Other Poems) - 1961; "ამერიკის დაცემა" (The Fall of America) - 1972.

უილიამ ბეროუზი - 1914-1997 (ნარკუშა: გამოუსწორებელი ნარკომანის ალსარება" (Junkie: Confessions of an Unredeemed Drug Addict) - 1953; "შიშველი საუზმე" (The Naked Lunch), "ნუგეშის მანქანა" (The Soft Machine) - 1961.

ლორენს ფერლინგეტი - 1919 "სულის კონი-აილენდი" (A Coney island of the Mind) - 1958; "გამგზავრება სან-ფრანცისკოდან" (Starting from San Francisco) - 1961.

გრეგორი კორსო - 1930-1988 "ბენზინი" (Gasoline) - 1958; "ბომბი" (Bomb) - 1958; "სიკვდილის ბედნიერი დაბადების დღე" (The Happy Birthday of Death) - 1960.

ჯონ კლელონ ჰოლმსი - 1926-1988 "მიდი" (Go) - 1952.

თამარ ბოკუჩავა

# ვარიაციები შექსპირის "ვენეციელი ვაჭრის" თემაზე

რუსთაველის თეატრში, რობერტ სტურუას სპექტაკლების რეტროსპექტივაზე წარმოდგენილი "ვენეციელი ვაჭარი" მოულოდნელი და უჩვეულო დადგმა გამოდგა შექსპირის ამ პიესის ტრადიციული ინტერპრეტაციების ფონზე, რომელთა ორიგინალურობა ძირითადად დამნაშავის ფიგურის "არატრადიციულ" შერჩევასა და შაილოკის მონოლოგის ახლებური წაკითხვის მცდელობაში გამოიხატება. თეატრი "ეტ ცეტერა" ახალგაზრდა კოლექტივია, ვფიქრობ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მსახიობის საშუალო ასაკი ოცდაათ წელს არ უნდა აჭარბებდეს. ამ გარემოებისა, და კიდევ, როგორც მე მომეჩვენა, ალექსანდრე კალიაგინის ერთი შეხედვით მგრძნობიარე და დელიკატური პიროვნების (კალიაგინი "ეტ ცეტერას" სამხატვრო ხელმძღვანელია) წყალობით, თეატრში ხალისიანი და სიცოცხლით სავსე ატმოსფერო სუფევს. ყოველივე ეს ერთგვარ ნათელ აურას ანიჭებს სპექტაკლს და დადებითი ენერგეტიკით ალავსებს მას. რობერტ სტურუას ნამუშევარი საათის მექანიზმივითაა აწყობილი და გამართული, წარმოდგენის შინაგანი რიტმი მსუბუქია და მარდი, მიუხედავად ერთაქტიანი სპექტაკლის ხანგრძლიობისა, ის ყველა მონაკვეთში ინარჩუნებს შინაგან რიტმს და მაყურებლის ყურადღებას მოდუნების საშუალებას არ აძლევს. მოქმედება "გამჭვირვალეა" და შინაგანი ერთიანობის მქონე სპექტაკლისათვის დამახასიათებელი თავისებურებითაა წარმოდგენილი. პიესის შინაგანი დრო და სივრცე ერთიან "ზესივრცეშია" ინტეგრირებული, რომელიც მოქმედების ადგილისა და დროის დაკავშირების დახვეწილ პირობით სისტემას ემყარება. ეს კავშირი, გარდა შინაარსობრივი და სიუჟეტური კავშირისა, შინაგანი მაკავშირებლების უფაქიზეს სტრუქტურას ეყრდნობა, რომელიც ლოგიკური გადასვლების მათემატიკურ სიზუსტეს ქმნის. სიტყვა "მათემატიკა" ზედმიწევნით ასახავს სპექტაკლის კომპოზიციურ და სტრუქტურულ თავისებურებას, რომელიც დრო-სივრცით და დინამიკური აგების ერთობლიობაში ვლინდება. შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორის ოსტატობამ ისეთ სიმაღლეს მიაღწია, როდესაც მას ხელეწიფება უაღრესად მდიდარი, მრავალმხრივი და სხვადასხვა სიღრმესა თუ "განზომილებაში" მდებარე შინაარსების თავმოყრა და მათი ისეთ მხატვრულ ფორმაში მოქცევა, რომელიც თავისი გამჭვირვალებითა და სიმსუბუქით ნებისმიერი ფილოსოფიური შინაარსის დატევისა და "პროდუქტიულად მოწოდების" უნარს ფლობს. პროდუქტიულ ფორმას მე ვუწოდებ ფორმას, რომელსაც აღმქმელის "ფსიქიკური მოქმედების" პროვოცირების უნარი აქვს. ეს ფსიქიკური მოქმედება პროდუქტიულ ფორმასთან შემოქმედებითი შეხების შემდეგ, პრაქტიკულად არ სრულდება და ადამიანის სულიერი ცხოვრების დინამიკის ნაწილი ხდება. ეს პროცესი ახანგრძლივებს სპექტაკლის ვიზუალურ-სიმბოლური რიგის სიცოცხლეს და მისი მხატვრული ზემოქმედების დროულ დიაპაზონს ზრდის. სპექტაკლის შინაარსობრივი, "კულტურფილოსოფიური" თუ ფსიქოანალიტიკური ასპექტები თანდათანობით ამოდის ზედაპირზე და ნელ-ნელა თვალსაჩინოვდება. სტურუას უკანასკნელი პერიოდის ნამუშევრები, განსაკუთრებით კი "ვენეციელი ვაჭარი" სულ უფრო მეტად გვაკვირვებს მხატვრული ფორმის ტევადობით, მისი სასიცოცხლო პოტენციალითა და ცნობიერებაში შეღწევის თვისებით. პროდუქტიული ფორმა თავისი ბუნებით არქეტიპულია, ანუ მოვლენათა ძირში მდებარე. არქეტიპული ფორმა ბაზისური მზარდი და განვითარებადი ზედნაშენის არსებობას გულისხმობს, რომელიც განსხეულებათა, ინტერპრეტაციათა და რეალიზაციათა ცვალებად სპექტრს მოიცავს. საერთოდ, რეჟისორის შემოქმედებაში დაიწყო ახალი, "სიზმრისეული" ეტაპი, რომელიც, ცხადია, არაცნობიერის აქტუალიზაციას უკავშირდება. იუნგი ჩვენი ფსიქიკის ორ თანასწორუფლებიან ნაწილს განიხილავს - ცნობიერსა და არაცნობიერ ფსიქიკას. მათ არსებობისა და მოქმედების თანაბარი უფლებამოსილება აქვთ. არაცნობიერი ფსიქიკის მოქმედების ადგილი ძილი და სიზმარია, ცნობიერისა - ღვიძილი. თუმცა, მიჯნა მათ შორის ასეთი მდგრადი და მყარი არ არის და ისინი ერთურთის სფეროებში იჭრებიან. სტურუას შემოქმედებაში "სიზმრის ლოგიკის" შემოსვლა არაცნობიერი ფსიქიკით მისი ბუნებრივი დაინტერესებითაა განპირობებული. ეს "დაინტერესება", ჩემი აზრით, თავის საწყისში ინტუიტიურია (რეალობის სიზმრისეული ასპექტები წარმოჩენილი იყო პედრო კალდერონის "ცხოვრება სიზმარიასა" და დიკენსის "საშობაო სიზმარში" და ა.შ. ამ შემთხვევაში მე უშუალო დემონსტრატიული მაგალითები მომყავს), ხოლო შემდეგ, რეჟისორისათვის დამახასიათებელი რეფლექსურობის წყალობით ეს პროცესი ცნობიერი ხდება (იმდენად, რამდენად ცნობიერი შეიძლება იყოს შემოქმედება) და მეთოდოლოგიურ ხასიათს იძენს. ამ მეთოდოლოგიით შექმნილი სპექტაკლები არ არის ერთჯერადი განხილვისათვის გამიზნული ნაწარმოებები. მხატვრული ნაწარმოები არის ერთგვარი მედიატორი, გამტარი არქეტიპულ მოდელსა და მაყურებლის მიერ მის ამოკითხვას, მასში შთაგრძნობას, მის არაცნობიერ ენერგეტიკაში ინტეგრირებას შორის. სტურუას შემოქმედება თითქოს არღვევს მითს თეატრალური ხელოვნების ილუზორულობის შესახებ, რომლის თანახმადაც, სპექტაკლის მაყურებელზე ზემოქმედება სრულდება მასთან ფიზიკური შეხების დასრულების შემდეგ. პირიქით, ჩემი აზრით, ეს ზემოქმედება ამ შეხებით მხოლოდ იწყება და შემდეგ, ფსიქიკის სხვადასხვა დონეზე დაუსრულებელი ვარიაციებით გრძელდება. ხდება ფსიქიკის ფარუ-



ლი თუ ღია შინაარსების აქტუალიზაცია და ფსიქიკური ცხოვრების ინტენსიურობის ზრდა. ამიტომ, ეს ნაწარმოებები არც არის ერთდროული აღქმისათვის გამიზნული, მათი შემოქმედებითი სტრუქტურა ზემოქმედების ხანგრძლივობას, ცოცხალი მოძრავი შინაარსების თანდათანობით გამოვლენას, მათი ახალი საზრისებისა და მნიშვნელობების აღმოცენებას გულისხმობს. ვფიქრობ, არ არის მართებული საუბარი იმაზე, თუ რისი თქმა უნდოდა რეჟისორს სპექტაკლით, უფრო გამართლებული იქნება საკითხი დაისვას იმის თაობაზე, თუ რომელი მენტალური თუ მეტაფიზიკური მიმართულების, რომელი პრობლემის აქტუალიზაცია სურდა მას. საერთოდ, სადღეისოდ, გამოთქმა “ინტერპრეტაცია” ჩემი აზრით, მოძველდა, შეიძლება საუბარი ინტერპრეტაციათა კომპლექსზე, რომლებიც საფეხურებრივად მიემართება ლოგიკური ჯაჭვის გავლით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სუპერმოდელებისაკენ. როგორც თითქმის ყველაფერს, ნაწარმოების აგების ასეთ წესსაც მოეძებნება თავისი წინამორბედი ანტიკურ სინამდვილეში, ვგულისხმობ პლატონის “ნადიმს”, სადაც სიყვარულის კონცეფციათა კომპლექსი საშუალებას იძლევა, მოვახიდნოთ მისი (ცნების) აბსტრაგირება კონკრეტული მოდელური ფორმებისა და გამოვლინებებისაგან და ის მეტაფიზიკურ სიმაღლეზე ავიყვანოთ. სწორედ ამიტომ სჭირდება რეჟისორს რამდენიმე სიმართლე, რათა საშუალება მოგვეცეს, მათი საფეხურებრივი გამოყენების გზით მივიდეთ გარკვეულ მეტაფიზიკურ დასკვნამდე.

იმისათვის, რომ ისტორიამ, რომელიც “ვენეციელ ვაჭარშია” მოთხრობილი, მისთვის სასურველი აქცენტები და მიზანმიმართულება შეიძინოს, სტურუას, ნაცადი ხერხის თუ ახალი მეთოდიკის თანახმად, მოქმედებაში სიზმრის თემა შემოაქვს. სიზმრის თემა რომ მართვადი და პიროვნულად (სიტყვა პიროვნულის ხმარება ამ კონტექსტში პირობითია) მიზანდასახული გახდეს, ის მედიტაციის ფენომენს იშველიებს. რეჟისორის ყველა ამოსავალი დებულება მხოლოდ ხიდია “მსჯელობის”, რეფლექსიისა თუ არაცნობიერში ჩაძირვის შემდგომი წარმართვისათვის. თვითჩაღრმავების, საკუთარი ბუნების შეცნობისაკენ სწრაფვის თემას სტურუა ანტონიოს (ალექსანდრე ფილიპენკო), ვენეციელი ვაჭრის, პირველივე საუბარში აღმოაჩენს:

“მართალი გითხრათ, მეც არ ვიცი რამ დამამწუხრა,
ეს გვაწუხებსო, მეუბნებით, მეც ეს მაწუხებს,
მაგრამ სად შევხვდი, სად ვიპოვე, ან სად წავაწყდი,
სად შემეყარა ეს წუხილი, რამ დამაღონა,
ჯერაც არ ვიცი.
და ამნაირმა სულელურმა, უაზრო სევდამ
ისე შემცვალა, ლამის ჩემი თავიც ვერ ვიცნო”.

საკუთარი თავის არცნობის, უფრო სწორად, ვერცნობის თემა საკუთარი მეს უკეთ შეცნობის სურვილის საწინდარია. სოკრატესი არ იყოს (ვიცი, რომ არაფერი ვიციო, რასაც განსწავლულ არცოდნას, ანუ ცოდნის პირველ საფეხურს უწოდებენ), ანტონიომაც უკვე იცის, რომ თავისი თავის ცნობა, რაც იგივე ცოდნას ნიშნავს, არ შეუძლია. სწორედ ეს აძლევს ბიძგსა და საფუძველს რეჟისორს, ანტონიოს მედიტაცია დააწყებინოს, რათა მან თვითშემეცნების საფეხურები გაიაროს.

რამ გამოიწვია ანტონიოს დამწუხრება? სპექტაკლში ეს თემა ფაქიზი ქმედითი მინიშნებითაა გადმოცემული, ანტონიოს ერთ გაუბედავ და დელიკატურ მოძრაობაში იკითხება, რომ მას ბასანიოსადმი (ა.ზავიალოვი), მისი ნათესავისა და მეგობრისადმი ლტოლვა აღეძრა. მაგრამ, ვიმეორებ, ეს მხოლოდ საშუალებაა მისი რეფლექსიის პროვოცირებისათვის და მოვლენათა შემდგომი, არაცნობიერის ლოგიკით ახსნილი განვითარებისათვის.

ბასანიოსადმი ანტონიოსს გადაჭარბებული ინტერესის დასტურად პიესის შემდეგი ფრაზები გამოდგება:

ის ქალბატონი ვინღა არის, მითხარი ერთი,
ვისაც შეჰფიცე იდუმალი თაყვანისცემა?
აკი შემპირდი, რომ დღეისათვის უნდა გეამბნა.

თუმცა, უკან დახევის შესაძლებლობა რომ დავიტოვო, აქვე დავძენ, რომ ინტერპრეტაციათა ჯგუფის თანარსებობის ჩემეული დებულების თანახმად, ჩემს მიერ არჩეული ვერსია მხოლოდ სამუშაო ვერსიად რჩება და არავითარ შემთხვევში არა აქვს აბსოლუტურობაზე პრეტენზია. ის მხოლოდ ლოგიკური ვარაუდების გამოთქმის ამოსავალი მოტივია, რომელიც მიადვილებს ანტონიოსა და პორციას (ა.ივჩენკო) კავშირის ხაზზე გადასვლას. პრინციპში, მე პიესისა და სპექტაკლის რეალობას ახალ, ჩემეულ რეალობას მივაწერ, რომელსაც თავისუფლდად შეიძლება ეწოდოს მეორეული ან მესამეული და ა.შ. (ეტ ცეტერა) რეალობა, რომელიც “სიზმრის ახსნის” ერთ-ერთ ვერსიას წარმოადგენს, სიზმრის ერთ-ერთ შრეს ფურცლავს. საერთოდ, ვფიქრობ, თეატრმცოდნეობაშიც, თვითონ თეატრალური წარმოდგენისა და სახიერების ლოგიკის შეცვლასთან ერთად, უნდა შეიცვალოს მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის ხერხი და მეთოდი, ნაკლები კატეგორიულობით მოხდეს ავტორისეულ ვერსიათა მოწოდება.

ანტონიო შეიტყობს, ვინ არის პორცია და მეგობარს შაილოკთან (ალექსანდრე კალიაგინი) მისი, ანტონიოს, სახელით მისვლასა და ვალის აღებაზე თანხმდება. სწორედ ასე შემოდის ანტონიოს მედიტაციაში პორციას თემა, ასე იბადება ისტორია ვენეციელი ვაჭრისა, რომელსაც მთელი თავისი ქონება წყლის სტიქიისათვის აქვს მინდობილი. ანტონიოს ფსიქიკური ცხოვრების პროექცია სპექტაკლის მოქმედებათა სისტემას ღიაობის, ურთიერთშეღწევადობისა და ურთიერთგადაჯაჭვის შესაძლებლობას ანიჭებს. მოქმედების ადგილის კონკრეტულობა უქმდება და იწყება ანტონიოს არაცნობიერი “გაპორციების” პროცესი, ანუ ბასანიოს სიყვარულის ობიექტთან იდენტიფიკაცია. მაყურებელი ვენეციელი ვაჭრის ფსიქიკის სივრცეში ხვდება.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამჯერად “ვენეციელ ვაჭარზე” კი არა, “ვენეციელ ვაჭარში” ვართ, მისი ფსიქიკის ლაბირინთებში “მატლებივით” დავძვრებით. ანტონიოს ფარული ჰომოსექსუალური იმპულსი სულ სხვა, გაცილებით უფრო ფართო და არაერთმნიშვნელოვან სამყაროში გადასვლის შესაძლებლობას გვაძლევს, კერძოდ, იუნგისეული ანიმას სივრცეში, იწყება მამაკაცის არაცნობიერი ფსიქიკის გარეპიროვნული (ან გარშემოპიროვნული) ქალური არსის აქტუალიზაცია. იუნგის აზრით, ანიმას მოქმედების არეალი გაცილებით უფრო ვრცელია, ვიდრე ეს ერთი შეხედვითთ შეიძლება ჩანდეს, რადგან მამაკაცის გენთა უზარმაზარი სიმრავლიდან მხოლოდ ერთს აქვს მისი მამაკაცურობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუმცა, იმისათვის, რომ ანიმა მთელი არაცნობიერი ფსიქიკის აბსოლუტურ განმაპირობებლად არავის მოეჩვენოს, იუნგი დასძენს, რომ ეს მხოლოდ ერთ-ერთია სხვა არქეტიპთა შორის და შეიძლება ითქვას, რომ ის არაცნობიერისათვის ყველაზე დამახასიათებელთა რიცხვსაც კი არ ეკუთვნის. თუმცა, მის (ანიმას) არქეტიპთან ერთად ჩვენ “ღმერთების” სამყაროში შევაბიჯებთ (იუნგი).

ამჯერად, იუნგის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჩვენ ანტონიოს, უკიდეგანო ფსიქიკური პოტენციის მხოლოდ ერთი, მაგრამ ამ ეტაპზე პროდუქტიული სფეროს გარემოცვაში აღმოვჩნდებით. უაღრესად ნიშანდობლივია



ის გარემოებაც, რომ ანტონიო, ვენეციელი ვაჭარი, მთელ თავის კაპიტალს ზღვის სტიქიას მიანდობს. ზღვა და წყალი ხომ არაცნობიერის სიმბოლოა, მისი უსასრულობის, ამოუწურავობის, საწყისისმიერობის გამოსახულება. ანტონიოს ცნობიერება გახსნილია, ის კარს უღებს თავის სულში მზარდი და განვითარებადი შინაარსების შემოსვლას, მას სურს თავისი კაცური ბუნება შეიმეცნოს. სწორედ ასე შეუძლვება პორცია-ანიმა ანტონიოს "ღმერთთა" საუფლოში - მშვენიერი, ბრძენი და იდუმალი. სამყაროსადმი გახსნილობით, მარადიული თვითმოძრავი სულიერი არსებობის წრეში ჩართვით სურს ანტონიოს თავისი წუხილის მიზეზი შეიმეცნოს, თავისი საზღვარდადებული "სამოქალაქო" (როგორც იტყოდა იუნგი) არსებობა გადალახოს და "სულის ბედს" ეზიაროს.

პორციას პირველივე გამოჩენა ადასტურებს ანტონიოსთან მის კავშირს, ეს ორი ფიგურა ერთი და იმავე არსებობის ჰიპოსტასებს წარმოადგენს. ქალი სცენის მარცხენა მხარიდან გამოჩნდება, თალიდან გამოდის, თალის წინ მდებარე მაგიდას გადაივლის და ისე დაეშვება ანტონიოს სამოქმედო სივრცეში, რომელიც ამჯერად პორციას ბელმონტის მამულს განასახიერებს. ანტონიო პირველივე სცენაში "ხედავს" ქალს, უფრო მეტიც, მის მოქმედებას ხელმძღვანელობს და შემოქმედის სიხარულითა და აზარტით ადევნებს თვალს მშვენიერ ქმნილებას. მკითხველს კი ალბათ ახსოვს, რომ პორციასა და ანტონიოს სიუჟეტური შეხვედრა გაცილებით უფრო გვიანაა მოსალოდნელი. ასეთი გადაწყვეტა კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ ადასტურებს კავშირს ანტონიოსა და პორციას შორის.

თუ პიესის სიუჟეტს დავაკვირდებით, ეს კავშირი მართლაც უაღრესად არსებითად მოგვეჩვენება, რადგან, პრაქტიკულად იმიტომ ხდება საჭირო ბასანიოს პორციასადმი სიყვარულის ხაზის შემოტანა, რომ შესაძლებელი გახდეს პორციას მოქმედებაში ჩართვა, მაგრამ, თავის მხრივ, იგივე სიყვარული ხდება მიზეზი ვალის აღებისა და ანტონიოს სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნისა. მაშასადამე, სიყვარული, როგორც მიზეზი კონფლიქტის გაჩენისა და საშუალება მისი გადაჭრისა თვალსაჩინოა. თუმცა, თუ მოვლენების მსვლელობას კარგად დავაკვირდებით, აქ განვითარების შემდგომ ლოგიკას დავინახავთ. პორცია სასამართლოში მონაწილეობის მისაღებად ემზადება, აქ ის მამაკაცად ჩაცმული მოდის, ანუ ანტონიო, ქალური ბუნების გავლით უბრუნდება მამაკაცურობის იდეალურ მდგომარეობას, უფრო სწორად მდგომარეობას, რომელშიც ქალური და მამაკაცური პოტენციალები შერწყმულია, ერთი ადამიანური მთლიანობის ორი ჰიპოსტასი გაერთიანებულია და მიღწეულია ქრისტიანული კულტურის სულიერი მძლეობის მწვერვალი. სწორედ აქ იბადება მიტევების იდეა. თუმცა, სიტუაციის ორაზროვნება იმაში მდგომარეობს, რომ მიტევების დეკლარირებისას პორცია ამ აქტის განხორციელებას სხვისგან ითხოვს, კერძოდ კი შაილოკ - კალიაგინს მოუწოდებს მოწყალებისაკენ. ამ წუთს, ქართული სიტყვა "მოწყალების" ხმარებისას, პირველად მომხვდა ყურში მისი კავშირი წყალთან, ანუ არაცნობიერი ფსიქიკის სიმბოლოსთან. საერთოდ მედიტაციის, წყლის, სქესთა იდეალური (იდეალურ დონეზე) შეერთების თემა და, რაც მთავარია, მოწყალების, შენდობის, მიტევების თემა იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს სამყაროსა და ფსიქიკის ტოტალური დინამიკური ერთიანობის განცდასთან, აბსოლუტურად განსხვისებული, ბედს მინდობილი საკუთრების უსაფრთხოების პრობლემა ანტონიოს სულაც არ აშფოთებს, რადგან მისთვის სამყარო ღიაა და ერთიანი, რაც უფრო ვშორდებით მიზანს, მით უფრო ვუახლოვდებით მას, რადგან სამყარო აბსოლუტია და მასში არაფერი არ იკარგება, ამწუთიერი არყოფნა არარსებობას არ ნიშნავს.



არ ვიცი, თუ მკითხველი დაფიქრებულა ან დაკვირვებია ამგვარ ფენომენს - ჩვენ ფანტაზიებს ახდომის თვისება აქვს, ხშირად ის, რაზეც გიფიქრია, ან რისიც გშინებია, რეალობაში ცხადლივ მეორდება, თითქოს გიოცნებია, ფანტაზიების პროექცია განხორციელდაო. ეს უმართავი, თავისთავადი და მეტად საინტერესო პროცესია, ხშირად არასასურველი, მაგრამ მაინც განცვიფრების მომგვრელი. დაახლოებით ასეთი კავშირია სპექტაკლში მოვლენებს შორის, მათ ფსიქიკურ და ფიზიკურ რეალობას შორის.

ამდენი საუბრის შემდეგ სულ დამავიწყდა, რომ თვითჩაღრმავებისა და თვითშემეცნების გარდა, სპექტაკლი სხვა რაღაცებზეც მოგვითხრობს, ჯერ წინა გვაქვს შაილოკის თემა და მისი დაპირისპირება ანტონიოსთან, დაპირისპირება, რომელიც სასამართლოს სცენაში უნდა გამოიკვეთოს და გადაწყდეს. სწორედ აქ, სასამართლოში გაიჟღერებს პირველად სიტყვა მოწყალება, რაც იგივე ღმერთსა და აბსოლუტს ნიშნავს და აქვე შეილახება მოწყალებისაკენ მოწოდება მომწოდებელთა მიერვე. როდესაც პორციას ხაზს განვიხილავთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი სიბრძნის განვითარებაში მამობრივთან უწყვეტი კავშირი მონაწილეობს, პორცია, როგორც ევა, ანტონიოს ცნობიერების, უფრო სწორად ფსიქიკის ნეკნიდან იბადება, მისი სცენური სიცოცხლე მამისეული იდეის განხორციელების გზით წარიმართება, სამი კოლოფის იდეა განუყოფელ კავშირშია მოწყალებისა და სამყაროს ერთიანობის, მისი ციკლური თვითმოძრაობის იდეასთან. კოლოფების წარწერები სწორედ ამ მსოფლაღქმის რაფინირებული განვითარების საფეხურების მაჩვენებელია. პირველ კოლოფს აწერია - "ვინც მე ამირჩევს, იმას მიიღებს, რაიც ბევრსა სურს", მეორე გვამცნობს - "ვინც მე ამირჩევს, იმას მიიღებს, რასაც თვითონ დაიმსახურებს", ხოლო მესამე დაასკვნის - "ვინც მე ამირჩევს, ყველაფერი გასცეს, გაწიროს" ("რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია!") მესამე კოლოფის წარწერა, სადაც მოთავსებულია პორციას პორტრეტი, იმეორებს იმავე მსოფლაღქმას, რომელიც ანტონიოსგან მომდინარეობს. ანტონიო, რაღაც ასპექტში შეიძლება ჩაითვალოს იმ მამად, რომელმაც პორციას არჩევანი შეზღუდა და განაპირობა.

მაგრამ ანტონიოს იდენტიფიკაცია მხოლოდ პორციასთან სულიერი ნათესაობით არ გამოიხატება. ის, იმავდროულად ბასანიოცაა, რომელიც მის ახალგაზრდა ეგოს განასახიერებს, იმ ეგოს, რომელსაც თავისი ჩანასახოვანი თვითცნობიერების გამო ჯერ კიდევ აქვს ბედნიერი უნარი სამყაროს გამთლიანებას მოკლე ხორციელი გზით ესწრაფოდეს, სამყაროში ინტეგრირებას პლიუსისა და მინუსის მატერიალური, რეალური დაკავშირებით ცდილობდეს. ამდენად, მცდარი იქნებოდა, თუ ანტონიოს ჰომოსექსუალურ ცალმხრიობას დავწამებდით, პირიქით, თავისი მედიტაციის წყალობით ის ყოველგვარ ცალმხრიობაზე ამაღლებას და არაცნობიერის კოლექტიურ, არქეტიპულ, სიცოცხლის სილბოთი გამსჭვალულ დუალისტურ არსებაში ინტეგრირებას ცდილობს. ამიტომ, ბასანიოს არჩევანი, რომელიც, ამავე დროს, ანტონიოცაა და მისი მედიტაციით სიცოცხლეში გამოხმობილი სახე, სრულიად ბუნებრივია, ის ანტონიოს დომინანტური ნატურის ზემოქმედებას ექვემდებარება. პრაქტიკულად, ჩვენ შეგვიძლია ყველა პერსონაჟი, შაილოკის ჩათვლით, განვიხილოთ როგორც ერთი კოლექტიური არაცნობიერის გამოვლენის მაგალითი. მათ ცნობიერებას საერთო ძირი აქვს, მათი არსებობის საფუძველი შეიძლება რომელიმე სხვა პერსონაჟიც

გამხდარიყო, მაგრამ მათი თვითორგანიზაციისა და თვითაბსტრაგირების ხარისხი ასეთი ფართო არ იქნებოდა. ადამიანები ლაიბნიცის მონადებს გვანან, რომლებიც აბსოლუტურად იდენტურნი არიან პოტენციაში, მაგრამ განსხვავდება მათი თვითცნობიერების დონე, მათ სულში აქტუალიზირებული შინაარსების მოცულობა. ამდენად, ბასანიო, ინტუიციურად, ირჩევს კოლოფს, რომელიც ყველაფრის დაკარგვას ჰპირდება, რადგან თუ ყველაფერს არ დაკარგავ, ვერ დაიმკვიდრებ სასუფეველს. სიყვარულში სიკვდილი ნიშნავს სიცოცხლეს, გარდაცვალება მკვდრეთით აღდგომას.

მთელი წინამდებარე მსჯელობა არის მცდელობა, პასუხი გაეცეს იმ პრობლემას, რომელიც დასვა რობერტ სტურუამ ძალზე სადად და მკაფიოდ - “უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში ჩადებულია რაღაცნაირი ბიოლოგიური სიძულვილი სხვა ეროვნების წარმომადგენლებისადმი. ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ვდუმვართ. უნდა გვეყოს პატიოსნება, რომ ვებრძოლოთ ამ გრძნობას”. მოგეხსენებათ, რომ პიესაში კონფლიქტის სიმძაფრე შაილოკთან დადებული პირობის სისასტიკითაა განპირობებული. აქვე, ნაჩვენებია, თუ როგორ ინგრევა ვენეციელი ებრაელის სამყარო, როგორ ტოვებს მას ქალიშვილი, როგორ იცვლის რჯულს და ებრაულ ვარსკვლავს, რომელიც ორი სამკუთხედის ზედდებით მიიღება და სამყაროს პოლარულობასა და მის სიმეტრიულ სტრუქტურაზე მიგვანიშნებს, როგორ ანაცვალებს ოთხივე მხარეს გადახსნილ ჯვარს, სამყაროს უპირობო და უკიდეგანო ღიაობის სიმბოლოს. მაგრამ ეს ცვლილება, სიყვარულით ნაკარნახევი, ჯესიკას შვებას არ მოუტანს, რადგან ადამიანები, რომლებიც გახსნილობას აღიარებენ, ყოველ კონკრეტულ წუთში ღიანი ვერ არიან, მამარდაშვილის არ იყოს, მათ სულში არ ხდება ამწუთიერი თანხვედრა სულიერ ძალთა ჰარმონიული და თანხმიერი ზეობისა, რაც ჩვეულებრივ “სამოქალაქო პირის” მათეული შეზღუდულობას განაპირობებს. რაც შეეხება შაილოკს, რომელიც ჩვენი სპექტაკლის ლოგიკიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ანტონიოს რეფლექტიური სულის ნაწილია, მასთან კონფლიქტი წარმოებს სინამდვილის სტრუქტურული ორგანიზიების ორი განსხვავებული წესის გამო. უფრო სწორად, ესაა კონფლიქტი სინამდვილის მათემატიკური და გეომეტრიული ორგანიზების პრინციპებს შორის. პირველი, თვითშემოქცევისა და თვითინტეგრირების აბსოლუტურ ციკლზეა ორიენტირებული, მათემატიკური წერტილისაკენ, ცენტრისაკენ აბსოლუტისაკენ მიისწრაფვის, ღვთაებრივი არარას (როგორც ამბობს უმბერტო ეკო “ვარდის სახელის” დასასრულს) თუ ღვთაებრივი სრულყოფილების მიღწევა სურს. შესაბამისად, მისი პრინციპია სრული გაცემა სრული მიღებისათვის, ენერგიის თვითშემოქცევის მეტაფიზიკური და ფიზიკური ციკლი, აბსოლუტური წრე, რკალი ღვთაებრივი შემობრუნებისა.

შაილოკის სამყარო, მისი ცნობიერებისა და რელიგიის თავისებურებიდან გამომდინარე სინამდვილის კონსტრუირების სხვა პრინციპს ითვალისწინებს. ამ მათემატიკურ პრინციპს თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ ჰქვია. ამ ფორმულის მათემატიკურობა, მისი სიმეტრიულობა პირდაპირ ზედაპირზევე ძევს. აქ მსგავსი მსგავსით ნაზღაურდება, ესაა ერთგვარი პირდაპირი კომპენსაციის თეორიული პრინციპი, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობაშიც თავისებურად აისხება. ამ პრინციპის მოქმედების ციკლი მცირეა, ის მცირე წრეზე მუშაობს, სამყაროს სიმეტრიულ ნახევარსფეროებად ყოფს და ენერგიის “გლობალიზაციის”, სამყაროში უსასრულო გარდასახვის, ზღვარდაუდებელი ციკლის იდეას უპირისპირდება. ამიტომ, ეს ორი, სხვადასხვა პრინციპით ორგანიზებული სამყარო თავისი თვითგამოვლენის გარკვეულ ეტაპზე გამორიცხავს ერთმანეთს, თუმცა ეს დაპირისპირება, ისევე, როგორც ფსიქიკაში არსებული ნებისმიერი ფიქსირებული ზღუდე, იდეაში დაძლევას ექვემდებარება. სამწუხაროდ, ადამიანებს მოვლენათა ფორსირებისა და შეურიგებლობის იმპულსური სული აიძულებთ მოვლენებს წინ გაუსწრონ და “სამოქალაქო” შეზღუდულ დონეზე დაარღვიონ ერთიანი საკაცობრიო სულის საყოველთაო პრინციპი. ამიტომ გაიძახის გადარჩენილი ანტონიო შაილოკის მისამართით - ეხლავე მონათლეთო და შემდეგ, თავისი იმპულსური ქმედებით დარცხვენილი ხელს იჭერს პირზე.



ალექსანდრე კალიაგინის შაილოკი უაღრესად ფხიზელი, დინჯი, გაწონასწორებული და პრაგმატული ადამიანია, ის პატრიარქალური სამყაროს განსახიერებაა, მაგრამ როდესაც საქმე ანტონიოს გამომწვევ და თავხედურ არტისტულობას შეეხება, ის კარგავს თავშეკავების უნარს და თავისი სამყაროს ძირითად პრინციპს - მსგავსი მსგავსისათვის - არღვევს: ფულში სიცოცხლეს მოითხოვს.

სპექტაკლის სცენოგრაფია (გიორგი ალექსი-მესხიშვილი) სიზმრის, ფსიქიკური ფანტომური ცხოვრების თემას შესანიშნავად ავითარებს, გარემო თავისი დამოუკიდებელი სიცოცხლით ცხოვრობს, კომპიუტერების მონიტორებზე სინამდვილის ციფრობრივი მაჩვენებლების უწყვეტი ნაკადი მიედინება, ტელევიზორის ეკრანზე სახეები ერთმანეთს ემსჭვალება, ზოგჯერ, სცენაზე მოჭარბებული სისასტიკე ეთერსაც შეარხევს და აირეკლავს ადამიანთა ვნებების ქარტეხილს. სწორედ ტელევიზორის ეკრანიდან “დაიბადება” ლანჩელოტ გობო (ვ.ვერჟებიცკი) შაილოკის მსახური, “მსუბუქად” დემონური ფიგურა, რომელიც შემდეგ რეალიზდება ისევე, როგორც ჩვენი სიზმრის რომელიმე წინაგანჭვრეტა, და სცენაზე შემოიჭრება, დამოუკიდებელ არსებობას მოწყურებული.

ყანჩელის მუსიკის მაორგანიზებელი ფორმაწარმომქმნილი ძალა კვლავაც წინანდებურად აქტუალურია, მუსიკის ოდნავ მჭახე მექანიკური ჟღერადობა ფსიქიკაში მბორგავი ენერგეტიკული დისონანსების გამომხატველიცაა და წარმოდგენის მდგრადი რიტმული სტრუქტურის ერთ-ერთი შემკრელიც.

ბოლოს, თავისუფალი ასოციაციის პრინციპით, დავამატებ, რომ ორი ანტაგონისტის - შაილოკისა და ანტონიოს ფიგურებმა ფროიდი და იუნგი მომაგონა და მათ შორის არსებული უთანხმოება, რომელიც, პრაქტიკულად, ჩემი აზრით, სამყაროს სტრუქტურული ორგანიზების გამო აღმოცენდა. სხვათა შორის, სტურუას ჰქონდა ჩაფიქრებული ამ თემაზე პიესის შექმნა. მეჩვენება, რომ ამ ჩანაფიქრის მოტივებმა გარკვეული რეალიზაცია განიცადა “ვენეციელ ვაჭარში”.

სპექტაკლზე ფიქრის პროცესი და, განსაკუთრებით მასზე წერა კიდევ ერთხელ მიდასტურებს, რომ ეს სცენური ნაწარმოები მრავალგზის მოგვცემს აქტუალური შინაარსების ამოკითხვის შესაძლებლობას. სამწუხაროდ, სადღეისოდ, ჩემთვის განკუთვნილი დროის სიმცირე საშუალებას არ მაძლევს მრავალ საინტერესო და უკვე გამოკვეთილ მომენტებზე მსჯელობისა. ვიმედოვნებ, რომ ამ ნაწარმოებს კიდევ დავუბრუნდები, მით უფრო, რომ ის უკვე ჩემი ფსიქიკის განუყოფელ შინაარსადაც იქცა.

თუმცა, მხოლოდ ერთ რამეს დავამატებ, ფინალურ სცენას, როდესაც სიზმრის დასასრულს ანტონიო და შაილოკი მშვიდი კეთილგანწყობით უცქერენ ერთმანეთს, ხოლო ყველა ეკრანზე ერთდროულად, თანახმიერად ერთი სანთლის გამოსახულება აინთება. მშვიდობის წამი ისადგურებს. ვენეციაში კარნავალმა ჩაათავა თავისი ხმაურიანი და სასტიკი თამაშები. იქნებ ერთობლივმა ლოცვამ გვიშველოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კიკნაძე

# კულტურის მომავალი და "მკვდარი ენები"

## პასუხად ბ.ზ. დგებუაძეს



„კრიტიკის კრიტიკა ანუ, როგორც იტყვიან, კრიტიკის დაწერა არ განმიზრახავს" (ვაჟა-ფშაველა). ხომ შეიძლება ავტორი ეთანხმებოდეს კრიტიკოსს რომელიმე პუნქტში მაინც. ამას გარდა, ყოველი კრიტიკა აზრის განვრცობა-განვითარების საბაბი უნდა იყოს. ამ მიზნით დაიწერა ეს წერილიც პასუხად ბ.ზ. დგებუაძის წერილისა "თამაში ყალბი მარგალიტებით" ("არილი", N7, 2000). უნდა ვაღიარო, რომ ჩემი კრიტიკოსი ბატონი ზ. დგებუაძე არსებითად მართალია, როცა "ქებაის" ლინგვისტურ ესქატოლოგიაზე უარყოფითად და ერთგვარი გალიზიანებითაც კი ლაპარაკობს. თუმცა მისი კატეგორიულობა და ამ ტექსტის ჩათვლა "ყალბ მარგალიტად" არ უნდა იყოს მთლად მართებული. ტექსტი არსებობს, ის შეტანილია მეათე საუკუნის ხელნაწერში და, გინდა თუ არა, ქართული აზროვნების კუთვნილებაა. ის ზრუნვას და გაგებას მოითხოვს და არა ხელაღებით უკუგდებას. საჭიროა ტექსტის დადგენა და მერე სწორი ჰერმენევტიკა, რათა თანამედროვე მკითხველში გაუგებრობა არ გამოიწვიოს. უნდა აღინიშნოს, რომ ბ.ზ. დგებუაძე პირველია, ვინც გაბედა და "ქებაის" "აპოკალიფსური აბსურდი" უწოდა. მაგრამ ყოველი თვალსაზრისი - რაც უნდა უნიადაგო და აბსურდული იყოს, ან ასეთად მოგვეჩვენოს - გასათვალისწინებელია, თუნდაც მოაზროვნე თუ მოფიქრალი საზოგადოების მენტალიტეტის შესასწავლად.

ძნელია, არ დავეთანხმოთ კრიტიკოსს იმაში, რომ ქრისტიანული თვალსაზრისით უცნაურია მეორედ მოსული მაცხოვრისთვის რომელიმე ემპირიული ენის მიწერა. დავუმატებ ჩემს მოსაზრებებს. ქრისტემ ენა არამეულად აიდგა, მაგრამ მისი მოძღვრება ბერძნულად გაცხადდა მთელი იმდროინდელი კულტურული სამყაროს ფარგლებში, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ნებამ შექმნა. ბერძნული გახდა კულტურის ენა და წარმატებით გაუწია მეტოქეობა სხვა ენებს, მათ შორის არამეულს, რომელიც იესო ქრისტეს მშობლიური ენა იყო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიტყვები "მე ვარ ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული" ან "ჰე, მოვალ ადრე" - და კიდევ სხვანი, რომლებიც იოანე ღვთისმეტყველმა ბერძნულად ჩაწერა "გამოცხადების" ტექსტში, მაცხოვრის პირით ბერძნულადვე "ნაკარნახევად" წარმოვიდგინოთ და მოველოდეთ, რომ მეორედ მოსვლისას უკანასკნელ მხილებას ამავე ენაზე მოვისმენთ. ასეთი რწმენით არც ერთი ხალხი არ შეუდგებოდა წმინდა წერილის საკუთარ ენაზე თარგმნას და მის ერთადერთ ენად ბერძნულს დატოვებდა.

პრობლემატურია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ენაზე ელაპარაკებოდა ღმერთი მოსეს ან იუდა-ისრაელის წინასწარმეტყველთ, რომლებიც ებრაულად აქვეყნებდნენ უფლის სიტყვას. მრწამსში სულიწმიდაზე ნათქვამია, რომ იგი "იტყოდა (მეტყველებდა) წინასწარმეტყველთა მიერ", მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სულიწმიდა ებრაულ ენაზე ელაპარაკებოდა მათ. ებრაული ენა ისევე, როგორც სხვა ვერბალური ენა, ადამიანთა საარტიკულაციო ორგანოებს მისადაგებული ენაა და ფიქრი იმაზე, რომ უსხეულო სული რომელიმე კაცობრივ წარმავალ ენაზე მეტყველებდა ან მომავალში იმეტყველებს, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობაა. ცხადია, ებრაელი წინასწარმეტყველი სულიწმიდის შთაგონებას ებრაულად აღიქვამდა, როგორც თავის ენაზე უნდა აღექვა იგივე შთაგონება ნებისმიერი ხალხის წინასწარმეტყველს, თუ კი უფალი ამ ხალხში გამოცხადებას მოინდომებდა. გამოცხადების ენა, შეიძლება ითქვას, არის ზე-ენა, რომელიც დაცემულ წუთისოფელში ანუ სამოთხის გარეთ ემპირიულ ენებად არის განშტოებული.

მეორედ მოსვლა, როგორც ვიცით, შობისგან განსხვავებულად მოხდება. ქრისტე ღრუბლებზე მოდის, ის ახალი ადამია და მისი ენაც კაცობრიობის განახლებული ენა უნდა იყოს, რომელიც ყველა ხალხისთვის გასაგები იქნება. არსებობს მოსაზრებები ადამის ენაზე, როგორც ინტეგრალური კაცობრიობის ენაზე, რომელიც ადამიანის დაცემის შედეგად ყველა ქმნილებასთან ერთად დაეცა, "ტყავის სამოსელთან" ერთად "ტყავის ენად" გარდაიქმნა, ყოველ შემთხვევაში, ეს ის ენა აღარ იყო, რომლის მეშვეობითაც იგი ცხოველებს და ყოველ ქმნილებას სახელებს არქმევდა. მერე ის განშტოვდა ერთმანეთისგან გაუცხოებულ ენებად და ჟამთა სვლაში ძალზე დაშორდა თავის სათავეს. ენათა საბოლოო გაუცხოების შედეგს ბაბილონის გოდლის ეპიზოდი გვამცნობს. ენათა წარმოშობა აქ სასჯელის შედეგია, თუმცა ენობრივ (ანუ კულტურულ) პლურალიზმს, გარდა მტრობამდე გაუცხოებისა ხალხებს შორის, თავისი დადებითი მხარეც აქვს. ბაბილონის ამ ორომტრიალში ადამის ენა უკვალოდ არ დაკარგულა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველა ენა ინახავს ადამის პირველი ენის შორეულ ხატს, მათ შორის ქართულიც.

"ქებაის" პირველი წინადადების "დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამითა ენითა" ძირითადი აზრი უნდა იყოს ის, რომ ქართულ ენაში შენახულია ადამის ენა და რომ ის გაძლებს (შეინახება) წუთისოფლის დასასრულამდე და რომ ქართული ენის მატარებელნი საკუთარ ენაზე მოისმენენ მხილებას, რომელიც ახალი ადამის და არა რომელიმე ქრისტიანი, თუნდაც გაბრწყინებული, ერის ენაზე იქნება გაცხადებული. ქართველი მოისმენს ქართულად, რუსი - რუსულად, ფრანგი - ფრანგულად და ა.შ. ყველა თავის ენაზე მოისმენს მხილებას, როგორც თავ-თავის ენაზე მოისმინეს მოციქულთა ქადაგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იერუსალიმში სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსულმა ებრაელებმა ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს. მეც ვფიქრობ ბ.ზ. დგებუაძის კვლევაზე, რომ "ქებაის" ავტორის ლინგვისტური მესიანიზმი (მესიანიზმის ახალი სახეობა!) ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას ქრისტიანული ანთროპოლოგიის თუ ესქატოლოგიის პოზიციიდან. სხვა პოზიცია "ქებაის" მიმართ ვერც იარსებებს, რადგან თავად ტექსტი ქრისტიანულ წრეში შეიქმნა და ქრისტიანული ნიადაგიდანვე უნდა იქნას განხილული.

მაგრამ ვერ დავეთანხმები კრიტიკოსს ჰერმან ჰესეს რომანის იმ ადგილის ინტერპრეტაციაში, სადაც რომანისტი ლაპარაკობს ძველეგვიპტური ტექსტების ვედურ ენაზე (და ან პირიქით) თარგმნაზე. შესაძლოა, რომანის ავტორი ირონიულია ამ, ჩვენი კრიტიკოსის აზრით, უცნაური შემოქმედებითი პროცესის მიმართ, მაგრამ ჩვენ, როგორც მკითხველებს, შეგვიძლია არ გავიზიაროთ მისი ირონია, არამედ სრულიად საწინააღმდეგო განცდა აღგვიძრას. ეს განცდა ტრაგიკულის განცდაა. საერთოდ, მთელი რომანი შვეიცარიელი მწერლისა ტრაგიკული ელფერის მატარებელია. აქ კულტურა, მისი აწმყო და მისი მომავალი, მისი ბედი საერთოდ ტრაგიკულად არის განცდილი.

შეიძლება შემთხვევით მომხდარიყო თუ განგებისეულად, ალბათ შემთხვევით, რომ ეს რომანი, რომელიც ერთგან სახელდებული იყო როგორც "თამაში რიოში მარგალიტებით", ახლა კი ბ.ზ. დგებუაძის შემოთავაზებულ ვარიანტს ენიჭება უპირატესობა ("თამაში ფუჭი მარგალიტებით"), შეძენილი ყოფილიყო მიწისძვრისგან დანგრეულ ტაშკენტში, სადაც რამდენიმე თვის მანძილზე მისი მყიდველი მძიმე საქმის გამო იმყოფებოდა. ტრაგიკული იყო თავად თემატური შეუსაბამობა რომანსა და იმ სინამდვილეს შორის, სადაც ხდებოდა ამ წიგნის კითხვა. ერთი მხრივ, ნანგრევები ქალაქისა და წუთისოფლის მტვერი, და ფუსფუსი; მეორე მხრივ, რაფინირებული თამაში, კულტურათა მეტალოგიკური ერთიანობის (ს. ფრანკი) განცდა და წვდომა, რომელსაც არაფერი არ აკავშირებდა ნგრეულ სინამდვილესთან და რომელსაც არა მხოლოდ თამაშის სახე ჰქონდა მიღებული, არამედ გამოიხატა იმ წარმოუდგენელ შემოქმედებით ღვწაში, რაც ერთმანეთისგან სრულიად შეუთავსებელ კულტურათა ტექსტების ურთიერთგადაღვრაში მდგომარეობდა. თარგმანს სურდა ეტვირთა ორი კულტურის სინთეზი და არა მხოლოდ შინაარსეული ინფორმაციების გადატან-გადმოტანა ერთი ენიდან მეორეზე. იმ ხანად არ მქონდა ენერგია, რომ ამ ნანგრევისა და კვლავ დასანგრევად შენებულის მტკივნეულ სინამდვილეში, არა მხოლოდ რომანისეულ კულტურის ესქატოლოგიაში, სადაც (იქაც და აქაც) მთელი არსებით ვიმყოფებოდი, სიმბოლურად გამოხატული საზრისი დამენახა. ერთადერთი, რითაც ადამიანს შეეძლო აღფრთოვანებულიყო, ეს იყო არა შედეგი, არამედ პროცესი. ჰესე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთავარი მართლაც პროცესი იყო - მის წარმოსახვით კასტალიაში თამაშის, ხოლო იმ რეალურ ქალაქში შენების სახით. არამც და არამც, როგორც ჩვენი კრიტიკოსი ფიქრობს, არ არის ერთ დონეზე განსახილველი იმ კასტალიის ჩვენთვის უცნაური მკვიდრის ამოცანა, მოეხდინა ფარაონული და ვედური სიტყვიერ-სულიერ კულტურათა ქორწილი მათი ურთიერთშეუღლება-შეღწევით და ძველი ქართულიდან ლათინურ ენაზე ქრისტიანული კულტურის ტექსტის თარგმნა. პირველ შემთხვევაში ამოცანა ტრაგიკულია, შესაძლოა, იმთავითვე განწირული მარცხად, მეორე შემთხვევა ნაცნობთა შეხვედრაა - ისინი ხომ ერთ ცივილიზაციაში იმყოფებიან. არის თუ არა ეს საჭირო, ეს სხვა საკითხია. ადამიანისთვის ძალზე მცირე რამ არის საჭირო და აუცილებელი, მაგრამ ამ წუთისოფელში ბევრი რამ არსებობს, რათა ბევრისგან მცირე მაინც გამოიწუროს. "უამრავი თიხაა მიწაში ჭურჭლის საკეთებლად, მაგრამ მცირედზე მცირეა მტვერი, საიდანაც ოქრო გამოდის. ასეთია ჩვენი წუთისოფლის საქმეც" (მე-3 ეზრა, 8:2).

ორიოდე სიტყვა ე.წ. "მკვდარ ენებზე", რომელთაც ირონიულად იხსენიებს ჩვენი კრიტიკოსი. რას ნიშნავს ენის სიკვდილი? როგორც ჩანს, საბედისწეროდ თავსმოხვეულია პლებეურ-უტილიტარული თვალსაზრისი ენის ფენომენზე, თითქოს ენა გაჩნდა როგორც კომუნიკაციის საშუალება და დღესაც მისი ეს, როგორც ამბობენ, ინსტრუმენტალური ფუნქცია არის მთავარი. თავისთავად ცხადია, რომ ენა გაგებინების საშუალებაა, მაგრამ ერთ-ერთი და არა ერთადერთი, შესაძლოა, არცთუ სრულყოფილი. ამ ფუნქციით ენა მართლაც შეიძლება მოკვდეს და მომკვდარა კიდეც. მაგრამ ვინც ფიქრობს, რომ ამ წარმავალი ინსტრუმენტალიზმით ამოიწურება ენის საზრისი, ის ჯერ კიდევ ყოფიერების ფსკერზეა და ვერ გასცდენია მომხმარებლურ წარმოდგენას სამყაროზე და საკუთრივ ენაზე, პრიმიტიულ და ამავე დროს ქედმაღლურ დამოკიდებულებას მის გრამატიკაზე, რომელიც ამ სამყაროს გრამატიკის ხატია. ენა თავის ულრმეს საზრისში ადამიანური კოსმოსის შექმნისა და გამოხატვის საშუალებაა. ეს დაიწყო ადამმა, როცა ღვთის შთაგონებით ღვთის ქმნილებებს სახელებს არქმევდა. ენა მხოლოდ გამოყენებული იქნა კომუნიკაციის საშუალებად და ეს იყო დაცემა პირველქმნილი მდგომარეობიდან. კაცობრიობის კულტურაში არის ცდები ამ ინსტრუმენტალიზმის დაძლევისა. ვედების მაგალითზე დადასტურებულია არსებობა ისეთი მეტაფიზიკური დონისა, სადაც ენა განუყოფელია იმ ცოდნისგან, რომელიც მას ჩვენამდე მოაქვს, და თვით ცოდნა სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ენა (ვ. ტოპოროვი) და ის ცოცხალია, სანამ კაცობრიობაში მისი გამგები, თუნდაც ერთი ადამიანი, არსებობს. მომხმარებლური თვალსაზრისით, ენა თითქოს მაშინ არის ცოცხალი, როცა ვიღაც რაღაცას ლაპარაკობს, ვიღაც ვიღაცას ელაპარაკება, ვიღაცას ლანძღავს ან აქებს, რაღაცას ტყუის ან ამბობს მართალს მიმსგავსებულ ტყუილს, ვიღაც თავს იცავს, ვიღაცას თავს ესხმის, ვიღაც ჭორებს ავრცელებს და ა.შ. ყველაფერ ამას ის "მკვდარი ენით" ვერ მოახერხებს.

"მკვდარი ენა" მასების ამბოხის, მასობრივი კულტურის ნიშანია, რომელიც თანდათან ეუფლება იმ სფეროებს, რაზედაც მას ძველ ტრადიციულ საზოგადოებებში ხელი არ მიუწვდებოდა. და ამაოა ძახილი, ეს უკვე არ ეხება ბ.ზ.დგებუაძეს: ne supra crepidam sutor.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი მერეჟკოვსკი

# რუსული ინტელიგენციის განკითხვის დღე



1905 წლის 20 თებერვალს ისაკის ტაძარში ვოლინის ეპისკოპოსმა ანტონმა ქადაგება წარმოთქვა საშინელი სამსჯავროს და თანამედროვე მოვლენების შესახებ.

ქადაგებაში პატივცემული არქიმოძღვარი თავის შეხედულებას გამოთქვამს და ალბათ, არა მხოლოდ პირადს, არამედ რუსული ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილის შეხედულებას თანამედროვე განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. ამ საბაბით გადასცემს საზოგადოებრივ სამსჯავროს "საზოგადოების მოწინავე ნაწილის წარმომადგენლებს", ანუ, არსებითად, მთელ განათლებულ რუსულ საზოგადოებას, რუს ინტელიგენციას, ასე ვთქვათ, მარადიულობის, საშინელი გამკითხველის წინაშე, რომელიც მომავალში მსჯავრს გამოუტანს ცოცხლებსაც და მკვდრებსაც.

სასამართლოს სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს; ცხადია, იგულისხმება "მეორე, მარადიული სიკვდილი" აღდგომის გარეშე. ის, რასაც ეს განაჩენი ეფუძნება, შემდეგ საბრალდებო პუნქტებად არის ჩამოყალიბებული:

განათლებულმა რუსულმა საზოგადოებამ ქრისტე უარყო. იმიტომ, რომ "მორჩილი სულის თვითგმობა", რომელიც შეადგენს ქრისტიანობის არსს, ეპისკოპოს ანტონის აზრით, "კარგახანია განდევნა ჩვენი საზოგადოების წარმართულმა ყოფამ, ერეტიკული დასავლეთის კულტურამ".

განათლებულ რუსულ საზოგადოებას "სძულს რუსეთი" საერთოდ, კერძოდ კი - მდაბიო რუსი ხალხი.

"ჩვენს პრესაში გამოთქმული გარდაქმნის მოთხოვნის" მიღმა, სიტყვის თავისუფლების, სინდისის თავისუფლების მიღმა, მოქალაქეებზე ადმინისტრაციული თვითნებობის გაუქმების მოთხოვნის მიღმა, მოქმედი რევოლუციური პარტიის დანაშაულებრივი ზრახვები იმალება: ამ პარტიას სურს გამოიყენოს სიტყვის თავისუფლება და სხვა სამოქალაქო უფლებები ძალადობრივი პოლიტიკური გადატრიალების მიზნით. ეპისკოპოს ანტონს რუსულ პრესაში ადამიანური აზრის და სინდისის ხმა კი არ ესმის, არამედ მხოლოდ მხეცური ინსტინქტების ხმა, რომელიც ამბოხისკენ და სისხლიანი ძალადობისკენ მოუწოდებს. "საზოგადოების ყველა ფენა, - ამბობს ის, "მშიერი მგელივითაა, ათასნაირ უფლებებს და შეღავათებს მოითხოვს თავისთვის".

ამგვარია ბრალდება. აი, განაჩენიც:

"ისინი (ანუ განათლებული რუსები) პატივმოყვარე, მძულვარე და ღვარძლიანი ადამიანები არიან; მათთვის უცხოა ყოველგვარი სიყვარული; მათი ქცევა, მათი სიტყვები სიცრუით არის გაჟღენთილი; მაგრამ ადამიანების მოტყუება მხოლოდ მცირე ხნით შეიძლება, ხოლო მარადიულობა მათ უკეთურებას გამოააშკარავებს - საშინელ სამსჯავროზე იქნებიან განკითხულნი".

ქადაგება ხალხისადმი მოწოდებით მთავრდება. არა მთლიანად რუსი ხალხისადმი, იმიტომ, რომ მისი უდიდესი ნაწილი თანამედროვე განმათავისუფლებელი მოძრაობით არის მოცული, რომელიც პეტრე დიდის სიტყვებით "განგრენიანი მახრჩობელასავით" მოიკვეთა, არამედ მდაბიო რუსი ხალხისადმი:

"გახსოვდეს ისინი: ღვთის მგმობელნი, მკრეხელნი, მეამბოხენი, რომელთაც შენი მოწყვეტა სურთ მარადიული ცხოვრებისგან, ქრისტეს მეუფებისგან". უბრალო ხალხს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მისი მტერი - განათლებული რუსი ხალხია. მათ სძულთ რუსეთი, მისი დაღუპვა აქვთ განზრახული და თუკი თავის მიზანს მიაღწევენ, მაშინ რუსი ხალხი "ყველაზე უბედური ერი იქნება, დამონებული არა სასტიკი მემამულეების მიერ, არამედ ათასწლეულებით დამკვიდრებული ტრადიციების უარმყოფელი მტრების მიერ; ისინი შეუპოვარნი და დაუნდობელნი არიან და ბოლოს, გაანადგურებენ წმიდა ტაძრებს, წმინდათა ნაწილებს გარეთ გამოყრიან და ანატომიურ თეატრში გამოფენენ". რუსეთი "მრავალ ნაწილად დაიშლება - დაწყებული განაპირა მხარეებით და თითქმის მისი შუაგულით დამთავრებული". ყაზანელი, ყირიმელი და კავკასიელი თათრები მას ნაწილ-ნაწილ დაგლეჯენ; მათ დასახმარებლად "ჩვენი დასავლელი მეგობრები მოვლენ და ძერასავით დაეძგერებიან" რუსეთის გახრწნილ გვამს, "ინდოეთივით და სხვა დასავლეთ ევროპული კოლონიების მსგავსად დაიმონებენ".

უნდა გამოვტყდე, რომ შეგულიანებული ვარ, მაგრამ არა იმდენად ანტონ ეპისკოპოსის ქადაგებით, არამედ საკუთარი სულიერი უძლურებით. და მაინც, უაღრესად ვარ შეგულიანებული და შველას, რჩევა-დარიგებას და ნუგეშს ვითხოვ. ეს საერთო-სახალხო საეკლესიო ანათემა, რომელსაც გადასცეს მთელი რუსი ინტელიგენცია და რომელიც წინ უძღვის განკითხვის დღეს, მოუფიქრებლად ან პოლიტიკური ვნებათაღელვის ჟამს არის წარმოთქმული. ხომ არ შეიძლებოდა მქადაგებელს არ სცოდნოდა, რომ თავისი სიტყვით უბირ, ბნელ, მართლაცდა, მნიშვნელოვანწილად ბნელ ხალხს მიმართავდა ისეთ წუთებში, როცა სიტყვიდან საქმემდე და საქმიდან სისხლისღვრამდე მანძილი ყოველწამიერად დაუოკებლად მცირდებოდა. და ახლა, შესაძლოა, მხოლოდ ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი. ცხადია, მას ათასჯერ უნდა აეწონა თავისი სიტყვები, რამეთუ მათი წარმოთქმისას პასუხისმგებლობას არა მხოლოდ საკუთარ თავზე იღებდა, არამედ ეკლესიასაც აკისრებდა, რის წარმომადგენლადაც გვევლინება ანტონ ეპისკოპოსი, ერთ-ერთი უმაღლესი მანათობელი ლამპარი. მას არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ მის ხმას მთლიანად ეკლესიიდან გამოსულ ხმად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ეკლესიის წიაღიდან გამოსულ ხმად აღიქვამდნენ.

და აი, რას გვაუწყებს ეს ხმა: ყველა განათლებული რუსი, რუსი ხალხის უბოროტესი "შინაური მტერია". ხალხი ჯვარით ხელში გარეულ მტერთან ბრძოლაში საკუთარ და სხვის სისხლს ღვრის. საკითხავია, საკუთრივ რა შეაკავებს ამ ხალხს, რა პრაქტიკულ დასკვნას გამოიტანს ანტონ ეპის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპოსის თეორიული წინამძღვარიდან? უკეთუ გარეულ მტერთან ჯვრის ბაირაღით ხელში და ეკლესიის ლოცვა-კურთხევით იღვრება საკუთარი და სხვისი სისხლი, იგივე ლოცვა-კურთხევით, იგივე ჯვრით ხელში რატომ არ უნდა დაიღვაროს საკუთარი და სხვისი სისხლი შინაურ მტერთან ბრძოლაში? გაცილებით უფრო საშიშ მტერთან, რამეთუ ისინი, უცხოები, "ურჯულოები" არიან, ესენი კი, შინაური მტრები, "ანტიქრისტეები", "ღვთის მგმობნი", "მკრეხელნი" არიან. მოვა დრო და ტაძრებს დაანგრევენ, წმინდანთა ნაწილებს კი ანატომიურ თეატრში გამოფენენ.

უკეთუ იქ, შორეულ აღმოსავლეთში დრაკონია, "ზღვიდან გამოსული პირველი მხეცი", აქ, რუსეთში "მეორე მხეცი ხომ არ არის ჩვენივე საკუთარი რუსული მიწიდან ამოსული? და უკეთუ ჯვარი იქცევა მახვილად "პირველ მხეცთან" ომში? და განა თვით ეკლესია არ უდებს ხელში მახვილ-ჯვარს ქრისტეს ყველა მორწმუნეს?

ჯერჯერობით, ყოველივე ეს ლეგენდაა ან იქნებ მხოლოდ ლეგენდის ჩანასახი, მაგრამ ანტონ ეპისკოპოსმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ამჟამად უბრალო რუსი ხალხი იმგვარ ისტორიულ და რელიგიურ ატმოსფეროში ცხოვრობს, რომელშიც მსგავსი ლეგენდები (და გაცილებით უფრო გულუბრყვილო) განსაცვიფრებელი სისწრაფით წარმოიშობიან, როგორც საავდროდ შეყრილ ღრუბლებში საზარელი აჩრდილი. ხოლო ახლა რომ რუსეთში ვითარება მეტისმეტად არის დაძაბული, ვგონებ, ამაში ეჭვი არავის ეპარება. და ბოლოს, თუკი ანტონ ეპისკოპოსის აზრით (შესაძლოა, ერთობ დაუსაბუთებელით), აპოკალიფსური წინასწარმეტყველება ორ მხეცზე, ანტიქრისტესა და მეორედ მოსვლაზე, ყველა განათლებული რუსისთვის მხოლოდ და მხოლოდ პირველი საუკუნეების ქრისტიანთა ლეგენდაა, თვით მქადაგებლისათვის და აგრეთვე, უბირი მსმენელისათვის (მრევლის უმრავლეს ნაწილს კი სწორედ ისინი შეადგენენ), ეს სულაც არ არის ლეგენდა, არამედ უეჭველი წინასწარმეტყველება, რომელიც გვიახლოვდება, "ახლო არს ჟამი". თვით მოქადაგემ ტყუილად კი არ ჩათვალა მართებულად თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით ქრისტეს მოხმობა, ვინც მომავალში მსჯავრს გამოუტანს ცოცხლებსაც და მკვდრებსაც.

ამგვარად, არა მგონია, ვაჭარბებდე, რომ მიმნდობ, ყველაზე უფრო მგრძნობიარე, გულწრფელ და მორწმუნე მსმენელის წინაშე ისაკის ტაძარში წარმოთქმული ქადაგება საშინელი სამსჯავროს შესახებ, შემაძრწუნებელ სურათს დახატავს. ნიჭიერი ორატორის მიერ წარმოთქმული სიტყვა სწორედ ასე უნდა ყოფილიყო აღქმული: განათლებული ბატონები, რომლებიც ხალხს აჯანყებენ, ულმერთონი, განდგომილნი, ეშმაკის კერძები, ანტიქრისტეს მსახურნი არიან, რომელთაც ჯვრით და მახვილით უნდა ვებრძოლოთ.

"გაანადგურე სტუდენტები!" - ეს შეძახილი (მართლაცდა ჭეშმარიტად ლეგენდარული) უკვე გაისმა, მართალია, ჯერჯერობით, ყველაზე ბნელ, უწიგნურ, მდაბიო ხალხის ხულიგნურ ნაწილში (თუმცა, არის კი ვინმე, ვინც ზუსტად იცის რუსული ხულიგნობის მთელი სიღრმე?). და ამ შეძახილში სიტყვა "სტუდენტი" უკვე სიმბოლურ დატვირთვას იძენს: "გაანადგურე სტუდენტები!" ნიშნავს: "გაანადგურე ინტელიგენცია, გაანადგურე განათლებული ბატონები!" ეს ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკური შუღლია, მაგრამ რად შეიძლება გადაიქცეს ნაციონალური ხულიგნობის ლოზუნგი, როცა პოლიტიკურ მტრობას რელიგიური მტრობა ერთვის - ადამიანურ ვნებათაგან ერთ-ერთი ყველაზე საშინელი და უცხრომელი? იმ უგუნურ ვნებათაგანი, რომელიც უდიდეს და თითქმის ჩაუქრობელ მსოფლიო ხანძარს იწვევს. თანაც, როცა შუღლი არა მხოლოდ ქვედა ფენებში ღვივდება, არამედ მთავრობაშიც. რად შეიძლება გადაიქცეს ეს შეძახილი, როცა ხულიგნური: "გაანადგურე სტუდენტები!" "საერთო-სახალხო შეძახილით შეიცვლება: "გაანადგურე ანტიქრისტეები!" საშინელებაა.

კიდევ უფრო საშინელი კი ის არის, რომ ანტონ ეპისკოპოსის მიერ რუსული ინტელიგენციის წინააღმდეგ გამოთქმული საბრალდებო პუნქტების საწინააღმდეგოს და იგივე ინტელიგენციის საბრალდებო განაჩენის საწინააღმდეგოდ. ამ შეძახილს ვერაფრით შეედავები. მართლაც, თუკი ჭეშმარიტებად ჩავთვლით პირველი და ყველაზე მთავარი პუნქტის საფუძველს, კერძოდ იმას, რომ "წარმართული", "ერეტიკული" დასავლეთის კულტურაში თანამონაწილეობა უკვე ქრისტიანობისგან, ქრისტესგან განდგომას ნიშნავს, ქრისტესგან, რომლებიც ანტონ ეპისკოპოსის ფორმულით "ბეთლემში იშვა და რუსეთში ცხოვრობდა", მაშინ შეუძლებელია არ გამოიტანო დასკვნა, რომ ჩვენ ყველა, განათლებული რუსები დიახაც "ანტიქრისტეს მსახურნი" ვართ. და ამ დროს უკვე შეუძლებელი იქნება მტყუან-მართალის გარჩევა. ჭეშმარიტად, არცერთი ჩვენთაგანი, თუნდაც ეკლესიის ანათემაზე გადაცემის შიშით (თუმცაღა, დარწმუნებულნი ვართ, რომ მსგავსი ანათემა ეკლესიის მხრივ აბსოლუტურად, და არა მხოლოდ რეალურად, რელიგიურადაც წარმოუდგენელია), არცერთი ჩვენთაგანი არ აღიარებს მთელ ევროპას, "წმინდა საოცრებათა ქვეყანას" დოსტოევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ანტიქრისტეს სამეფოდ". მსგავსი აღიარება ღვთის გარეგანობაა, შემზარავი ანაქრონიზმი, XVII საუკუნის გადმონაშთი, საშინელი უკუსვლა რუსეთის ისტორიის უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში. აქ, ჩვენ ყველა, დიდნიც და მცირენიც ქვასავით უდრეკნი ვართ, ახალი რუსეთის ქვაკუთხედის - პეტრეს მიმდევარნი. რამეთუ არასოდეს არ წაიშლება მის შესახებ ნათქვამი სიტყვები:

"რასაც არ უნდა შეხედო რუსეთში, ყველაფერი მისი წამოწყებულია და რაც არ უნდა მოხდეს მომავალში, ყველა ამ წყაროს დაეწაფება. პეტრემ განაახლა, უფრო სწორად, თავიდან შვა რუსეთი".

პეტრე პირველი განათლებული რუსია, პირველი რუსი ინტელიგენტი და ჩვენთვის გამოტანილი განაჩენი, მისთვის გამოტანილი განაჩენია. უკეთუ, ჩვენ, განათლებული რუსები "ანტიქრისტეები" ვართ, მაშინ პეტრე დიდიც "ანტიქრისტეა". ასე ხომ "ძველი ღვთისმოსავნი" ფიქრობენ, რომელთათვის "ერეტიკული დასავლეთის" კულტურაში ყოველგვარი თანამონაწილეობა ქრისტესგან განდგომას ნიშნავს. ქრისტესი, რომელიც ვითომცდა მთელ სამყაროს განერიდა და მხოლოდ რუსეთში, "მესამე რომში", "ახალ ისრაელში" ცხოვრობს. და თუკი ჩვენ, განათლებული რუსები, ხორცი - ხორცთაგანი, სისხლი - სისხლთაგანი, პეტრეს შვილები, მის ანდერძს ვასრულებთ, მაშასადამე, "გვძულს რუსეთი" და აქედან გამომდინარე, პეტრესაც სძულდა რუსეთი. უფრო მეტიც: პეტრესთვის გამოტანილი მსჯავრი და ჩვენთვის გამოტანილი მსჯავრი ამავე დროს რუსეთის ისტორიის პეტერბურგის პერიოდისთვის დადებული მსჯავრია. პეტერბურგში გრძელდებოდა პეტრე დიდის დაწყებული საქმე, მართალია, დიდი ცვლილებებით და მარცხით, მაგრამ ხელისუფლებას არ ჰყოფნიდა სიმამაცე, რათა გაერთიანებულიყო ჩვენთან, რუსულ ინტელიგენციასთან, რუსეთში პეტრეს ანდერძის ერთადერთ მატარებელთან, პიროვნების თავისუფლებისადმი ჩვენს სწრაფვაში, რომელიც წარმოადგენს დასავლეთ ევროპული კულტურის უკანასკნელ და უძვირფასეს ძღვენს.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ანტონ ეპისკოპოსს შეეძლო თუნდაც განეჭვრიტა ის დასკვნები, რომლებიც მისი განაზრახიდან გამოვიტანე; ყოველ შემთხვევაში, მას უკვე იმიტომ არ შეეძლო ამის გაკეთება, რომ მისი ქადაგების მთავარი მიზანი არსებული წყობის დაცვაა. არადა, რუსეთის ძველ დროში დაბრუნებაზე ფიქრი გაცილებით დამანგრეველია არსებული წყობისთვის, ვიდრე ჩვენი რევოლუციონერების ყველაზე უკიდურესი აზრები: მოჩვენებითი საშიშროებისგან უკან დახევისას, ნამდვილ ორმოში შეიძლება აღმოჩნდე, თანაც ისეთ ღრმაში, რომ შესაძლოა, ველარასდროს ამოხვიდე იქიდან. რამეთუ, ღამით მთაში გზადაბნეულმა არ იცის, სად ელოდება ყველაზე საშიში ფლატე.

თარგმნა ქეთი ნიჟარაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის პარამონოვი

# ინტელიგენცია



1994 წლის ზაფხულში "როსიისკაია გაზეტამ" გამოაქვეყნა ვრცელი სტატია სათაურით: "რუსეთს სწყურია იდეალი". პუბლიკაციის ავტორი ბორის მირონოვი მაშინ მოქმედი ხელისუფალი - რუსეთის ფედერაციის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. იდეალებზე მოსაუბრე ჩინოვნიკი ძალიან ჰგავს ჩაცკის როლში გამოცხადებულ ფამუსოვს. მაგრამ მირონოვი თავის პუბლიკაციაში ისე მარჯვედ მანიპულირებს თვით სიტყვით "იდეოლოგია" (იდეალოგია), რომ მკითხველს ისღა რჩება, ირწმუნოს, დღევანდელმა ლაგამახსნილმა პრესამ რუსეთი იდეალების გარეშე დატოვაო.

როცა გუშინდელი ნომენკლატურული ბოლშევიკი მორალის, სულიერი კრიზისის და ღირებულებათა გადაფასების შესახებ ლაპარაკობს და იქვე ეკლესიასაც გადასწვდება, მიღებულ ნაზავს საკმაოდ საეჭვო სუნი ასდის. თუმცა ეს არც არის გასაკვირი, ამ რიგის ადამიანები რომელიმე გარკვეულ კატეგორიას არ მიეკუთვნებიან. საინტერესო და უცნაური სხვა რამ გახლავთ - ამავე საკითხებზე ანალოგიურად მსჯელობენ ის ადამიანები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ბოლშევიზმის ჭეშმარიტი ოპოზიციონერები იყვნენ. დასანანი ის არის, რომ რეჟიმის წინააღმდეგ რეალურად მებრძოლ იმ ადამიანებსაც ახასიათებთ მსგავსი იდეური კომპლექსი: ამჟამად რუსეთში დამკვიდრებული კრიზისის მიზეზად მათაც იდეურ-ზნეობრივი ორიენტირების მოშლა მიაჩნიათ, პრაგმატული მიდგომებისა და საქმოსნობისგან განდგომას მოითხოვენ; ხალხს ნაციონალური და სხვა ათასგვარი ერთობისკენ, თავდადებისა თუ უანგარობისკენ მოუწოდებენ. აქ ჩამოვთვლი მხოლოდ იმათ, ვისი გამონათქვამებიც გაზეთების იმ დასტაში ამოვიკითხე, სადაც მირონოვის სტატია იყო დაბეჭდილი... სოლჟენიცინს, ზინოვიევს, მაქსიმოვს, აკადემიკოს ლიხაჩოვს... თავის მრავალრიცხოვან ინტერვიუთაგან ერთ-ერთში ალექსანდრე ზინოვიევი ამბობს: "განა ახლა შეიძლება იმაზე ფიქრი, ვინ არის ზემოთ და ვინ ქვემოთ, როცა ხალხის და ქვეყნის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას?! როცა თვითდამკვიდრება კი არა, თავგანწირვის ხარისხია ყველაფრის გადამწყვეტი! როცა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შესწევს რუს ხალხს შეგნებული, პრინციპული, თავდადებული, ორგანიზებული პოლიტიკური ძალის შექმნის უნარი".

ამ და მსგავსი გამონათქვამების საერთო მნიშვნელი არის მორალიზმი და ზეპიროვნული მიზნებისკენ მოწოდება, რაც საბოლოო ჯამში ერთი და იგივეა. მათ მიაჩნიათ, რომ ქვეყანა იღუპება და მისი ხსნა მთელი ნაციის კოლექტიური და საყოველთაო ძალისხმევით არის მხოლოდ შესაძლებელი. რომელიღაც ინდივიდუალური მიზანსწრაფვა წინასწარვე ინათლება მანკიერებად, უფრო მეტიც, სწორედ ეს ინდივიდუალური, ინდივიდუალისტური გამოხდომები არის ყველა დღევანდელი უბედურების მიზეზად მიჩნეული.

ამგვარი საჩივრები კარგა ხანია გაისმის, მაგრამ ამჟამად სხვა რამეს მინდა მივაპყრო ყურადღება: გუშინდელი დისიდენტებისა და დღევანდელი ნომენკლატურული ჩინოვნიკების შეხედულებები რატომ ჰგავს ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით? რატომ იწვევს მათ შეშფოთებას ერთი და იგივე საკითხები? პასუხი თითქოს ზედაპირზევე დევს. პირველთათვის ეს გულწრფელი ტკივილია, ხოლო მეორეთა მხრიდან ყალბი მანევრი; პირველთა მიზანი რუსეთის გადარჩენაა, მეორეთათვის საუფროსო სავარძლების შენარჩუნება, ხელისუფლებაში დარჩენის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ მათი მიზნები განსხვავებულია, ჩემი რჩევა იქნებოდა, თავი შეიკავონ შეხედულებათა თანხვედრისაგან და კიდევ ერთხელ გააანალიზონ ინტელიგენტური სულიერების, უანგარობისა და მორალის საფუძვლები.

ერთ-ერთ წერილში ა.ჩეხოვი წერს, რომ ინტელიგენციას მისივე რიგებიდან გამოსული ადამიანები ჩაგრავენ და ავიწროებენ. ამიტომაც სულ ამაო იქნება, მტერს რომ სხვაგან დაუწყოთ ძებნა. ამ სიტყვების წმინდად ფორმალურ აზრს თუ გავყვებით, მაღალი რანგის ხელისუფალი-ჩინოვნიკიც უმაღლესი განათლების მქონე ადამიანია, ე.ი. ინტელიგენტი. ამ აზრს უპირისპირდება აკადემიკოსი ლიხაჩოვი, რომლისთვისაც ცენზი არ არის ინტელიგენტობის განმსაზღვრელი კატეგორია. მისთვის ინტელიგენტობა განისაზღვრება მორალური მზრუნველობითა და ტკივილიანი სინდისით - განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობით. "როსიისკაია გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში დ.ს.ლიხაჩოვი კიდევ ერთხელ აკეთებს განმარტებას: "ინტელიგენტი არის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური წყობის, ქცევების, ჩვევების, ურთიერთობებისა და აზროვნების მქონე ადამიანი. ინტელიგენტობა არის ეთიკური ნორმების მთელი სისტემა, იმ მაღალი ზნეობრივი თვისებების ერთობლიობა, რომელთა შესახებაც ამდენს ლაპარაკობენ და წერენ, მაგრამ სინამდვილეში, ადამიანის აღზრდისას ამ ჩვევების განვითარება-სრულყოფაზე არც საბავშვო ბაღში, არც სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში არავინ ზრუნავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უმაღლეს სასწავლებელში დაგვიანებულიც კია ამაზე გარჯა".

თუ იმ ლოგიკას გავყვებით, რომ უმაღლეს სასწავლებელში უკვე დაგვიანებულია ინტელიგენტის ჩამოყალიბება, მაშინ რიგითი უმაღლესდამთავრებული ბიუროკრატი ვერ ჩაითვლება ინტელიგენტად. ეს გავარკვიეთ, მაგრამ ა.ჩეხოვის სიტყვებს ასე იოლად ვერ ავუვლით გვერდს. მას უთუოდ რაღაც კონკრეტული რამ ჰქონდა მხედველობაში, როცა ინტელიგენციისა

და მისი მჩაგვრელების შინაგან მსგავსებაზე ლაპარაკობდა. აქ მინდა გავიხსენო კრებული "ვეხი", სადაც ს.ლ.ფრანკმა დაწერა თავისი ცნობილი სიტყვები: რუს ინტელიგენტს არ უყვარს სიმდიდრე. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ყველაფერი ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს: ინტელიგენტისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება უპირისპირდება სწორედ ანგარებას. სხვა საქმეა, რამდენად ვირწმუნებთ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მეთაურის უანგარობას. მაინც რა აერთიანებთ დღევანდელ ნომინალურ დემოკრატიულ ბიუროკრატებსა და უმწიკვლო ინტელიგენტებს? როგორც ჩანს, არც ერთს და არც მეორეს არ უყვარს თავისუფლება. თუ ზემოთ მოხმობილი ციტატის მოდიფიცირებას მოვახდენთ, ასეთ აფორიზმს მივიღებთ: რუს ინტელიგენტს არ უყვარს არც სიმდიდრე და არც თავისუფლება. ნიშანდობლივია ჩვენს მიერ ნახსენები, "როსიისკაია გაზეტაში" გამოქვეყნებული, ლიხაჩოვის სტატიის სათაური - "ზნეობრიობის გარეშე არ არსებობს დემოკრატია". როცა სახელისუფლო ცენზორი სულიერ ღირებულებებზე იწყებს საუბარს, მახსენდება როზანოვისეული ფრაზა: მე არც ისეთი არამზადა ვარ, რომ მორალის შესახებ ვიფიქრო, მაგრამ როდესაც ლიხაჩოვისა და სოლჟენიცინისგან მომდინარე მორალურ მხილებებს კითხულობ, უნებლიედ გაგონდება ბერნარდ შოუს პიესის პერსონაჟის - კაპიტან შოტოვერის სიტყვები: "ბებრები საშიში ხალხია. მათ არ ედარდებათ სამყაროს მომავალი". ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ადამიანმა საკუთარი შეხედულებებით უნდა იცხოვროს და არა სხვისი ავტორიტეტით.

საკუთარი შეხედულებები კი დაბეჯითებით გვთავაზობს ქცევის სრულიად საპირისპირო, არაინტელიგენტურ მიმართულებას. თავისუფლება თვითშემოქმედებაზე, ინდივიდუალურ ინიციატივებზე უნდა იყოს ორიენტირებული. შექმნილ ვითარებაში კოლექტიურ ხსნაზე ლაპარაკი ზედმეტია. კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც ხომ იმიტომ წარიმართა, რომ ადამიანებს საკუთარი ცხოვრების საკუთარივე ძალებით მოწყობის შესაძლებლობა მისცემოდათ. სოლჟენიცინმა კი ჩამოსვლისთანავე განაცხადა, რომ გაიდარმა, კომპანიასთან ერთად, გააკოტრა ხალხი, ნაცვლად იმისა, გაჭირვებისგან ეხსნა იგი. გამოდის, რომ მთავრობის ფუნქცია ხალხის ხსნაა. მაგრამ სწორედ ეს იყო და არის კომუნიზმი - პატერნალისტური რეჟიმი, უკიდურესობამდე მისული უგუნურება.

დავასახელებ უხეშ, მაგრამ, ჩემი აზრით, ნათელ მაგალითს: დღეს თითქმის ყველამ აღიარა აშკარა ჭეშმარიტება - რუსეთი ვერასოდეს გაიმართება წელში, თუ იგი ერთდროულად იფიქრებს უზბეკეთსა და დონბასზე. ამ საგანმანათლებლო გზაზე შემდგომი ნაბიჯი იქნება: მე ვერ გავიმართები წელში, თუ იმავდროულად რუსეთზეც ვიფიქრებ. ეს მეთოდოლოგია ფილოსოფიური ტერმინებით რომ გამოვსახოთ, ამისათვის რეალიზმის შეცვლა მოგვიწევს ნომინალიზმით (რეალიზმს ძველი, სქოლასტიკური მნიშვნელობით არაფერი აქვს საერთო რეალობის თანამედროვე გაგებასთან; ნომინალიზმი არის შეხედულება ყოფის შესახებ, რომლის ცენტრი და ერთადერთი რეალობა ერთეული სუბიექტია, რომლისთვისაც უცნობია ყველანაირი ზეპიროვნული რეალიები).

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ყოფა-ცხოვრების ამგვარი წესი, ქცევის მანერა რუსეთის ბევრმა მოქალაქემ უკვე გაითავისა. პრესაში გამოჩნდა შეფასებები, რომელთა მიხედვითაც, რუსეთში მთავარ პოლიტიკურ წინსვლად პოლიტიკიდან ობივატელის წასვლაა მიჩნეული. ობივატელმა დაკარგა რა პოლიტიკისადმი ინტერესი, იმავდროულად მან უარი თქვა იმ იმედზეც, რომ მას ვინმე დაეხმარება საკუთარი ცხოვრების მოწყობაში. სწორედ ამაშია ხსნა: მიტინგებისა და საარჩევნო უბნების ნაცვლად ხალხმა ბაღ-ბოსტნებში გადაინაცვლოს. უზარმაზარი მასა, რუსეთის ყოფის ლოდი ქუცმაცდება ინდივიდუალურ ნაწილებად. სქოლასტიკური ტერმინებით რომ ვთქვათ, ქრება უნივერსალიები.

სათათბიროს ხელისუფალნი კი (გუშინდელი ხელისუფალნი) კვლავ ძველებურად "უბერავენ" და ქცევის გამოცდილ რეცეპტს გვთავაზობენ: გავთავისუფლდეთ ეგოიზმისგან და ვიხსნათ რუსეთი. რაშია საქმე, ასე რატომ ჩამორჩნენ ცხოვრებას ისეთი ჭკვიანი ადამიანები, როგორიცაა სოლჟენიცინი, ლიხაჩოვი, მაქსიმოვი და ზინოვიევი (არა და, ვის ეპარება ეჭვი მათ სიჭკვიანეში), რატომ დაკარგეს ცხოვრებასთან უშუალო კონტაქტი და სიახლის შეგრძნება? ეს ყველაფერი გასაგები გახდება, თუ იდეალიზმს მიღმა გარკვეულ ინტერესებს დავინახავთ. იმის აღიარება, რომ არსებობს არა მხოლოდ იდეალებიდან, არამედ ინტერესებიდან გამომდინარე მოტივაციები და თანაც სავსებით კანონიერი, უკვე ნიშნავს რუსეთის უახლესი ისტორიის წინ გადადგმულ ნაბიჯს. აქედან გამომდინარე, ვსვამთ კითხვას: როგორია ინტელიგენტური იდეალიზმის სიღრმისეული მოტივი, რა ანგარება იმალება უანგარობის, თავგანწირვისა და ალტრუიზმის მქადაგებელთა მიღმა?

ესაა კლასობრივი ანგარება და არა პიროვნული. დღეს ინტელიგენცია, როგორც კლასი, ერის სულიერ მასწავლებლად და მორალურ მოძღვრად არ არის აღქმული. წიგნები ძველებურად იბეჭდება, მაგრამ მათ ადრინდელი ავტორიტეტი არა აქვთ შენარჩუნებული. მწერლობა კი, როგორც სოლჟენიცინი ამბობს ერთგან, რუსეთში მეორე ხელისუფლებად იწოდებოდა ყოველთვის. დღეს რა ხდება, ჰონორარები შენარჩუნებულია, ძალაუფლება დაკარგული, თანაც ყველაზე მნიშვნელოვანი - სულიერი ძალაუფლება. აქ საჭიროა ერთი შესწორება. ამ გამოუყენებელ ავტორიტეტებზე საუბრისას უნდა დავაზუსტოთ ტერმინი "ინტელი-



გენცია", რისთვისაც იმავე კრებულ "ვეხის" განმარტებებს დავეყრდნობი და გ.პ.ფედოტოვის აფორისტულ ფორმულასაც შეგახსენებთ: ინტელიგენცია არის საკუთარი ამოცანების იდეურობით და საკუთარი იდეების უსაფუძვლობით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი. საბჭოური მოდიფიკაციით ტიპიური ინტელიგენტები არიან ე.წ. სამოციანელები, XX პარტყრილობის შვილები, როგორც ერთ დროს თავადვე უწოდებდნენ საკუთარ თავს. ამ ადამიანებისგან შედგებოდა გორბაჩოვისეული "პერესტროიკის" ძირითადი ბირთვი და სწორედ მათ დაანგრიეს კომუნიზმი (ეს მათი დიდი დამსახურებაა). აშენებით კი ქვეყანას სხვები აშენებენ, ისეთები, როგორიცაა გაიდარი. გაიდარი არის კარგი სპეციალისტი, ექსპერტი, ტექნიკოს-პრაგმატიკოსი, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ არის ინტელიგენტი და მით უფრო იდეოლოგი. ინტელიგენცია, ისევ "ვეხს" თუ დავიმოწმებთ, იდეოლოგ-მორალისტების, პროფესიონალი ხალხოსნებისა და პროფესიონალ ოპოზიციონერთა ერთობლიობაა, ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც არ სურს და არც ძალუძს ძალაუფლების ხელში აღება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ გააჩნია ამისათვის საკმარისი პასუხისმგებლობა.

მაგრამ ძალაუფლებაც არის და ძალაუფლებაც. სახელისუფლო ძალაუფლების გარდა, რუსეთში არსებობს სხვაგვარი ძალაუფლებაც (ყოველ შემთხვევაში, დღემდე არსებობდა და ახლა უკვე ნელ-ნელა იკარგება), ესაა სიტყვის ძალაუფლება. სიტყვის ძალა აძლევს მოლაპარაკე ადამიანს, მკეთებელ ადამიანთან შედარებით, მორალურ უპირატესობას. უწინ მთავრობა ხელისუფლობდა, ხოლო ინტელიგენცია მუდმივ ოპოზიციაში იმყოფებოდა. რეალურად კი ყველაფერი ბევრად უფრო რთულად გახლდათ. სინამდვილეში ინტელიგენციამ რუსეთში იდეოკრატიული რეჟიმი შექმნა. პეტროპავლოვკის ტუსაღმა ჩერნიშევსკიმ რუსეთის ხელისუფლების სათავეში ლენინი მოიყვანა. კულტურულად და სოციალ-ფსიქოლოგიურად ინტელიგენციამ რუსეთში შეასრულა ის ფუნქცია, რასაც ნიცშე ქურუმობას უწოდებდა.

ვინ არიან და რას წარმოადგენენ ნიცშეს ქურუმები? ესენი არიან არა მხოლოდ ოფიციალური რელიგიური მოღვაწენი, არამედ ყველა ჯურის ადამიანები, ვინც პრეტენზიას აცხადებს სულიერ ავტორიტეტობაზე, მათ შორის ფილოსოფოსები და პოეტებიც კი. ეს შემთხვევა სოლჟენიცინის ნათქვამის მშვენიერი დასტურია იმის შესახებ, რომ რუსეთში მწერალი მეორე ხელისუფალი იყო ყოველთვის. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მსგავს შემთხვევაში, სულიერი ავტორიტეტი სოციალურ სტატუსს იძენს, სულიერი მისია პროფესიად იქცევა. თუ ნიცშეს ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, მაშინ ქურუმობა ძალაუფლებისკენ ლტოლვის თავისებური განხორციელების ფორმაა. თუ პრობლემას ფსიქოლოგიურ ასპექტში განვიხილავთ (რისკენაც მოგვიწოდებდა ნიცშე), მაშინ ქურუმობა არის თვითრეალიზების გზა: ადამიანი, რომელსაც არა აქვს უნარი, მეფე გახდეს, ხდება ქურუმი. მაგრამ ყოველ მბრძანებელს სჭირდება ქვეშევრდომი, ყოველ მწყემსს - სამწყსო. აი, სწორედ აქ იღებს სათავეს (ნიცშესთან) ქურუმობის ავთვისებიანობა; სამწყსო ჯოგის სახით ქურუმებს ბედკრული და ჩაგრული ადამიანები სჭირდებათ.

ქურუმები ასკეტურ იდეალებს ემსახურებიან. მათ სულიერ ძალაუფლებაზე აქვთ პრეტენზია, ხოლო სულიერება სისუსტესთან, სხეულებრივ თუ ყოფით სიძაბუნესთან, ყოველგვარ უბედურებასთან, ყველაფრის ნაკლებობასთან, სიღარიბესა და გაჭირვებასთან არის გაიგივებული. ისინი სიღარიბისგან ქმნიან სათნოებას, ხოლო უძლურებას აწყვილებენ სულიერებასთან. სწორედ ეს არის ნიცშეს მორალის გენეალოგია. აქვე უნდა ითქვას, რომ ქურუმები უბედურ ადამიანებს კი არ ეხმარებიან იმდენად, რამდენადაც თავად ესაჭიროებათ ამ კატეგორიის ადამიანებთან ურთიერთობა საკუთარი არსებობის მოტივაციისთვის. მათ სჭირდებათ იმის დაფიქსირება, რომ უბედურება ყოფის ნორმაა. ამის შესახებ, ჯობს, ნიცშეს დავუთმოთ სიტყვა წიგნიდან "ანტიქრისტე": "...ადამიანი ბედკრული უნდა გახადო - ესაა ყველა დროის ქურუმთა ლოგიკა... ამ ლოგიკის ბუნებრივი გაგრძელებით გაჩნდა ქვეყნად "ცოდვა", "დანაშაულისა" და "ანგარების" ცნება, მთელი "ზნეობრივი მსოფლწესრიგი". ყველაფერი ეს კი იმისთვის გამოიგონეს, რომ ადამიანი არ დაშორებოდა ქურუმს. ადამიანი არ უნდა იმზირებოდეს გარეთ, იგი მხოლოდ საკუთარ თავში უნდა იყოს ჩაღრმავებული, არ უნდა აკვირდებოდეს საგნებს ყურადღებით, უფრო მეტიც, ვერც უნდა ამჩნევდეს მათ. დაე, იტანჯოს! დაე იტანჯოს ისე, რომ ყოველწამიერად გრძნობდეს ქურუმის საჭიროებას... შორს ექიმები! ჩვენ გვჭირდება მაცხოვარი!"

და აი, გამოგვეცხადა მხსნელი. იგი, მზის დარად, აღმოსავლეთიდან მოგვევლინა. სწორედ ასე წარმოგვიდგენს თავს სოლჟენიცინი - დახვეწილი ესთეტი, საოცრად ნიჭიერი და განსაკუთრებული სტილის მქონე ადამიანი. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მას ნიცშე არა აქვს წაკითხული, თუ წაკითხული აქვს - არ ახსოვს, რას წერს. მიუხედავად ამისა, იგი ნიცშეს მიერ აღწერილი ქურუმის ტიპის მსგავსად მოქმედებს. როგორც ბახტინი იტყოდა, იგი საკუთარ თავში ატარებს ჟანრის ობიექტურ მეხსიერებას. ყურადღება მიაქციეთ, რა უთხრა სოლჟენიცინმა ხალხს: ხალხი გაუბედურებულია და მას მხოლოდ სულიერი აღორძინება (განახლება) იხსნის. სულიერება უპურობისა და შიმშილის პირობებში - ეს არის სწორედ უბედურების ფიქსაცია.

სოლჟენიცინი ყველაზე ნიჭიერი და გენიალური წარმომადგენელია რუსული ინტელიგენციის იმ უზარმაზარი ფენისა, რომელსაც დღემდე შემორჩა ავტორიტეტი. ყველაფერი ის, რაც ვთქვი და რისი თქმაც მსურდა, დღევანდელი ინტელიგენციის აპოკალიფსური განწყობის კრიტიკული ანალიზი და შეფასებაა. ინტელიგენტების მიერ დახატული რუსეთის გარდუვალი დაღუპვის სურათი სხვა არფერია, თუ არა ინტელიგენტობის დაღმასვლის, ინტელიგენციის, როგორც კლასის, როგორც სოციალური ინსტიტუალიზებული ფენის - ნიცშესეული ქურუმთა კასტის გაქრობის ასახვა. ინტელიგენციის მიერ დღეს ატეხილი ისტერიკა, რუსეთისა და რუსი ხალხის ისტორიის დასასრულის წინასწარმეტყველება კი სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი არსებობის დასასრულის მოახლოების წინათგრძნობა.

სეკულარიზებულ თავისუფალ საზოგადოებას - რომელიც კომფორტულ ცხოვრებას აშენებს არა მხოლოდ სახელგანთქმულ შემოქმედთათვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის - ქურუმები არ ესაჭიროება.

თარგმნა ეთერ ჭიბლიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ანთაძე

# რა ჩაიფიქრა რუსეთმა



დღევანდელი წერილი უჩვეულოდ იწყება: ნაწყვეტით ჩემი ძველი სტატიიდან, რომელიც 2 მარტს - საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე - გამოქვეყნდა ჟურნალ "არილში".

სტატიის სახელწოდება იყო "საქართველოში მოვლენების განვითარების ორი შესაძლო სცენარი". ის ნაწყვეტი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ჩემი და ჩემი მეგობრების მრავალსაათიანი განსჯის შემდეგ დაიწერა.

ვფიქრობ, ძველი წერილის გახსენება გამიადვილებს ახალი წერილის მთავარ თემაზე საუბარს. რადგან ის, რაც მხოლოდ მოვლენების განვითარების ერთი შესაძლო სცენარი იყო სამი თვის წინ, დღეს სიტყვა-სიტყვით ახდენილი რეალობაა.

"...ომის ტექნოლოგიის გამორიცხვა საარჩევნო პროცესში რეალობის ვერშეფასების ტოლფასია. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ტერაქტი და არეულობა გარდუვალია. ეს ასე არ არის, რადგან არსებობს საქართველოში პოლიტიკური კურსის შეცვლის მშვიდობიანი ტექნოლოგიაც.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ქართულ სახელისუფლო სივრცეში დასავლური ინტერესების დაცვის გარანტი პარლამენტია, რომელიც მის მიერ მიღებული კანონმდებლობით დასავლური კურსის სრულ დეკლარირებას ახდენს.

მაგრამ ხელისუფლების ის შტო, რომელსაც კანონმდებლობაში ასახული კურსის განხორციელება ევალება - ანუ აღმასრულებელი ხელისუფლება - თავისი საქმიანობის სულისკვეთებით პირდაპირ ეწინააღმდეგება დასავლური სტანდარტების დამკვიდრებას საქართველოში და ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, რუსეთის ინტერესების დამცავ ციტადელად გვევლინება.

პრეზიდენტი, ერთი მხრივ, პარლამენტის საქმიანობაში არ ერევა და ამით მას საშუალებას აძლევს, თავისი ბუნებრივი - პროდასავლური - მიმართულებით განვითარდეს; მეორე მხრივ, პრეზიდენტი პარლამენტის აგრესიისგან იცავს და იფარავს მთავრობას, რითიც მას თავისი ბუნებრივი - ანტიდასავლური - მიმართულებით აძლიერებს.

მაგრამ ახლო მომავალი ამ ბალანსის დარღვევის დიდ პოტენციას შეიცავს. კონსტიტუციის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს მთავრობას, ხოლო პარლამენტი 118 ხმით, ფარული კენჭისყრით, სათითაოდ ამტკიცებს მინისტრებს.

1995 წელს მსგავს პროცედურას ფორმალური ხასიათი ჰქონდა - პარლამენტმა უპრობლემოდ დაამტკიცა მთავრობის მთელი შემადგენლობა. მაშინ პარლამენტის, პრეზიდენტის და მთავრობის ინსტიტუტები უმწიფარი იყო. მაგრამ დღეს პროცესები გამოკვეთილი დრამატურგიით ვითარდება - პარლამენტს პირველად ეძლევა შანსი, რომ თავისი დეკლარირებული კურსის განსახორციელებლად რეალური ბერკეტი აამოქმედოს: არ დაამტკიცოს ის მინისტრები, რომლებიც ოფიციალური სახელმწიფო კურსის საწინააღმდეგო მიმართულებით საქმიანობენ.

სწორედ აქ ჩაირთვება რუსეთის სტრატეგიული ინტერესების დამცველი მანქანა: დიდი ძალისხმევა ჩაიდება იმაში, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თვისებრივად არ შეიცვალოს. რაკი სახელმწიფოს დეკლარირებული კურსი და რეალობა არა მხოლოდ უპირისპირდება, არამედ - სულ უფრო სწრაფად შორდება ერთმანეთს, კიდევ რამდენიმე წელიწადს გაჯანჯლებული საბიუჯეტო კრიზისი დაემსგავსება ოზონის შავ ხვრელს, რომელიც მთლიანად შეიწოვს საქართველოს დამოუკიდებლობას. თუ ასე გაგრძელდა, ამჟამინდელი პარლამენტის საქმიანობის ვადა, ალბათ, საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რომ საქართველოს დასავლური კურსიდან აღარაფერი შემოგვრჩეს და ფაქტობრივად გადავიქცეთ რუსეთის გავლენის სივრცედ.

ასეთი "ხავერდოვანი რევოლუციის" განხორციელების იარაღი მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტი შეიძლება იყოს, რადგან გაზაფხულზე ახალ მთავრობას სწორედ პარლამენტი დაამტკიცებს და სამომავლოდაც რუსეთის ინტერესებთან დაპირისპირება მის ამოცანად რჩება.

არ არის გამორიცხული, რომ ამ რეალობამ დიდი ძვრები გამოიწვიოს საპარლამენტო უმრავლესობის წიაღში. ფარული კენჭისყრისას 118 ხმის მისაღებად, შეიძლება, დღეს სრულიად დაპირისპირებული ძალები გაერთიანდნენ და, პირიქით, დღეს ერთმანეთის გვერდით მდგომი ადამიანები სულ სხვადასხვა ბანაკში აღმოჩნდნენ. მით უმეტეს, დღევანდელი მძიმე ვითარების ერთი მთავარი წინაპირობა ისიცაა, რომ "პრეზიდენტის მხარდაჭერა" საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, ტრადიციულად, სხვადასხვაგვარად ესმით. ზოგისთვის ეს ნიშნავს შევარდნაძის კურსის მხარდაჭერას, ზოგისთვის კი - კორუფციისა და განუკითხაობის მხარდაჭერას.

ერთი რამ ცხადია: დასავლური და რუსული ინტერესები ოდესმე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახება ერთმანეთს სწორედ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაპირისპირების ფორმით. ან საპარლამენტო ხელისუფლება დაეუფლება აღმასრულებელ სივრცეს, ან აღმასრულებელი ხელისუფლება "მოათვინიერებს" პარლამენტს.

მოსალოდნელია, რომ საგანგებო წნეხის ქვეშ მოექცევიან საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ლიდერები (ჟვანია და ლორთქიფანიძე). წნეხი იმის მიმართ იქნება განსაკუთრებით ძლიერი, ვის ავტორიტეტსა და საბრძოლო თვისებებსაც მოწინააღმდეგე მხარე მეტად აღიარებს და უფრო სერიოზულ წინაღობად მოიაზრებს.

სამომავლო პროცესებში კვლავ გადამწყვეტი იქნება პრეზიდენტის

როლი. ამიტომ, რუსეთის ინტერესები ან შევარდნაძის შეცვლას მოითხოვს, ან შევარდნაძის დახმარებით დასავლური ორიენტაციის ძალების დაჩოქებას. იმის მიუხედავად, რომ ედუარდ შევარდნაძე სხვებზე უფრო შორსმჭვრეტელია და საბოლოო მიზნისკენ მიხვეულ-მოხვეული გზებით მიდის - ადრე თუ გვიან, რუსეთი ამ ალტერნატივას ვერ ასცდება: იზრუნოს შევარდნაძის შეცვლაზე, ან გვერდით დაიყენოს იგი. მომავალი თვალნათლივ დაგვანახებს, თუ რომელ გზას აირჩევს რუსეთი."

* * *

საპრეზიდენტო არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა - რუსეთის ამბიციურ ინტერესებს თავი არსად უჩენია. მოვლენების განვითარების პირველი, "ცხელი" სცენარი (ტერაქტი, დესტაბილიზაცია) იმ ეტაპზე გამოირიცხა.

შემდეგ დაიწყო მთავრობის დამტკიცება და პარალელურად განვითარდა სწორედ ის პროცესი, რომელიც მეორე - "მშვიდობიანი" სცენარით იყო გათვალისწინებული.

დღეს შეუძლებელია იმის გაცალკევება, თუ რა მოიმოქმედეს მთავრობის დამტკიცების პროცესში რუსეთის სპეცსამსახურებმა და რა მოხდა მათი ჩარევის გარეშე - თვითდინებით. შედეგი ცალსახაა: პრეზიდენტის არჩევანი მთავრობაზე შეჩერდა. პარლამენტი უძლური აღმოჩნდა მთავრობის წინაშე. რეალური ცვლილება შეეხო მხოლოდ სახელმწიფო მინისტრის პოსტს, რამაც, საერთო კონტექსტში, დიდწილად დაკარგა მნიშვნელობა.

და სწორედ იმ დროს, როდესაც მთავრობის დაკომპლექტება ბოლომდე დასრულებულიც არ იყო (თუმცა, საპარლამენტო ძალების დამარცხება ეჭვს აღარ იწვევდა) - ხანგრძლივი გარინდების შემდეგ, ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ერთბაშად იფეთქა რუსეთის ინტერესებმა.

ერთადერთი ინფორმაცია, რაზეც ამ თემასთან დაკავშირებით პირადად მე ხელი მიმიწვდება, პრესის მასალებია. ეს ცოტა არ არის, რადგან საინფორმაციო უზრუნველყოფა ნებისმიერ საზოგადო ჩანაფიქრს სჭირდება. პრესის ანალიზი ხშირად უნიკალურ საშუალებას იძლევა, გაიგო, რა ხდება პოლიტიკაში და იფიქრო იმაზე, რაც შეიძლება მოხდეს.

ბოლო 15 დღის საინფორმაციო შეტყობინებები მიუთითებს, რომ რუსეთი ცდილობს, გვერდით დაიყენოს შევარდნაძე, ან შექმნას ამის ილუზია.

რუსული სცენარი მარტივია: საინფორმაციო პროპაგანდით უნდა დაიხატოს სურათი, რომ **იმის შემდეგ, რაც რუსეთის სათავეში პატრიოტები მოვიდნენ, ბევრი რამ შეიცვალა. ამერიკასა და შევარდნაძეს შორის ურთიერთობები გაფუჭდა. ამერიკა აღარ ენდობა საქართველოს პრეზიდენტს და შევარდნაძეს მის ახლო გარემოცვაში მყოფი, ამერიკისადმი ერთგული პოლიტიკოსების მეშვეობით ებრძვის. თავისი გუნდი ღალატობს პრეზიდენტს, უწყობს ფარულ შეთქმულებას და მის სავარძელს ეპოტინება. პრეზიდენტსა და მის საპარლამენტო გუნდს შორის სერიოზული კონფლიქტია.**

პრესის ერთი ნაწილის შეუნიღბავი ვერსიით, **სწორედ პრეზიდენტის დისკრედიტაციისათვის შეიქმნა აკაკი გოგიჩაიშვილის საავტორო გადაცემა "60 წუთი", რომელიც მოსახლეობას არწმუნებს, რომ ქვეყნის ყველა უბედურების სათავე პრეზიდენტის ოჯახი და სანათესაოა. ხოლო ამ გადაცემის უკან, რასაკვირველია, ჟვანია და საakaშვილი დგანან.**

თუ ვინმეს მოეჩვენება, რომ ამ ვერსიას არავინ დაიჯერებს, რადგან ქვეყნის ორიენტაცია სამოსელი არ არის და სეზონურად ვერ შეიცვლება, მივუთითებთ ციტატაზე ივლიანე ხაინდრავას ინტერვიუდან: "შევარდნაძე ვითარების მიხედვით მოქმედებს. მას შემდეგ, რაც რუსეთისგან შეურაცხყოფის გარდა ვერაფერი მიიღო, იგი შებრუნდა დასავლეთისკენ. მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლეთსაც ბეზრდება შინაგანად გახრწნილი რეჟიმის მხარდაჭერა... არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ თუ პრეზიდენტი თავისი ძალაუფლების შენარჩუნების შესაძლებლობას კვლავ რუსეთს დაუკავშირებს, შესაბამისად შეიცვლება საგარეო პოლიტიკური ვექტორის მიმართულებაც."

გამოდის, გამოცდილი პოლიტიკოსისთვის - ივლიანე ხაინდრავასთვის - არადამაჯერებლად სულაც არ გამოიყურება შევარდნაძის "გადარუსების" ვერსია. მით უმეტეს ადვილია, ამაში დაარწმუნო პოლიტიკისგან შორს მყოფი ადამიანი.

* * *

გასულ კვირაში რამდენიმე გაზეთის სულ სხვადასხვა პუბლიკაციის ავტორებს, რატომღაც, ერთნაირი იდეები ებადებოდათ. ამ იდეებს დავაჯგუფებ და ტიპიურ მაგალითებთან ერთად შემოგთავაზებთ.

**პირველი თემა:** შევარდნაძეს თავისი გუნდი ღალატობს. ჩვენი ხელისუფლება (და მასთან დაახლოებული წრე) ამერიკის აგენტებით არის სავსე. მათ პირისპირ დარჩენილი შევარდნაძე სიმპათიას და თანაგრძნობას იწვევს იმის გამო, რომ ამერიკელთა წნეხის მიუხედავად, ბოლომდე მაინც არ უღალატა თავის სამშობლოს.

ამ თემას ოცზე მეტი პუბლიკაცია მიეძღვნა. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს.

**ირაკლი თოდუა:** "მართალია, ქართული დემოკრატიის საბოლოო აღშენებისგან შორს ვართ, მაგრამ აცლიან კი ედუარდ შევარდნაძეს მშენებლობის დასრულებას და დააჯერებენ კი მხოლოდ მარჯვენის მოჭრას?.. თქვენი ყურადღება სახელმწიფო კანცელარიასთან გამომზეურებული პლაკატის ტექსტს მინდა, მივაპყრო: "პრეზიდენტო, მოთოკე ნათესავები!" ჩვენი მეზობელი ჩრდილოელი ქვეყნის პრეზიდენტს მსგავსი პლაკატი ძალზე ძვირად დაუჯდა. სანამ ხუროთმოძღვარს თავს მოჭრი, მის გარშემო ყველაფერი "ნათესაობით ბრუნვაში" უნდა გადაიყვანო. ანუ ყველაფერი ცუდი, რაც ქვეყანაში ხდება, პრეზიდენტის ოჯახზე ჩამოწერო. მანანა შევარდნაძის აგარაკზე ჩაკირკიტება - ახირებაა. თანაც, ხალხის ყურამდე ეს ახირება სწორედ მათი მეშვეობით მიდის, ვინც პრეზიდენტსაც კი დღემდე საკუთარი თანაგუნდელი და თანამებრძოლი ჰგონია" *("ახავალ-დასავალი", 29 მაისი).*

**ვალერი კვარაცხელია:** "თუ ასე გაგრძელდა, სულ მოკლე ხანში პრეზიდენტისგან, შეიძლება, მხოლოდ გამოხრული ძვლები დარჩეს... მას შემდეგ, რაც რუსეთს რუსები დაეპატრონენ, როგორც ჩანს, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამერიკელების ნდობა დაკარგა... ამერიკამ გადაწყვიტა, პრეზიდენტი შევარდნაძე შეცვალოს ნაკლებად გონიერი, ნაკლებად პატრიოტი და სრულიად ამორალური რომელიმე პოლიტიკანით" *("ახავალ-დასავალი", 29 მაისი).*

**გიორგი უძილაური:** "პროკურატურისთვის უფლებების შეკვეცა მმართველმა პარტიამ საზოგადოების ინტერესებისთვის კი არ დაიწყო, არამედ პრეზიდენტის სავარძლამდე ახლო მიჩოჩებისთვის. სხვათა შორის, დაახლოებით ამგვარი მდგომარეობა იყო ხუთი საუკუნის წინ იტალიის ერთ-ერთ სამთავროში, როცა მთავარი ზრდიდა დაობლებულ ძმისშვილს, ამ უკანასკნელმა კი ჯერ არაკაცურად შეაღწია ბიძასთან და შეიყვანა სანდო ასეული და შემდეგ, ბოლო მომენტში ყელი გამოსჭრა გამზრდელს სამთავროს ხელში ჩაგდების მიზნით" *("ახალი თაობა", 29 მაისი).*

**კახა თარგამაძე:** "საქართველოში უცხო ქვეყნების სასარგებლოდ ბევრი ქართველი მუშაობს. უცხო ქვეყნის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლოდ მუშაობა მოდაშია და ამას დემოკრატიისთვის ბრძოლით ხსნიან. "ცისფერ" და დემოკრატიის სახელით მოქმედ სათვალიან ბიჭებს ქვეყანას არ დავალუპვინებ!" *("ასავალ-დასავალი", 22 მაისი).*

**მეორე თემა:** საქართველოში მოვლენები რუსული სცენარით განვითარდება. საქართველოს მტრები შევარდნაძეს აიძულებენ, პრეზიდენტის სავარძელი სხვას დაუთმოს. თემის საავტორო უფლება "მესამე გზის" ალიანსს ეკუთვნის, რომელიც გზადაგზა ამკვიდრებს ფრაზას "პოლიტიკური პუტანობა შევარდნაძის პუტინობისთვის" (ფრაზა არაორაზროვნად ეხება ზურაბ ჟვანიას).

**ქეთი ხატიაშვილი:** "ზანდრავას განცხადებას პრეზიდენტის შესაძლო გადადგომის შესახებ ირინა სარიშვილი-ჭანტურიაც გამოეხმაურა და საქართველოში მოვლენების რუსული განვითარების შესაძლებლობა ლამის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად მონათლა... როგორც ჩანს, შემთხვევით არც შევარდნაძის ავადმყოფობის შესახებ ვრცელდებოდა ხმები. კანცელარიაში უკვე ორი დღეა რეკავენ და პრეზიდენტის ჯანმრთელობას კითხულობენ. როგორც ჩანს, ვიღაცეებს ძალიან სურთ მოსკოვური ვარიანტის აქ გათამაშება" *("ალია", 25 მაისი).*

**დავით ბერძენიშვილი:** "სამარცხვინოა, როცა ქართული პოლიტიკური სპექტრის ბევრი წარმომადგენელი პოლიტიკური "პუტანობის" გზით ცდილობს, დამკვიდრდეს შევარდნაძის ოჯახის "მზის ქვეშ"... ჟვანია ვერ მოახერხებს შევარდნაძის "პუტინობას" *("კვირის პალიტრა", 29 მაისი).*

**ზაზა ვაშაყმაძე:** "არ არის გამორიცხული, რომ 2001 წელს შევარდნაძე გადადგეს თავისი ნებით ანუ რუსული ვარიანტი განმეორდეს. საქართველო არ დაუშვებს, რომ ჟვანია პრეზიდენტი გახდეს" *("ახალი თაობა", 31 მაისი).*

**ბესო ჯუღელი:** "შევარდნაძემ კეთილი ინებოს და რუსული ვარიანტი გაიმეოროს, რათა ხელისუფლების წყვეტა არ მოხდეს... ვინმე გამოაცხადოს მემკვიდრედ და ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები. თორემ ისეთ ამბავს ატეხავენ ზურაბ ჟვანია და მისთანები, რომ ერთმანეთს თმებს დააგლეჯენ, ოღონდ ხელისუფლებაში პირველ პირად მოვიდნენ" *("ახალი თაობა", 2 ივნისი).*

**მესამე თემა:** პრეზიდენტის და მისი ოჯახის დისკრედიტაციისთვის, ამერიკის თანადგომით და ჟვანია-სააკაშვილის ხელმძღვანელობით, შეიქმნა გადაცემა "60 წუთი". ეს გადაცემა ამერიკიდან იმისთვის ფინანსდება, რომ მოსახლეობა პრეზიდენტის წინააღმდეგ განაწყოს.

**ვალერი კვარაცხელია:** "ამჯერად ვაშინგტონმა აუნთო მწვანე შუქი "რუსთავი-2"-ს და ისინიც მოსდგნენ პრეზიდენტ შევარდნაძეს... დღეს ატეხილი აჟიოტაჟი ამერიკის სპეცსამსახურებისთვის ხელშეწყობის მიზნითაა ატეხილი და არა სიტყვის თავისუფლების დასაცავად" *("ასავალ-დასავალი", 29 მაისი).*

**თამაზ წივწივაძე:** "ღია კოსმოსში პლანეტების მორიგი პარადი 2080 წელს უნდა გაიმართოს. ეს ციური მოვლენა, პარლამენტის დადგენილებით, გოგიჩაიშვილის მხარდამჭერის მიზნით, ამ თვის ბოლოსთვის რომ გადმოგვეტანინა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. პლანეტების პარადს აქ, დედამიწაზე, მთელი ამ ფარსისა და აფიორის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, მიხეილ სააკაშვილი ჩაიბარებდა" *("ლიტერატურული საქართველო", 2 ივნისი).*

**რომან გვენცაძე:** "ჩემი ყურით გავიგონე, როგორ უთხრა "რუსთავი-2"-ის კორესპონდენტს სააკაშვილმა, ახლავე გაგათავისუფლებ სამსახურიდანო. სააკაშვილი თუ არ მართავს "რუსთავი-2"-ს, ვინ ჰკითხავს მას ჟურნალისტის სამსახურიდან დათხოვნას?" *("ლიტერატურული საქართველო", 2 ივნისი).*

**მეოთხე თემა:** პრეზიდენტის სავარძლისთვის კოსმოპოლიტი და არაქართული წარმომავლობის პოლიტიკოსები იბრძვიან.

ეს თემაც უკავშირდება ჟვანიასა და სააკაშვილს, რომელთა არაქართული წარმომავლობის ვერსია ბოლოხანს პრესაში დაჟინებით მკვიდრდება ტერმინით "დაშნაკები". ეს ტერმინი უკვე ერთგვარ პაროლად იქცა.

**ირაკლი თოდუა:** "ეტყობა, ერთხელ მაინც, იაპონელი თუ არა, ბუშმენი პრეზიდენტი უნდა ვიყოლიოთ, რომ "გავლიბერალდეთ" და უფრო თამამად შევეგუოთ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არაქართველთა ყოფნას" *("ასავალ-დასავალი", 29 მაისი).*

**სიმონ ბალახაძე:** სტალინმა ფრჩხილზე დაფერთხა "ჰერცოგოვინას" თუთუნი: "ნეტა რასა იქმს მოსადი, რას შვრება დაშნაკ-ცუტუნი?" დიდება ჩვენს ძმებს - სობჩაკებს, კოლჩაკებს, ცუტუნდაშნაკებს, მალე სეროჟას შეკერილს ყველა ჩავიცვამთ ბაშმაკებს!" *("ასავალ-დასავალი", 29 მაისი).*

**გიორგი უძილაური:** "ბევრს ეგონა, რომ "ყურაწეული რეფორმატორი დაშნაკები" რამდენიმე თვის განმავლობაში ხმას არ ამოიღებდნენ. ამჯერადაც სიბერეში რომანტიკოსად ტრანსფორმირებულ პრეზიდენტს არ გაუმართლა, ჟვანიას გუნდმა კარგად გამოიყენა "რუსთავი-2"-სა და პროკურატურას შორის არსებული გაუგებრობა და შევარდნაძის ძალოვან ბლოკზე მიიტანა ანგარიში... პროკურატურისთვის უფლებების შეკვეცა გამოიწვევდა ამ სტრუქტურის შესუსტებას, რასაც მოჰყვებოდა რეფორმატორი დაშნაკების კამპანია" *("ახალი თაობა", 29 მაისი).*

**გერმანე ფაცაცია:** "ისეთი სუნი მცემს, რომ ამ ქართველ მოქალაქეთა კავშირს მრავალი არაქართველი ჩაუდგება სათავეში და ლიდერებად მოგვევლინებიან" *("ახალი თაობა", 1 ივნისი).*

**მეხუთე თემა:** პარლამენტი ღრმა კრიზისშია, მომავალ გაზაფხულზე ხელახალი საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს. თუ ვითარება არ განიმუხტა, მოსალოდნელია ძალადობა მოსახლეობის მხრიდან. რაკი სავარძლებს ჟვანიას გუნდი მეტისმეტად ეპოტინება, შესაძლოა, პრეზიდენტმა კიდეც მოიწონოს ვადამდელი არჩევნების იდეა.

**დავით ბერძენიშვილი:** "არ გამოვრიცხავ, რომ არსებული პოლიტიკური სისტემა თვითმმართველობის არჩევნებამდე დაინგრეს" *("კვირის პალიტრა", 29 მაისი).*

**გიორგი კვიტაშვილი:** "ზოგიერთი პოლიტიკოსი პირდაპირ და გადაკვრით ალაპარაკდა მოსახლეობის საერთაშორისო ნორმებით აღიარებულ უფლებაზე, გარკვეული გარემოებების დადგომისას ძალადობრივი გზით დაამხოს ხელისუფლება" *("ახალი თაობა", 29 მაისი).*

**ვალერი გელბახიანი:** "ერთ რამეზე არ ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ მალე გაამახვილებენ - აბსოლუტურად გამართლებულია იმ ხელისუფლების შეცვლა ხალხის მიერ, რომელი ხელისუფლებაც ხალხის წინააღმდეგ მოქმედებს" *("ახალი თაობა", 1 ივნისი).*

**პრაიმ-ნიუსი:** "ირინა სარიშვილი-ჭანტურია კონსტიტუციაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მექანიზმის მიღების ინიციატივით გამოდის... ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მომხრეა შალვა ნათელაშვილიც. როგორც მან განაცხადა, ოპოზიციის ამ მოთხოვნას შესაძლოა ედუარდ შევარდნაძეც დაეთანხმოს, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული გუნდი, ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

▶ ბით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში სავარძლების ხელში ჩაგდებას ცდილობს" *("ახალი თაობა", 1 ივნისი).*

ბესო ჯუღელი: "პარლამენტმა უნდა დაიხუროს ქუდი და სახლებში წავიდნენ. აი, ეს არის გამოსავალი. მთელმა მსოფლიომ წინასწარ უნდა იცოდეს, რომ გაზაფხულზე საქართველოში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება" *("ახალი თაობა", 2 ივნისი).*

* * *

ზემოთ ჩამოთვლილი მიკრო-თემები ერთიანად შეადგენს ახალ სცენარს, რომელიც ნიშანდობლივად საქართველოს მოსახლეობისთვის არის შექმნილი. სცენარის მოკლე შინაარსი ასეთია: საინფორმაციო წნეხმა საზოგადოება უნდა დაარწმუნოს, რომ **შევარდნაძე თავიდან უმეგობრდება გაძლიერებულ რუსეთს, რადგან მთლიანად არ დაუკარგავს თავისი სამშობლოს სიყვარული. ამით გაღიზიანებული ამერიკის სპეცსამსახურები ეხმარებიან ჟვანიას და სააკაშვილს, პრეზიდენტს ფარული შეთქმულება მოუწყონ. პირველ ეტაპზე აუცილებელია ხალხის გაჭირვების გადაბრალება პრეზიდენტის ოჯახისთვის, რისთვისაც სპეციალურად დაიქირავეს აკაკი გოგიჩაიშვილი. საინფორმაციო ზეწოლით და პრობლემების "ნათესაობით ბრუნვაში" გადატანით, აგრეთვე, პრეზიდენტის ჯანმრთელობის მომიზეზებით, შეთქმულები ცდილობენ, შევარდნაძე აიძულონ, გადადგეს და დაასახელოს მემკვიდრე. ეს მემკვიდრე უნდა იყოს არაქართული წარმოშობის, დაშნაკი ჟვანია, რომელიც ამერიკის სპეცსამსახურების აგენტია. ამ მზაკვრული გეგმის ჩასაშლელად და ჟვანია-სააკაშვილის პოლიტიკიდან ჩამოსაცილებლად, საზოგადოება უნდა მომზადდეს ხელახალი არჩევნების იდეისთვის. პარლამენტში ანტიეროვნული ძალები ეროვნულმა ძალებმა უნდა შეცვალონ. ეს პირდაპირ შეესაბამება ქართველი ხალხის ინტერესებს, რომელსაც ამერიკის ყურმოჭრილი მონები მიზანმიმართულად ართმევენ ეროვნებას (მოწმობებიდან შესაბამისი გრაფის ამოღებით) და სარწმუნოებას (სექტების მხარდაჭერით). ამერიკის მიზანია, თავისი დიქტატის ქვეშ მოაქციოს მთელი მსოფლიო. მას სჭირდება ბევრი გაჭირვებული და ამერიკაზე დამოკიდებული ქვეყანა, რათა სხვა ქვეყნების განვითარებამ არ გამოიწვიოს ამერიკაში თავმოყრილი დოვლათის გადანაწილება. თავისი ინტერესების გასატარებლად, ამერიკა გაჭირვებულ ქვეყნებში აგზავნის სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს და სხვა ორგანიზაციებს, რომელთა რეკომენდაციები, ადგილობრივი "მეხუთე კოლონის" დახმარებით, საბოლოოდ ანგრევს და ამონებს საქართველოს მსგავს ქვეყნებს.**

ეს ყველაფერი და ბევრი სხვა რამ საინტერესოდ წერია ორ კონცეპტუალურ წერილში, რომლებიც ჯერ არ გვიხსენებია. მწყობრი თეორია იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ ანგრევს ამერიკა "მოქალაქე რეფორმატორების" ხელით საქართველოს, ეკუთვნის მოსკოველ პოლიტოლოგს, ღრმად ინსტრუქტირებულ ალექსანდრე ჭაჭიას, რომელიც მრავალთვიანი დუმილის შემდეგ, სწორედ ახლა გამოჩნდა ქართული პრესის ფურცლებზე. მისი ინტერვიუების სულისკვეთება ასეთია: ვდგები შევარდნაძის გვერდით, რათა დავიცვა ჩემი პრეზიდენტი და ჩემი ქვეყანა წყეული "რეფორმატორებისგან".

* * *

იმის მიუხედავად, რომ არსებული მასალის სრულად წარმოჩენა შეუძლებელია, მკითხველისთვის, ალბათ, აშკარაა, რომ ამჯერად ლულა პირდაპირ ზურაბ ჟვანიასკენაა მიმართული.

სპეციალურად საქართველოს მოსახლეობისთვის (და არა ხელისუფლებისთვის) რუსეთში შექმნილი სცენარის ყველაზე ძლიერი მხარე ისაა, რომ შევარდნაძესა და ჟვანიას შორის ურთიერთობა, შესაძლოა, მართლა დაიძაბოს. ამის გათვლა წინასწარვე შეიძლებოდა, თუკი დავუშვებდით, რომ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ჭიდილი დასრულდებოდა იმით, რითიც დასრულდა - პარლამენტის უმწეობის დემონსტრირებით.

* * *

შევარდნაძისა და ჟვანიას შესაძლო ურთიერთპრეტენზიებს ბოლოხანს ორმხრივი ფორმალური საფუძველიც გაუჩნდა.

პარლამენტი 235 წევრისგან შედგება. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც 118 და 117 სადეპუტატო პულტის ჯამი. 118 ხმა სჭირდება როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხების მიღებას, ასევე, მათ ჩაგდებას. 118 ხმა ნიშნავს, რომ პარლამენტი ფუნქციონირებს; რომ პრეზიდენტს ჰყავს საპარლამენტო უმრავლესობა, რომელსაც შეუძლია პრინციპული საკითხების გადაწყვეტა.

მაგრამ 118 პულტს პრეზიდენტი პირადად ვერ გააკონტროლებს - ამისთვის პარლამენტის თავმჯდომარე არსებობს. შევარდნაძესა და ჟვანიას შორის ნორმალური ურთიერთობის მთავარი პირობა ისაა, რომ ჟვანიამ არ დაუშვას არჩევნების შედეგების გადასინჯვა და მყარად აკონტროლოს მინიმუმ 118 პულტი.

არადა, ბოლოხანს 118-ის ჯამი იმდენნაირი ვარიაციით იკრიბება, რომ უმრავლესობა და უმცირესობა ფორმალურ ცნებებად იქცა. ეს მინისტრების დამტკიცებისას კარგად გამოჩნდა. შეიძლება, დადგეს მომენტი, როდესაც ჟვანია ვერც ერთი ვარიაციით 118 ხმას ვერ მოაგროვებს და კონკრეტულ შემთხვევაში გამარჯვება მის (და, შესაბამისად, პრეზიდენტის) ოპონენტებს დარჩებათ. ბუნებრივი იქნება, პრეზიდენტს სულაც რომ არ მოსწონდეს საპარლამენტო უმრავლესობაში დამკვიდრებული ნებაყოფლობითი არჩევანი და ჟვანიას მიმართ გარკვეული პრეტენზიები ჰქონდეს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ვითარების გასაკონტროლებლად ჟვანიას უსათუოდ დასჭირდება ერთი მარტივი პირობა: პრეზიდენტის გადაწყვეტილებები უფრო გასაგები უნდა იყოს თითოეული ადამიანისთვის როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ.

საზოგადოებამ და, მათ შორის, პარლამენტმა დღემდე არ იცის პასუხი არსებით შეკითხვაზე: რატომ არ შეცვალა პრეზიდენტმა ბიუჯეტის გამაკოტრებელი მთავრობა?

სწორედ ეს ბუნდოვანება უქმნის საფრთხეს ედუარდ შევარდნაძისა და ზურაბ ჟვანიას ურთიერთობას: როდესაც არგუმენტაცია მოიკოჭლებს, ადამიანებს კოლექტიური გადაწყვეტილების მიმართ პროტესტი უჩნდებათ და ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას იღებენ. ასეთი გადაწყვეტილების წინასწარ გაკონტროლება კი შეუძლებელია.

შევარდნაძისა და ჟვანიას ურთიერთობა გადამწყვეტ გამოცდას გადის: შესაძლოა, ჟვანიამ იფიქროს, რომ რუსეთი შევარდნაძისგან ითხოვდა პროდასავლური ძალების დაჩოქებას და მიიღო ის, რასაც ითხოვდა. შესაძლოა, შევარდნაძესაც გაუჩნდეს ეჭვი თანაგუნდელების მიმართ, რადგან ბოლოხანს არაერთი მოვლენა შეფასდა პრეზიდენტის ინსტიტუტზე და შევარდნაძის ოჯახზე შეტევად.

ამ ვითარებაში, საკმარისია, ერთ-ერთს - შევარდნაძეს ან ჟვანიას - ნერვებმა უღალატოს ("გარედან" სწორედ ამისთვის კეთდება ყველაფერი) და მათი ურთიერთობა გამოუს-

ნორებელი შეცდომით, სამუდამოდ დასრულდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ზედმიწევნით შედის რუსეთის ინტერესებში, მათი სპეცსამსახურების ფარული ხელი ბევრ ბოლოდროინდელ მოვლენაში შეიძლება დავინახოთ.

* * *

სამთავრობო ცვლილებებმა არსებითად დაადასტურა, რომ სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული დასავლური კურსი და სახელმწიფოში არსებული რეალობა მომავალში კიდევ უფრო დაშორდება ერთმანეთს. ახალმა სახელმწიფო მინისტრმა თავად აღიარა, რომ თუ საგანგებო ღონისძიებები არ გატარდა, 2000 წელი, შესაძლოა, საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო წელიწადი აღმოჩნდეს.

. საქართველოში, ცნობიერ თუ არაცნობიერ დონეზე, დღეს ერთადერთი განცდა სუფევს - დაძაბული მოლოდინის. ახლო მომავალში კვანძი უნდა გაიხსნას და გაირკვეს საბედისწერო საკითხი: რას ეფუძნება პრეზიდენტის სიმშვიდე - როგორ აპირებს იგი, გადაარჩინოს ქვეყანა გაბანკროტებისგან და დამოუკიდებლობის დაკარგვისგან?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკიდურესი დაძაბულობის არსი მდგომარეობს შევარდნაძისა და რუსეთის ურთიერთობაში. რუსეთი რეალურად ძლიერდება და, როგორც ჩანს, შევარდნაძეს პრინციპულ მოთხოვნებს უყენებს. თანაც, რეალურად დგამს მისკენ ნაბიჯებს, ან ქმნის ამის ილუზიას. შევარდნაძეც დგამს საპასუხო ნაბიჯს რუსეთის მიმართულებით (რაც პირდაპირ აისახა მთავრობის დაკომპლექტებაში და შევარდნაძე-ყვანიას ურთიერთობებში), ან ქმნის ამის ილუზიას.

საჭადრაკო პარტიაში, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის ხელისუფლებას უკვე მრავალი წელია ეთამაშება, როგორც ჩანს, გადამწყვეტი სვლების დრო დადგა. ჯერჯერობით გაურკვეველია, რა აქვს რეალურად ჩაფიქრებული რუსეთს - შევარდნაძის მოცილება თუ მისი გადაბირება. ჯერჯერობით ბუნდოვანია, რა აქვს რეალურად ჩაფიქრებული შევარდნაძეს - რუსეთისთვის სერიოზული დათმობა თუ პოზიციური უკანდახევა მეტოქის შეცდომაში შესაყვანად.

ვიდრე საჭადრაკო პარტია გრძელდება, არც მოგებული არსებობს და არც წაგებული. არსებობს მხოლოდ საფრთხე და ამ საფრთხის მძაფრი განცდა.

არილი

ზაზა ფაჩუაშვილი

# უსულგულობა

## წერილი ეძღვნება კანონპროექტს აბორტის შესახებ

მე, ბორტიდან გადმოგდებულ სულს სულ ფეხებზე მკიდიხართ თქვენ, ვინც გადმომაგდეთ. "დედაჩემს" აბორტი ჰქვია, "მამაჩემს" - კოვზი და მიტომ ვარ უზრდელი.

ვის ხელში ჩამაგდეთ, იცით?!

აბორტს ჭკუა არასოდეს ჰქონია, არც კოვზი ყოფილა იმაზე უკეთესი, შეყოფის და გამოყოფის მეტი არაფერი სცოდნია, და მაგათ ხელში ჩამაგდეთ ადამიანი!

გადმოხვალთ თქვენც "ზა ბორტომ" და მერე ერთად ვიუზრდელებთ.

ერთადერთი ვინც მიცავდა ჩემი საცოდავი ხორციელი ორეული იყო. უნდოდა ქვეყანაზე გავეყვანე და ჩემთან ერთად ეცხოვრა. მას ჩემთვის მზე უნდა ენახებინა, მე მისთვის - ღმერთი (თურმე ღმერთს ჰგავს მზეც - არის, ანათებს და ათბობს), მაგრამ თქვენი გადამკიდე ვერც ერთი ვნახეთ და ვერც - მეორე. ასეა, საერთოდ, ვინც მზეს ვერ ნახავს, ის ვერც ღმერთს ნახავს, მაგრამ თქვენ ეს არ გაინტერესებთ.

სამაგიეროდ ვნახე ომი ცივილიზაციითა და კოვზებით შეიარაღებულ კაცობრიობასა და მის ერთ ციდა ჩანასახს შორის, რომელიც ამაოდ იბრძოდა თავისი სულის გადასარჩენად. ომი მაშინ დაიწყო, როცა დაღუპულ სულთა დედა აბორტი ატეხილი მიუდგა თავის ჩოყლაყ კოვზს და შეიერთა.

მე უკვდავი სული ვარ, მაგრამ ასეთ დროს სასოწარკვეთილების მეტი არაფერი შემიძლია და მწარედ ავღრიალდი, მიშველეთ, მიშველეთ-მეთქი. ახლაც მესმის ჩემი სისხლის და ხორცის ხმა, ნუ გეშინია, ბიჭო, ნუ გეშინიაო და თავგანწირული ბრძოლა, მაგრამ მშობელი რომ გიღალატებს, ომს მოიგებ?!

თავიდან კოვზმა ვერაფერი მოახერხა, ვერ მოიხელთა ჩემი სხეული და ამან გადარია აბორტი, დაუკმაყოფილებლობისგან ააწივლა. ბოლოს კოვზმა მარყუჟები დაიხმარა, ხორციელს ფეხზე გამომდო და მომაგლიჯა. ჩემი ხორცის გმინვა, ჰაი დედასაო, შეასკდა კედლებს. მაშინ ატირდა საშვილოსნოც, აქამდე რომ გაქვავებული იყო და ვაიმე შვილო, ვაიმე შვილოს ძახილით მოიკლა თავი.

ნაკუწ-ნაკუწ გაჰქონდათ ჩემი დაჩეხილი ხორცი და ასე თანდათანობით მაშიშვლებდნენ, მაგრამ სანამ ჩემი ნაწილები მუცელში იყო, არაფერი მტკენია. ბოლოს მარტო გული დარჩა. იქაც დავეტიე, მაგრამ კოვზმა ბოლომდე "ივაჟკაცა" და ამოგვფხიკა.

აბორტი კოვზს ეკაიფებოდა, ა, ბორტი, შენ შეგჭამოს ჟანგმა, რაღას აცეცებ მაგ დასაბრმავებელ თვალებსო. კაპასი რომაა, თორემ, რას ერჩოდა, კოვზი მე რას დამინახავდა. სულ ასე აწვალებს იმ დებილს. მერე თავის დაწყებულ საქმეს,



თვითონვე ამთავრებს და სულებს ამ ქვეყნიდან ისვრის.

ბნელში ისე შევვარდი, სინათლე არ დამინახავს. მხოლოდ ზღვართან შევამჩნიე, ჩემი ორეულით სავსე ვედრო.

რატომ შეწუხდით ასე, შეგიძლიათ თქვათ?! არ გინდოდათ, რომ ალუს გამოთქმისთვის გვეწვალა, ხომ?! მაგრამ იმაზე არ გიფიქრიათ, სიბნელეში უსასრულოდ როგორ უნდა გავძლოთ! რას იზამთ, ნათქვამი გაქვთ, შეცდომას საზღვარი არა აქვსო.

ისე, თქვენთვის უკეთესი იქნებოდა, სულის მოკვლაც რომ შეგძლებოდათ. ჯერ ერთი, მთლიანად დაიკმაყოფილებდით ავადმყოფურ მრისხანებას და მეორეც, ყველაზე საშინელ შეხვედრას აიცდენდით. საბორტო სასამართლოზე რომ წარგადგენენ და თქვენს ნაალაფარს წარმოგიდგენენ, კარგად დააკვირდით, მათ შორის, ყველაზე მახინჯი მე ვიქნები; თუმცა ჩემი ნუ შეგეშინდებათ. ბრალს არ დაგდებთ. თქვენ საკუთარი თავიც გეყოფათ, რომელიც მთლიანად დაეთანხმება თქვენდამი წამოყენებულ ბრალდებებს და მსჯავრს, როცა ნახავს, რა ლამაზი უნდა ვყოფილიყავი სინათლეში და რა საზარელი ვარ ახლა, მისი წყალობით.

მთელ ამ საბლავლ ისტორიაში ერთადერთი დადებითი გმირი ჩემი ხორციელი ორეულია, რომელმაც მარტომ იომა სიცოცხლისათვის და გამარჯვებულიც დარჩა, როცა თავის მშობლიურ მიწას დაუბრუნდა.

მე მესმის, რომ ყველას გადაუყლაპია ნახველი, თანაც უმტკივნეულოდ, მაგრამ არავინ გადაიცდენს ყელში, თუ პირიდან გამოიღო და ნახა, რას ყლაპავს. ამიტომ, სანამ ვედროს ბავშვის ნაწილებით აავსებდეთ, მანამდე იფიქრეთ, რისი გადაყლაპვა გსურთ.

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლობჟანიძე

# მშვენიერი მაგალითი

არ მინდა, ეს წერილი ბანალურ სადღეგრძელოს დაემსგავსოს, რადგან თუ ვინმეს არ ეკადრება ასეთი რამ, უპირველესად - ბატონ ალექსანდრე გვახარიას, რომლის უბრალოება და სისადავე პირადად ჩემთვის მთელი ცხოვრება იქნება ადამიანურობის, მოყვასის სიყვარულისა და კაცურკაცობის მშვენიერი მაგალითი.

უხერხულობის გრძნობას მიმძაფრებს ისიც, რომ ხშირად, ყველაზე ახლობელი ადამიანებისთვისაც კი, მიჭირს დაბადების დღეებისა და საიუბილეო თარიღების მილოცვა, მაგრამ დღეს, თუ მაინც გადავწყვიტე ამ პატარა წერილით მივფერებოდი ჩემს საყვარელ მასწავლებელს, უფრო იმიტომ, რომ ბატონ ალექსანდრესნაირ ადამიანებს თავადვე ეუხერხულებათ ხოლმე შექება, ურჩევნიათ - ჩრდილში იდგნენ და ამის გამო, თითქოსდა, დაუფასებელი რჩება მათი ღვაწლი. არადა, დღეს, როცა აგრესიული სიყალბე და უმეცრება ქვეყანას ანგრევს და ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივის - ერთი შემომხედეთ: რაცა ვარ - მე ვარო! - ჩვენთვისვეა უმჯობესი, დავინახოთ ალექსანდრე გვახარიასნაირი მოკრძალებული კაცები და ვუთხრათ, რომ სწორედ მათ ნაჯაფარ მხრებზე დგას ბოროტებისაგან აბარბაცებული დედამიწა; მათი სიკეთე უნარჩუნებს ამ ცოდვა-მადლით გამოქქილ სინამდვილეს ადამიანურ სითბოს და იერსახეს...

იმით მაინცა ვარ ძალიან ბედნიერი, რომ უნივერსიტეტში მისულ პირველი კურსის სტუდენტს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე დამხვდა არაჩვეულებრივი პედაგოგებისა და მეცნიერების მთელი ჯგუფი. ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ ყველაზე უფრო ბატონ ალექსანდრე გვახარიას შემჩნევა გამიჭირდა. სტუდენტობა, მოგეხსენებათ, ის ასაკია, როცა ადამიანი, ახალგაზრდული მაქსიმალიზმისა თუ მიამიტობის წყალობით, მყვირალა არტისტიზმის მიმართ უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე დინჯი, ჩრდილში მდგომი გულწრფელობისადმი და ალბათ, ამიტომ, თავიდან ბოლომდე ვერ შევიგრძენი, რა მადლი მოეცა უფალს ჩვენთვის ბატონი ალექსანდრე გვახარიას სახით...

არადა, ერთ უნივერსიტეტად მარტო მისი ლექციები ღირდა სპარსულ ლიტერატურაში. დახვეწილ გემოვნებასთან შერწყმული



უზარმაზარი ერუდიცია და განათლება ქმნიდა იმ სასწაულს, რასაც ერქვა ბატონი ალექსანდრეს ლექცია - ზნესრულობის, მეცნიერული და ადამიანური კეთილსინდისიერების დიდი გაკვეთილი.

ბატონი ალექსანდრე გვახარია, ის ბედნიერი გამონაკლისია, ვისშიაც თანაბრადაა შერწყმული არაჩვეულებრივი ნიჭიერება და ზნეობრივი სისპეტაკე, ვისი სიტყვა და საქმეც ჰარმონიულად ავსებენ და ამრავალფეროვნებენ ერთი მეორეს. სხვათა შორის, მე დღეს საგანგებოდ არაფერს ვამბობ ალექსანდრე გვახარიას წიგნებზე, რადგან მაძიებელი კაცი, ის ვინც ზერელედ მაინც დაინტერესებულა სპარსული ლიტერატურითა და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიით, ისედაც ვერ აუვლის გვერდს ბატონ ალექსანდრეს ნაშრომებს, მათი უდავო მეცნიერული ღირებულების გამო.

რაც შეეხება თარგმანს, ალექსანდრე გვახარიას ბევრი არ უთარგმნია, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში დასარჩენად მას, ალბათ, აბუ ალი იბნ სინას (ავიცენას) ერთი რობაის ეს დიდებული თარგმანიც ეყოფა.

"ვირებში თუ ხარ,
შენაც უნდა ტლინკები ჰყარო,
ვირებს ჰგონიათ, ჩვენიაო
მთელი სამყარო,
ვირებში თუმცა
მუდამ ვირად მომქონდა თავი,
მაინც გამიგეს -
არაბული ტაიჭი ხარო".

წეღან მოგახსენეთ - ალექსანდრე გვახარიას სიტყვა და საქმე ერთმანეთს არასოდეს სცილდება-მეთქი და ალბათ, ეს ლექსი, უფრო სწორად, ამ ტექსტის სასტიკი ირონიაა ის ერთადერთი რამე, რასაც თავისი ცხოვრების წესით, რადიკალურად ემიჯნება ბატონი ალექსანდრე. ცხოვრებაში, იქნებ ბევრს უტკენია მისთვის გული; მაგრამ თვითონ აუგი არავისზე დასცდება; პირიქით - ცდილობს, ყველა გაამართლოს და სიკეთით სძლიოს ის ტკივილი, რაც, სამწუხაროდ, მისნაირთა ხვედრი თუ ბედისწერაა.

ეგებ, საჯაროდ არც ღირდა ამ სიყვარულის გამხელა; მაგრამ მაინც მგონია, ის უბედურება, რაც გვჭირს, იმიტომ დაგვემართა, კარგს რომ თავის დროზე კარგი არ ვუწოდეთ და დინჯი, ჩრდილში მდგომი გულწრფელობის მაგივრად, აგრესიული უმეცრება რომ ვაყაყანეთ.

ამ წერილით კი, ვფიქრობ, ბატონი ალექსანდრეს უკლებლივ ყველა სტუდენტის სათქმელი ვთქვი. უბრალოდ, თუ სხვები მორიდებისა გამო, ვერ უბედავდნენ მადლობა მაინც გადაეხადათ განეული ამაგისთვის, მე სითამამე მეყო, თავი მომეწონებინა იმით, რომ ბატონი ალექსანდრე გვახარიას მოწაფე ვიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE




THE WESTERN LANDS
WILLIAM S. BURROUGHS
6 34/25
THE POCKET POETS SERIES
HOWL
AND OTHER POEMS
ALLEN GINSBERG
Introduction by
William Carlos Williams
NUMBER FOUR
ALLEN GINSBERG
FIRST BLUES
PLUTONIAN ODE
BEAT
The Beat CaFe
CITY LIGHTS BOOKS
ITALIA
29
USA
Lawrence Ferlinghetti
USA 29
Jack Kerouac